C M Y K

# საერთო გაზეთი

№10 (194) ● 28.II-2.II, 2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## გოგა ხაინდრავა:

**biZina ivaniSvili aris kalendari, romelic cvlilebebs iTxovs _ damTavrda zamTari, daiwyo gazafxuli, morCa, amas veraferi SeaCerebs!..**



## vin daamaxinja patrik daunisa da `mencaris~ xelmZRvanelis teqsti?

## `nacionalebo~ wiTel yayaCos miibnevT gulze Tu ukanalze `peros~ gamoibamT, Tqven mainc wiTeli bolSevikebis naSierebad darCebiT!









## კახა კუკავა:

**`saakaSvilis ritorika aSS-s misamarTiT Semdegia _ damicaviT ruseTisgan, me xom Tqveni nabiWvari var~**





## მამა თავითი:

**Cveni amocanaa adamianebi swor gzaze davayenoT, antiqriste Zaliт aravis arafers akeTebinebs...**

„სალამოთი, როცა ცა მოწმენდილია, ვიცით, რომ მეორე დღეს კარგი ამინდი იქნება, როცა კვირტები დაიბერება, ვიცით, რომ გაზაფხული მოვა, როდესაც დედამიწაზე ურჯულოება გამრავლდება, იცოდეთ, რომ მოახლოებულია მეორედ მოსვლა“.



## კობა არაბული:

**Tu ar gamoxvedi da ar imoqmede, ra, mkvdrebis qveyana varT?**

რა უფლება გაქვს, მოქალაქეობა არ მისცე საქართველოში დაბადებულ ადამიანს? შეიძლება უცხოელს არ მისცე შენი მოქალაქეობა, რაღაც მიზეზის გამო, მაგრამ რატომ უკრძალავ საქართველოში შობილ ადამიანს? მაშინ ეს იგივე განკვეთაა, როგორც ადრე იკვეთდნენ თემიდან ადამიანს, რომელიც რაღაცას დააშავებდა.

ივანიშვილს არაფერი არ დაუშავებია, უბრალოდ, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და რომელი ქვეყნის კანონითაა ეს დანაშაული? ამ ყველაფრისთვის უნდა დაისაჯონ „ნაციონალები“.





## xaWo rusudans! _ centr `tuia pointis~ pontebi

## ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილი ზოგიერთ შენობას სხვადასხვა დროს სამი მხრიდან ხსნის



„ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი ბევრს დარბის, მაგრამ სირბილით ვერაფერს მოიპოვებს.

როგორც ივანიშვილი ინტერნეტ გამოცემა **tspress.ge**-თვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, საქართველოს ჰიპერაქტიური პრეზიდენტი ჰყავს.

„ჩემი აზრით, ცოტა ისტერიულად დარბის. თუმცა, სირბილით ბევრს ვერაფერს მოიპოვებს. ყველამ იცის უკვე, რომ მასთან შეხვედრაზე ხალხი ავტობუსებით დაჰყავთ; ყველამ იცის, რომ ზოგიერთ შენობას, სხვადასხვა დროს, სამი მხრიდან ხსნის. გაუგებარია, ვისთვის და რისთვის აკეთებს ამას. ალბათ, თვითონვე უხარია ეს, მოსწონს და ვერ ჩერდება, ვერ ისვენებს", — აცხადებს ივანიშვილი.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილს აქვს ილუზია, რომ კახეთიდან იმერეთს მოატყუებს, იმერეთიდან - სამეგრელოს, საერთო ჯამში კი, შექმნის ილუზიას, რომ ის აღმაშენებელი პრეზიდენტია.

ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს ძირითადი აქცენტი გაკეთებული აქვს არა თუნდაც მოჩვენებით აღმშენებლობაზე, არამედ ისევ დაშინებაზე, ძალადობასა და გაყალბებაზე და ჰგონია, რომ ამ მანიპულირებით მოახერხებს არჩევნების მოგებას.

„გარწმუნებთ, რომ არაფერი გამოუვა. ეს მყიფე სისტემა დაიმსხვრევა და ყველაფერს დაერქმევა საკუთარი სახელი", —აღნიშნა ივანიშვილმა.

## არჩილ კბილაშვილი: ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების თაობაზე გაკეთებული განცხადება პიარაქციაა



ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელი, იურისტი არჩილ კბილაშვილი, რომელიც საქართველოში დაკავებული ისრაელელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის ადვოკატი იყო, საქართველოსა და ისრაელის შესაბამის უწყებებს შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული მხარისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე ინფორმაციას არ ფლობს.

როგორც კბილაშვილმა "მედიანიუსს" განუცხადა, მას მსგავსი მოლაპარაკების შესახებ ინფორმაცია არც ისრაელური წყაროებიდან სმენია.

"ქართული მხარის მიერ სასტარტო ვითარებაში ასეთი ხმამაღალი განცხადების გაკეთება, ჩემი აზრით, პიარაქციაა და სხვა არაფერი. მე ვისურვებდი, რომ ამ პროცესს შედეგი მოყვეს, თუმცა ეჭვი მეპარება", — განაცხადა კბილაშვილმა და დასძინა, რომ ეს მისი პირადი აზრია და არა ივანიშვილის კოალიციის ან პარტიის.

შეგახსენებთ, რომ ჯვრის მონასტრის გადმოცემესთან დაკავშირებით ქართულ და ისრაელურ მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკვე რამდენიმე განცხადება გაკეთდა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თქმით, უკვე მუშაობს სპეციალური ჯგუფი, რომელიც საქართველოს ჯვრის მონასტერს დაუბრუნებს.

ამ საკითხით ისრაელის მედიაც დაინტერესდა. ისრაელურმა საინფორმაციო პორტალმა "იზრუსმა" საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხდებების კომენტირება ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ასევე პრემიერ-მინსიტრის კანცელარიის ოფიციალურ პირებს სთხოვა, თუმცა აღმოჩნდა, რომ იერუსალიმში ჯვრის მონასტრის ქართული მხარისთვის გადაცემის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე არაფერი იციან.

"ჩვენთვის ეს სიახლეა. ამის შესახებ არაფერი გვსმენია", - განუცხადა პორტალს ისრაელის საგარეო უწყების პრესმდივანმა იგალ პალმორმა.

## ბიძინა ივანიშვილი: დამაჯერებელი გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებად დამაჯერებელ გამარჯვებას მიიჩნევს და არა 1-2 პროცენტით მეტი ადგილის მოპოვებას.

როგორც ივანიშვილმა **PRESS.ge**-სთან ინტერვიუში განაცხადა, კოალიცია „ქართული ოცნება" არჩევნებში 2/3 უნდა ასცდეს.

„ამ უსამართლო და უთანასწორო საარჩევნო გარემოში ეს რთულია, მაგრამ შესაძლებელი. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დამაჯერებელ გამარჯვებას მივაღწიოთ. რაც შეეხება ხელისუფლების მიერ დაწყებულ წინასაარჩევნო აგიტაციას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, პროსახელისუფლებო ნაციონალურ ტელევიზიებსა და მის სხვა უპირატესობებს, ჩვენ ამას მარტივი წესით დავაბალანსებთ - ხელისუფლების რეალურ სახეს დღეს ჩვენი მოსახლეობა ძალიან კარგად ხედავს. გასაგებია ის ძირითადი მეთოდი, რითაც ისინი არჩევნების მოგებას აპირებენ: ესაა სიცრუე, ძალადობა და უკანონობა. საარჩევნო გარემოს გასაჯანსაღებლად საჭიროა, ადამიანებს ჰქონდეთ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება. ამ დროს არსებობს ინფორმაციის სიმწირე, განსაკუთრებით - რეგიონებში. ჩვენ ვიწყებთ ამ პრობლემის გამოსწორებაზე მუშაობას და ფოსტალიონების ინსტიტუტის აღდგენა რომ დაგვჭირდეს კიდეც, თითოეულ მოსახლემდე ობიექტური ინფორმაციის მიტანას მაინც მოვახერხებთ", — აღნიშნა ივანიშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნულის მისაღწევად მათ სხვადასხვა მექანიზმი და გათვლა აქვთ.



„რეგიონების მოსახლეობა პრაქტიკულად ველარ იღებს ობიექტურ ინფორმაციას. ფაქტობრივად, მუშაობს სამი სახელისუფლებო ტელევიზია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა არხებს, რომლებიც დიდი წნეხის ქვეშ არსებობენ. მხედველობაში მაქვს რეგიონული ტელევიზიები: 25-ე არხი ბათუმში და „თრიალეთი" - ქართლში. გვაქვს ასევე გაზეთი „ქართული ოცნება", რომელიც მოახერხებს საზოგადოების ინფორმირებას", — აცხადებს ივანიშვილი.

მისივე თქმით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1/3 მკვეთრად ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატია.

„მე რომ არ ვიყო კიდეც, რომელიმე ოპოზიციურ ძალას ის მხარს მაინც დაუჭერს. 1/3 გახლავთ ხელისუფლებაში დასაქმებული და დაშინებული ამომრჩეველი. არსებობს აზრი, რომ ეს ადამიანები მხარს უჭერენ ხელისუფლებას, 1/3 კი ვერ, ან - არ ბედავს პოზიციის გამოხატვას. დღეს საქართველოში ძალიან ცოტა თუ დარჩა, რომელიც რეალობას ვერ აცნობიერებს. ამ ხელისუფლების საპირისპიროდ, ჩვენ მათ ვთავაზობთ: სიცრუის ნაცვლად - სიმართლესა და კანონიერებას. ხელისუფლების უკანონობასა და ძალადობას ვუპირისპირებთ კანონიერებას, თავისუფლებასა და პერსპექტივას"-აღნიშნავს ივანიშვილი.

მისი თქმით, მათ არც თუ ისე ბევრი აქვთ გასაკეთებელი, რადგან ისინი ამომრჩევლებისგან რაიმე მსხვერპლს, წინასწარი პოზიციის გამოხატვას არ ითხოვენ.

„უბრალოდ, ისინი უნდა გამოვიდნენ საარჩევნო უბანში და მოხაზული ბიულეტენი ჩააგდონ საარჩევნო ყუთში. ეს არ არის დიდი გმირობა, ჩვენ ამას მოვახერხებთ. რა თქმა უნდა, იმას, რომ მათ დაიჯერონ ჩვენი უპირატესობა და ის, რომ უკეთეს მომავალს ვთავაზობთ, სჭირდება მუშაობა. არ არიან ქართველები ასეთი მშიშრები, როგორიც სააკაშვილს ჰგონია. მას ჰგონია, რომ საზოგადოების დაშინებული ნაწილი არ გამოვა სახლებიდან და მის მაგივრად, თავად მისცემენ ხმას. ასეთი დიდი ისტორიის მქონე ქართველები არც ისეთი მშიშრები ვართ, რომ არჩევნების დღეს სახლებიდან გამოსვლა ვერ მოვახერხოთ", — აღნიშნა ივანიშვილმა.

## ტელეკომპანია „მაესტრო" ეროსი კიწმარიშვილისგან 2 მილიონ 200 ათას დოლარს ითხოვს




ტელეკომპანია „მაესტროს" დამფუძნებლები „რუსთავის მედიის მართვის კომპანიისგან" მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ.

როგორც დღეს სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე ტელეკომპანია „მაესტროს" ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ეროსი კიწმარიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შევა, რომლითაც ისინი მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ, რომელიც 2 მილიონ 200 ათას დოლარს შეადგენს.

მისი თქმით, ბოლო კვირების განმავლობაში ტარდებოდა აუდიტორული შემოწმება, რომელმაც დაასკვნა, რომ ტელეკომპანია "მაესტრომ" ეროსი კიწმარიშვილისა და მისი კომპანიის "რუსთავის მედიის მართვის კომპანიისგან" 2 მლნ 200 ათასი დოლარის ოდენობით ზარალი მიიღო.

გაბუნიას განცხადებით, დღეს საქალაქო სასამართლოში კიდევ ერთი ადმინისტრაციული სარჩელი შევა, სადაც მოპასუხე შინაგან სამქეთა სამინისტრო იქნება.

მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათ უარი უთხრა ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე "მაესტროს" ოფისიდან "რუსთავის მედიის მართვის" კომპანიის წარმომადგენლების გამოსახლებაზე, რომლებიც სრულიად უკანონოდ იმყოფებოდნენ შენობაში და ხელს უშლიდნენ ჟურნალისტების საქმიანობას.

ადვოკატის ინფორმაციით, მიუხედავად ამ შეფერხებებისა, ტელეკომპანია "მაესტრო" სატელიტის საშუალებით ორ კვირაში დატვირთვით იმაუწყებლებს განახლებული სტუდიებიდან და განახლებული ტექნიკით.

„ასევე მზადდება სარჩელი ჟურნალისტების მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. რადგან, ჩვენ გვაქვს სახალხო დამცველის დასკვნა, სადაც ნათლად და არაორაზროვნად წერია, რომ ადგილი ჰქონდა ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლას, ასევე ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან არათანაზომიერი ძალის გამოყენებას", — აღნიშნა გაბუნიამ.

## ჩრდილოეთ კორეა აშშ-სა და სამხრეთ კორეასთან ომისთვის მზად არის



ჩრდილოეთ კორეა მზად არის აშშ-სა და სამხრეთ კორეასთან ომის დასაწყებად. ამის მიზეზად კი ჩრდილო კორეული მხარე ორი მოკავშირე ქვეყნის მიერ ორშაბათს დაწყებულ ყოველწლიურ სამხედრო წვრთნებს ასახელებს, — იუწყება „სიენენი".

ჩრდილოკორეული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასეულობით ათასი ჯარისკაცი უკვე მზად არის ომისთვის, ისინი ატარებენ ბირთვული ომისთვის საჭირო ალჭურვილობას, რადგან ჩრდილო კორეის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მიმდინარე სამხედრო წვრთნები ჩრდილო კორეაზე დარტყმას ისახავს მიზნად.

საერთაშორისო საზოგადოება უკვე წლებია რაც მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩრდილო კორეასთან ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.

ბოლო მოლაპარალებები ჩრდილო კორეასა და შეერთებულ შტატებს შორის ხუთშაბათს მცირედი პროგრესით დასრულდა. ეს იყო პირველი მაღალი დონის შეხვედრა მას შემდეგ, რაც ჩრდილო კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი გარდაიცვალა, ხოლო ძალაუფლება კი მის უმცროს ვაჟს კიმ ჩენ ინს გადაეცა.

შეგახსენებთ, რომ სამხედრო წვრთნებში, რომელიც ორშაბათს დაიწყო მონაწილეობს შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის 2 100 ჯარისკაცი.

ვაშინგტონი აცხადებს, რომ აღნიშნული წვრთნები არის თავდაცვითი და არ არის დაკავშირებული არავითარ გეოპოლიტიკურ მოვლენასთან.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# biZina ivaniSvili aris kalendari, romelic cvlilebebs iTxovs _ damTavrda zamTari, daiwyo gazafxuli, morCa, amas veraferi SeaCerebs!..

**ჩვენი სტუმარია კინორეჟისორი ბოგა ხაინდრავა:**

— დავიწყოთ იმით, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ქვეყანაში ვითარება რადიკალურად შეცვალა. დარწმუნებული ვარ, ეს საკრალური მომენტია. თავად ბიძინა ივანიშვილი, როგორც პიროვნება, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოქალაქე და ფიგურაა. საქართველოს ისტორიის უახლესი ათწლეულის განმავლობაში ასეთი არაორდინალური პიროვნება, არ გვყოლია. ეს არის მოვლენა, რომელიც არ ექვემდებარება სააკაშვილს და მის გარშემო შეკრებილ ბანდიტებს, კრიმინლებს. ამიტომ, ეს გარდაუვალია, უბრალოდ ყველას უნდა გვესმოდეს ერთი რამ — გაზაფხული ერთ მერცხალს არ მოჰყავს, გაზაფხული არის მერცხლების მთელი გუნდის ჭიკჭიკი და ცაში მოძრაობა. ამიტომ, ყველა ჩვენთაგანმა უნდა მივიღოთ ამ პროცესში მონაწილეობა. ხელისუფლებას განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს, მათ ვერაფერი გადაარჩენთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ჩვენთაგანი გავხდეთ ამის შემომქმედი, რათა ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა გუნდმა აზრადაც კი ვეღარ გაივლოს იმის გაკეთება, რაც ქართველ ხალხს სააკაშვილმა აკადრა. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში საერთო, სახალხო მონაწილეობა უდიდეს, მძიმე პასუხისმგებლობას მოითხოვს.

**— ბატონო გოგა, ახლახან იპოდრომზე აქცია გაიმართა, სადაც ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილის პლაკატზე ფეხის დაბიჯება მოსთხოვეს. ეს სატელევიზიო არხებმა მაშინვე აიტაცეს. თქვენც ამ აქციაზე ბრძანდებოდით, რა მოხდა სინამდვილეში?**

— არამგონია თქვენ, მე ან „საერთო გაზეთმა“ საჭირო იყოს ამდენი ადგილი დავუთმოთ სახელისუფლო ბორდელების საქმიანობას. ეს ბორდელები, საროსკიპოებია, სადაც ადამიანები საკუთარ სხეულს, სულს, აზრებს ჰყიდიან. ამიტომ, არ უნდა გვაინტერესებდეს რას ლაპარაკობენ საროსკიპოს თანამშრომლები. ჯერ ერთი დავიწყოთ იმით, რომ ეს სიცრუეა — ბიძინა ივანიშვილს არ დაუბიჯებია სააკაშვილის ფოტოზე. სააკაშვილის სურათებით მთელი არე-მარე იყო მოფენილი, ყველა ამ სურათებზე ვიდექით, სხვანაირად იქ ვერ დადგებოდი, საპატრულო პოლიციის და მისი თანამშრომლების ჩათვლით ყველა ამ სურათებზე დადიოდა. რაც შეეხება ივანიშვილს, იგი ძალიან კორექტულად მოიქცა. თავად ერთ მეტრში ვიდექი. მან, როცა ფოტო დაინახა შეეცადა თავის არიდებას, მას არ დაუბიჯებია ამ ფოტოსთვის, კუთხეში დააბიჯა, უბრალოდ იქ სხვა გზა არ იყო. თუმცა, ვთვლი, რომ ივანიშვილის გამოჩენა თავისთავად სააკაშვილზე დაბიჯებაა. სააკაშვილი ნებისმიერი ქართველისგან არამარტო დაბიჯებას, არამედ ბევრად უფრო უარესს იმსახურებს.

**— ახლოვდება 2012 წლის არჩევნები. ახლახან, ირაკლი მელაშვილმა შემაშფოთებელი სურათი დახატა — მისი აზრით, წარმოუდგენელია ამ ვითარებაში ოპოზიციამ ხელისუფლებას მოუგოს. როგორ ფიქრობთ, რა ბერკეტი გვაქვს ბრძოლის სამართლიანად წარმართვისთვის?**

— ირაკლი მელაშვილს ახალი არაფერი უთქვამს, ეს ყველაფერი ყველამ დიდი ხანია ვიცით.

**ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელთაა, თუ გამოვიყენებთ ხომ კარგი, თუ არადა დავრჩებით იმ ჭაობში, სიბინძურეში, რაშიც სააკაშვილმა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საზოგადოებას, თავი ამოაყოფინა. ყველა ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ საქართველოს ბედს მისი ერთი ხმა წყვეტს. აბსოლუტურად შეურაცხადი ადამიანი, რომელიც ყველაფერს აჭუჭყიანებს, რყვნის მის გარშემო, ყიდის ქვეყანას, მზად არის ქართველი ვაჟკაცების სისხლით მორწყოს მთელი თავისი გზა.**

ეს უნდა გვესმოდეს. ვინც ხმას სიმართლეს, წესიერებას, ხვალინდელ დღეს არ მისცემს, ყველამ საკუთარ თავს დააბრალოს რა მოუვა მის შვილებს, შვილიშვილებს, მეზობლებს, ქვეყანას. ჩვენ არ უნდა დაველოდოთ, რას იზამს ივანიშვილი. იგი, მარტო ვერ იხსნის ამ ქვეყანას. მან შეიძლება მოგვცეს შესაძლებლობა, თავისი გამოჩენით, თავგანწირვით გზა გაგვიხსნას. მან თავისი თავი და ოჯახი, პოლიტიკაში მოსვლით სამსხვერპლოზე მიიტანა. ეს კარგი მაგალითია და მივყვეთ ამ მაგალითს. მან მისი ნიჭით, შრომით შექმნილი მოიტანა და სამშობლოს სამსხვერპლოზე დადო, მაშინ ყველა ჩვენთაგანს, რომლებიც არაფრისმქონენი ვართ და ჩვენი გაჭირვების ანაბარა ვართ დარჩენილები, უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენც ხელგვეწიფება ნაბიჯების გადადგმა, ეს უნდა გავაკეთოთ და ქვეყანაში ვითარება აუცილებლად გამოსწორდება.

**— მაგრამ ხელისუფლება უკან არ იხევს და ბრძოლის ყოველგვარ სამართლებრივ გზას უჭრის ბიძინა ივანიშვილს. მას, დღემდე არ დაბრუნებია მოქალაქეობა.**

— ესენი ჯოჯოები, ეშმაკები, სულგაყიდული ადამიანები არიან, რომელთაც საკუთარი ღირსება, მშობელი არაფრად უღირთ და სხვაზე როგორ იფიქრებენ. გეთანხმებით, რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერზე წავლენ. ახალგაზრდა ბიჭების მკვლელობას არ მოერიდნენ, კაცი ცემით მოკლეს და მერე სახურავზე შეაგდეს — დენმა მოკლაო და ამის შემდეგ რაზე უნდა ვილაპარაკოთ. ორი დღის წინ, მოსამართლემ, ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც მისი (მოსამართლის) შვილის ჯანმრთელობას, ბუნებას იცავს, ორმოში ძვრება, რათა ამ ჯოჯოებს, ბარბაროსებს ხე არ მოაჭრევინოს (მერაბიშვილმა რეზიდენცია უნდა აიშენოს და 100 წლოვან ხეებს ჭრიან), ციხეში გაუშვა. ამ ხალხს რა უნდა მოჰკითხო, რომლებიც სააკაშვილის გულისთვის საკუთარი შვილის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ჰყიდიან. ესენი ჯოჯოხეთის გზით ივლიან და მოხვდებიან კიდეც იქ, ჩვენ კი ჩვენი გზით ვიაროთ და იქნებ გადავრჩეთ.

**დღეს, ყველაფერი გაცხადდა და ყველას მშვენივრად ესმის, რომ სააკაშვილს მომავალი არ აქვს. იგი, რომ გაფართხალდება, ამას ლაპარაკიც არ უნდა,**



ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა, თავისთავად სააკაშვილზე დაბიჯებაა.

**ჯოჯოხეთური მანქანა, რომელიც მერაბიშვილის ხელმძღვანელობით დაძრწის, დაბოგინებს და სისხლს უშრობს თანამოქალაქეებს, რა თქმა უნდა დატრიალდება, მაგრამ მათ ძალა აღარ აქვთ. პანჩურებით გავყრით ამ ქვეყნიდან. პირობას ვდებ — ვანო, ყველაზე მაგარი პანჩური შენ მოგხვდება იცოდე, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ შენ და ადეიშვილს, სააკაშვილზე აღარაფერს ვამბობ.**

მათ წარმატების არცერთი შანსი არ აქვთ. ბიძინა ივანიშვილი არის კალენდარი. კალენდარი ითხოვს ცვლილებებს — დამთავრდა ზამთარი, დაიწყო გაზაფხული, მორჩა, ამას ვერაფერი შეაჩერებს, ვერც სააკაშვილი, ვერც ბუში, ვერც პუტინი და ვერც ის ბნელი ძალები, რომლებიც საქართველოში თავისი ინტერესების გატარებას ქართველების ავღანეთში დაღვრილი სისხლის ფასად ცდილობენ. სააკაშვილი და ბენდუქიძე დახლიდარებივით დგანან და მთელს მსოფლიოში ცენტებად ჰყიდიან ქართველი ხალხის სისხლს და ხორცს. მათი მომავალი არის ძალიან დიდი მსჯავრი.

**— წეღან ახსენეთ, ყველაფრის დრო მოვა, მაგრამ ჯერ გაირკვეს როდის არის არჩევნებიო. როდის არის, თქვენი აზრით, მაისში თუ შემოდგომაზე?**

— დარწმუნებული ვარ შემოდგომაზე იქნება. ყველაფერი თავის დროზე და თავის რიგით მოხდება. მე არ ვარ პოლიტიკურ კოალიციაში, მაგრამ როგორც ვიცი, სერიოზული სამზადისი მიდის. ბიძინა ივანიშვილის მუშაობა საკმაოდ ძლიერად გამოჩნდა დასავლეთში. ტყუილის, სიბინძურის საპირწონე ივანიშვილმა ფარდა ახადა იმ სისაძაგლეს, რასაც ე.წ. ლობისტები, ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ძალიან დიდი ფულის ფასად, უქმნიდნენ სააკაშვილს დასავლეთში, როგორც დემოკრატიის შუქურას. ამ შუქურას ჭვარტლი აუვიდა უკვე, დამპალი და აყროლებულია.

**— პოლიტიკური კოალიციის სამზადისის შესახებ, საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი, სამაგიეროდ საარჩევნო კამპანია დიდი ხანია დაწყებული აქვს პრეზიდენტს. რას ელოდება ოპოზიცია?**

— სააკაშვილს, 2003 წლიდან მოყოლებული საარჩევნო კამპანია არცერთი წუთით არ გაუჩერებია. მისი მართვის სტილი, სწორედ საარჩევნო კამპანიაა. საქმეს არაფერს აკეთებს, ხალხს მხოლოდ და მხოლოდ თავის ჰიპერ-აქტიურობას აჩვენებს. გაიარეთ და ნახეთ, რას ჰგავს მისი გაკეთებული გზები, ნახეთ თბილისის გარეუბნებში და სოფლებში როგორ გაანათეს საქართველო. ამ კაცს ნგრევის, დაჩანაკების მეტი, ქვეყანაში არაფერი გაუკეთებია. ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველივე წუთიდან საარჩევნო კამპანიაშია, სხვა არაფრის უნარი არ აქვს. დასავლეთში მოკალათებული ბნელი ძალების მიერ უზურპირებული აქვს ხელისუფლება და 30 ვერცხლად გაყიდული და შარდგადასხმული ადამიანების (სპეცრაზმი ავტ.) ძალით, ინარჩუნებს ძალაუფლებას. მაგრამ ყველაფერს წერტილი დაესმება, ღამეც მთავრდება და ზამთარიც. რაც შეეხება ოპოზიციის გააქტიურებას, ეს მაშინ მოხდება, როცა საჭირო იქნება, ჯერ ადრეა. ყველას თავისი სტრატეგია, ტაქტიკა აქვს. ახლა რა აზრი აქვს გააქტიურებას? — ჯერ უნდა მოამზადო კარგად სტრუქტურები.

**ბიძინა ივანიშვილში ყველაზე მეტად სწორედ მისი სიდინჯე მომწონს. ეს არის აბსოლუტური თავდაჯერებულობა, მას ერთი წუთი ეჭვი არ ეპარება წარმატებულობაში. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, და არა ქაოტურად, ზედაპირულად დინჯად მიაბიჯებს იმ გზაზე, რასაც სააკაშვილის რეჟიმის კრახი და დამარცხება ჰქვია.**

როგორც კი ქართველი საზოგადოება ტყუილში მონაწილეობის მიღებას თავს დაანებებს, ეს თავისთავად დაიმსხვრევა. კერპი მაშინ ინგრევა, როდესაც მის სიცრუეში, განდიდებაში მონაწილეობას არ ღებულობ.

**— რაც შეეხება კოალიციას, რომლის კარი თავიდან ყველასთვის ღია იყო, „ფორუმის“ შემოერთებით მისი კარი დაიხურა. გარეთ დარჩნენ სხვა ოპოზიციური პარტიები. როგორ წარმოგიდგენიათ ოპოზიციური ერთიანობის გარეშე ხელისუფლების წინააღმდეგ მათი ცალ-ცალკე ბრძოლა?**

— გარეთ დარჩნენ რას ნიშნავს? — მათ თავიანთი გზა, გეგმები, ხედვები აქვთ. რატომ დარჩნენ გარეთ? იქნებ, ბიძინა ივანიშვილი და მისი კოალიცია დარჩა გარეთ? — ასეც ხომ შეიძლება საკითხის დაყენება. მათ აქვთ სერიოზული იდეოლოგიური, პოლიტიკური მსოფლმხედველობრივი სხვაობა. კოალიცია თავის ადგილს ნატოში, დასავლეთში, ევროკავშირში ხედავს. მაგალითად, კახა კუკავა ნატოში ვერ ხედავს საქართველოს ადგილს და ამ შემთხვევაში, მე კახა კუკავას ვეთანხმები. სხვადასხვა გზების მიუხედავად, რად უნდა თქმა, რომ ოპოზიცია ერთად იბრძოლებს მეორე ფლანგის — ხელისუფლების წინააღმდეგ. ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ ყველანი ერთად კოალიციაში არ ვართ გაერთიანებული. პირადად მე არცერთ კოალიციაში არ ვარ, მაგრამ არ მგონია ჩემზე მეტად უნდოდეს ვინმეს საქართველოში დღეს არსებული ამ სიბინძურის დასრულება.

**— რაც შეეხება რუსეთს, სააკაშვილმა განაცხადა, რომ პუტინს საქართველოს ხელისუფლების შეცვლა უნდა. რას ფიქრობთ, ამის თაობაზე?**

— სააკაშვილის განცხადებები აბსოლუტურად არ მაინტერესებს. ეს არის სპეკულაცია, რითაც იგი ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობს. რუსებს სურთ სააკაშვილი საქართველოში. რუსეთმა მოიყვანა იგი აქ, ივანოვი ჩამობრძანდა და ჩაბაარა მას საქართველოს ტახტი.

**მთელი ამ წლების მანძილზე, სწორედ პუტინის მხარდაჭერით რჩება სააკაშვილი ქვეყნის სათავეში, რის გამოც საქართველო მთელი სიმდიდრით ლარნაკით მიართვა რუსეთს მთელი ეკონომიკური პოტენციალით. დეინიდან დაწყებული წყლით დამთავრებული, ოქროს საბადოები, ყველა სტრატეგიული ობიექტი, რუსეთს ეკუთვნის თან დაუფარავად. უფრო მეტიც, ელექტროკომპანიას, რომელიც საქართველოს ელექტროენერგიით ამარაგებს, იმისთვის, რომ მათგან ე.წ. „ატკატებს“ იღებენ,**

ნაგვის გადასახადიც მიუერთეს. მთელი ეს ფული რუსეთში მიდის, მათ ბიუჯეტს ავსებს და არა საქართველოს. ასე, რომ საუბარი იმაზე, თითქოს მედვედევი ან პუტინი სააკაშვილის მოწინააღმდეგენი არიან, სასაცილოა. ვიმეორებ, მათი ძალისხმევით, ფულით, ფარული მხარდაჭერით, რჩება სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში, თორემ ამდენი ხანი სააკაშვილის დუხი არ იქნებოდა აქ. აგვისტოს ომის დროს სააკაშვილს დაქოქილი ჰქონდა თვითმფრინავები, მაგრამ დაურეკეს და უთხრეს — დაწყნარდი, ბიძიკო, შენთვის და ჩვენთვის კეთდება ეს ყველაფერიო.

**— მაშინ ამერიკის როლი როგორია ჩვენს ქვეყანაში? ობამამ მიშას უთხრა დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩაატარო და წახვიდეო.**

— ამერიკას თავისი ინტერესების განხორციელება სურს, საერთოდ არ ადარდებს საქართველოში დემოკრატია. აშშ-ს მხოლოდ ტერიტორია აინტერესებს და არა დემოკრატია. შიზოფრენიკ სააკაშვილს რასაც უნდა იმას აკეთებინებენ, რათა მან სკამი შეინარჩუნოს. ავღანეთში 1700 ქართველს თავგანწირვას სხვა გამართლება არ აქვს, 60-ის გაგზავნაც საკმარისი იქნებოდა, როგორც ამას დიდი ქვეყნები აკეთებენ. დემოკრატიის აღმშენებლობის მცდელობა ისეთივე კრახით დასრულდება ავღანეთში, როგორც საქართველოში დამთავრდა. 26 მაისს ვნახეთ როგორი დემოკრატია დაამყარა აქ სააკაშვილმა და ამერიკელებიც მშვენივრად ხედავენ ამას. ამერიკა ისევე, როგორც რუსეთი არის იმპერიალისტური ქვეყანა, ოღონდ რუსეთი ამას უხეშად — ტანკით, ზარბაზნით, ჩექმით აკეთებს, ხოლო ამერიკა — ფარისევლობით, პროგრამებით, დოლარებით, სულის მისყიდვით.

**თამარ შველიძე**





# xelisufleba Semosavlebis axali dabegvrisTvis emzadeba, anu ra materialuri zarali miadgeba saqarTvelos mosaxleobas da ras eSmakobs ministri SaSkini

ჩვენზე „ზრუნვასა და კეთილდღეობაზე ფიქრში“ გართული ხელისუფლება ჩვენს ჯიბეებში ისე იქქება, როგორც დაგიბარებია. მათ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს და ჯიბეში ხელის ჩაყოფის მიზეზები არ ელევა. ჩვენც გატრუნულები ვიცდით და ხმას არ ვიღებთ, იმ დრომდე მაინც, ვიდრე ბოლო თეთრს არ ამოგვაცლიან. საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებამ თვალი დაადგა უცხოეთიდან გადმორიცხულ ფულად გზავნილებს და მათი დაბეგვრა გადაწყვიტა. რა ერქმევა ამ გადასახადს, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ ქვეყანაში შემოსული ყოველი ერთი დოლარიდან მიმღები 20 ცენტს სახელმწიფოს გადაუხდის. ანუ ამოქმედდება 20-პროცენტიანი დაბეგვრის რეჟიმი. რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ თვალს გადავავლებთ ოფიციალურ სტატისტიკას.

## მომიტეხე ჭადი, მოგიფშვნი ყველსა

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2012 წელს, იანვარში, ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადი გაიზარდა და 84,4 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს 10 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მაგრამ 40 მილიონი დოლარით ნაკლებია, 2011 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე. აქვე ვიტყვით, რომ შემცირდა საქართველოდან საზღვარგარეთ გაგზავნილი ფულის მოცულობა და მთლიანობაში 6,8 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2,4 მილიონი დოლარით ნაკლებია, წინა თვესა და წელს გაგზავნილ თანხებთან შედარებით. იქითაც და აქეთაც გზავნილების ნახევარი რუსეთზე მოდის.

როგორც ვხედავთ, ყოველთვიურად საქართველოში საშუალოდ, 90 მილიონი დოლარი შემოდის. ეს ის თანხაა, რასაც ქვეყნიდან გადახვეწილი ქართველები საკუთარ ოჯახებში გზავნიან. რისთვის, ყველასათვის ცნობილია: ოჯახების დასაპურებლად. ეს ოჯახები კი არც ისე ცოტაა:

WESTERN UNION
MONEY TRANSFER

260 ათასი. გამოდის, რომ ნახევარი საქართველო თავს საზღვარგარეთ წასული ნათესავების დახმარებით ირჩენს. ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ ამ ხალხის მადლიერი იყოს, რაკი მათი წყალობით უმუშევრად დარჩენილი უპოვრების არმია მშიერი არ ჰყავს, ადგა და მათ ხარჯზე ფულის გაკეთება გადაწყვიტა. ყოველთვიური 80-90 მილიონი დოლარიდან 20-22 მილიონს სახელმწიფო წაიღებს და რა გზას გაუყენებს, ეს უკვე ჩვენი გადასაწყვეტი აღარ იქნება, რადგან, როგორ იხარჯება ბიუჯეტი, ტაბუდადებული თემაა. სამაგიეროდ, ზუსტად შეიძლება იმის თქმა, როგორ დაზარალდებიან ისედაც ხელმოკლე ოჯახები, რომლებიც საზღვარგარეთ გადახვეწილი ნათესავების ხარჯზე ცხოვრობენ სააკაშვილის „აყვავებულ“ საქართველოში.

## შაშკინი ისევ ცრუობს

განათლების მინისტრი, რომელიც საკუთარი მოქმედებებით ციხის უფროსს უფრო ჰგავს, ბიზნესით დაინტერესდა. „საერთო გაზეთმა“ ჯერ ვერ დაადგინა, ეს ბიზნესი ბიუჯეტიდან ფულის მოტეხვაა, თუ ახალი დეველოპერული კომპანიის განვითარება. უფრო კონკრეტულად კი, განათლების სისტემაში საჯარო სკოლების დახურვის „ტრადიცია“ კოლეჯებსა და სპეციალურ სასწავლებლებსაც გადაედო. ერთი კვირის წინ შეზღუდული უნა-



რების მოსწავლეებმა, სპეციალიზებული სკოლის მასწავლებლებმა და მშობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ბროსეს ქუჩაზე მდებარე სკოლა, რომელიც 20 წელზე მეტია არსებობს, დაიხურა. სამინისტროს თანამშრომელი განმარტავს, რომ შენობა ავარიული იყო და შესაკეთებლად დაკეტეს. მშობლებს და მასწავლებლებს დაპირდნენ, რომ სხვადასხვა სკოლებში გადაანაწილებდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ სკოლის დაფინანსების საკითხი 2012 წლის ბიუჯეტში აღარ არის გათვალისწინებული. თუ ფული არ იქნება, ბუნებრივია, ვერც სკოლა იფუნქციონირებს. ეს ამბავი შესაძლოა, სასწავლო წლის დასაწყისში არც მინისტრმა იცოდა, მაგრამ დღეს იცის და ტყუის.

პარალელურად დაიხურა რამდენიმე კოლეჯი, სადაც მშობლებს 30-პროცენტიანი თანადაფინანსების გადახდა უწევდათ და ეს დიდი შეღავათი იყო ხელმოკლე ოჯახებისათვის. საყურადღებოა, რომ კოლეჯებიც ქალაქის პრესტიჟულ უბანში, ავლაბარში მდებარეობს. დირექტორები გაურკვეველ პასუხებს იძლევიან და აცხადებენ, რომ მათ ახალ წლამდე არაფერი იცოდნენ შესაძლო დახურვის შესახებ. ბიუჯეტში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და გაუმჯობესების პროგრამით, გათვალისწინებულია 7,2 მილიონი ლარი. ეს არ არის ისეთი ცოტა თანხა, რომ სახელმწიფო კოლეჯები ერთმანეთის მიყოლებით დაიხუროს დაუფინანსებლობის მოტივით.

ერთი სიტყვით, შაშკინს ქალაქის ცენტრში რამდენიმე სარფიანი ადგილი გამოუთავისუფლდა სამშენებლო საქმის დასაწყებად. რას იზამს მინისტრი, გაყიდის, თუ თავად გამოიყენებს პრესტიჟულ ადგილებს, გამოჩნდება. რას იზამენ უნარშეზღუდული ბავშვები და კოლეჯის მოსწავლეები, ეს მოწოდებით პოლიციელ მინისტრს არ აინტერესებს. როგორც ჩანს, მისი ინტერესების სფერო გაცილებით ფართო და მაღალფარდოვანია. მაღალი იქნება, მაშ როგორ, როცა ამოდენა ბიუჯეტი ზურგს გიმაგრებს და პასუხის მომთხოვნი არ გყავს.

## არ გადაიხდი და ...

უგულავას კაცებმა ისევ აურიეს. ამჯერად, თბილისის წყლის კომპანიამ. გადაწყვეტილი საკითხია, რომ 2015 წლისთვის მთელი თბილისი გამრიცხველიანებული უნდა იყოს. ეს ვალდებულება, რის შესრულებასაც დიდი ინვესტიციები, ანუ თანხები სჭირდება, კონტრაქტით, კომპანიის კომპეტენციაა. „ჯორჯია ვოთერ ენდ

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

ფაუერი“ ვალდებულია, მოსახლეობას მრიცხველები საკუთარი სახსრებით დაუმონტაჟოს. რაკი უგულავასაც და თავის კაცებსაც ფული შემოაკლდათ, გადაწყვიტეს, გამრიცხველიანების სოლიდური ხარჯები მოსახლეობას აჰკიდოს. როგორც კომპანიის პრესსამსახური აცხადებს, გამრიცხველიანების ხარჯების დაფარვა ადრე თუ გვიან მათ მოუწევთ და მრიცხველის დაზიანების შემთხვევაშიც პასუხისმგებლები თავად იქნებიან. კომპანია იმით ამშვიდებს საზოგადოებას, რომ ოთხსულიან ოჯახებს შეღავათს გაუწევენ. ხუთ-ექვსსულიანმა რა დააშავა? ან ერთსულიანმა? მარტო რომ არის, იმიტომ უნდა გადაიხადოს 100-150 ლარი? კომპანიაში მიაჩნიათ, რომ ეს რიტორიკული კითხვებია და პასუხის გაცემა არ არის საჭირო. ისინი, ასევე, განმარტავენ, რომ მრიცხველების დადგმის შემდეგ მომხმარებელს გაცილებით ნაკლების გადახდა მოუწევს, ვიდრე აქამდე ხდებოდა. ოღონდ, როგორ, ესეც სადავო საკითხია. წინასწარი ინფორმაციით, 1 ტონა წყალი 50 თეთრი ეღირება. ოფიციალური ინფორმაციით, თბილისში საშუალოდ ყოველი მოქალაქე ყოველდღიურად 500-700 ლიტრ წყალს ხარჯავს. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ეს




საგანგებოდ გაბერილი ციფრებია. ვთქვათ, თითო მობინადრე 200-300 ლიტრს დახარჯავს, რაც ძალიან ოპტიმალურია. გამოდის, რომ ყოველდღიური ხარჯი 10-15 თეთრი იქნება, სულ ცოტა. გადაამრავლეთ 30 დღეზე და საშუალოდ 3-4,5 ლარს მივიღებთ. ცოტაა? არა გვგონია, რადგან დღევანდელი 3,15 თეთრი შესაძლოა, სანატრელი გაგვიხდეს. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ თბილისის მოსახლეობის უმეტესობას, უფულობის გამო, წყალგაყვანილობის სისტემები მოსაწესრიგებელი აქვს და ყოველდღიურად უმისამართოდ იხარჯება ათასობით ტონა წყალი, რაც შემდეგ ჩვენი გასასტუმრებელი ხარჯი იქნება.

## სიღარიბე იზრდება, იზრდება

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტომ, მართალია, შარშან მცირედით შეამცირა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა საერთო მოცულობა, მაგრამ ამით პრობლემა არ მოგვარებულა. ოფიციალურად 10 ათასი კაცით ნაკლები არც არაფერს ნიშნავს და რაც მთავარია, ბევრს მიაჩნია, რომ ეს შემცირება პირობების გამკაცრებამ გამოიწვია. სოციალური მომსახურების სააგენტო აცხადებს, რომ მოსახლეობის 36.5 % არის ღარიბი, მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, ეს ციფრი 23%-ია. სართაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ უკანასკნელი კვლევებით კი ეს მაჩვენებელი 25 % აღწევს.

საქართველოში მოსახლეობის 15 პროცენტი ყოველდღიურად ერთ დოლარად ცხოვრობს, 32 პროცენტი – სიღარიბის 2-დოლარიანი მაჩვენებლით. ეს რიცხვი სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში გაცილებით ნაკლებია. საქართველოსთან შედარებით, ეს მაჩვენებელი დაბალია მეზობელ



აზერბაიჯანსა და სომხეთში. სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდება. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაცსიღარიბე ყოველწლიურად იზრდება. რაც მთავარია, ეს საკითხი არავის აწუხებს და ხელისუფლება ყოველდღიურად გვიმტკიცებს, რომ პრობლემა ფაქტობრივად დაძლეულია. ამის დასამტკიცებლად უშვებენ ვაუჩერებს 20, 30-ლარიანს. მიმდინარეობს დასაქმების პროგრამები სამუშაო ადგილების შექმნის იმიტაცია, რაც ბოლოს იმით მთავრდება, რომ სიღარიბე ღრმავდება და ქვეყანაში ინფლაცია უფრო მაღალ ზღვარს აღწევს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ღარიბები ყველა ქვეყანაში ადეკვატური სოციალური დახმარებით არიან უზრუნველყოფილნი, ჩვენთან კი, სახელმწიფოს დახმარება მხოლოდ მოსახლეობის 8.7 პროცენტს ეძლევა. ისიც რა დახმარებაა, ყველამ კარგად ვიცით: პურის საყიდელი ფული, 30 ლარი. ალბათ, ამ მონაცემებზე შემაშფოთებელი ის არის, რომ საზოგადოება ჩუმად ხვდება ხელისუფლების მოქმედებას და უპროტესტოდ ღებულობს სამადლოდ გადმოგდებულ ვაუჩერებს, რაც შეურაცხმყოფელიც არის და ეკონომიკუ-



რი თვალსაზრისით, გაუმართლებელიც, რადგან მას სხვა შედეგი არაფერი ექნება, გარდა გაზრდილი ინფლაციური პროცესებისა, ანუ გაძვირებული პირველადი მოხმარების პროდუქტებისა. ასე იქნება ახლაც, როცა საქართველოს ყველა მოქალაქე მიიღებს ელექტროენერგიის ვაუჩერს.

**მანანა გეგიძე**

# vin daamaxinja patrik daunisa da `mencaris~ xelmZRvanelis teqsti?



ბატონ ბიძინა ივანიშვილის განსაქიქებლი, ტელეეკრანებიდან არაერთი მოწოდებული ინფორმაცია მეტად უცნაურად მოტრიალდა. დაინტერესებულ პირებს უპრობლემოდ შეუძლიათ ინტერნეტით მოიძიონ იმ მასალებიდან ამოგლეჯილი „ამბები". მაგალითად, რა არ გავიდა პატრიკ დაუნის სკანდალური წერილიდან, ან რომელ ინკოგნიტო პაციენტზე ისაუბრა „მენცარმა", რა და როგორ იყო გადაკეთებული თუ ერთმანეთზე მიბმულ-გადაბმული.

სახელისუფლებო ტელევიზიებით გადმოცემული ინფორმაცია: — „ივანიშვილების ყოფილი მასწავლებელი სკანდალურ წერილს აქვეყნებს. პატრიკ დაუნი, რომელიც ოლიგარქის ოჯახის წევრებს ინგლისურს ასწავლიდა, ირწმუნება, რომ ის უტა ივანიშვილმა მოწამლა."

**პატრიკ დაუნის წერილი:** — „ბავშვებმა იცელქეს და წვეულებაზე დამალევინეს დიდი დოზა ძლიერმოქმედი საფაღარათე პრეპარატი".

**ტელევიზიები:** — „ოცმაგი დოზა დაალევინეს."

**პატრიკ დაუნის წერილი:** — „ერთ-ერთი გაკვეთილის დროს, რომელიც ჭორვილას რეზიდენციაში გვქონდა, ლითონის სახაზავი ჩამარტყა."

**ტელევიზიები:** — „მას აქვს საკმაოდ უცნაური შეხედულებები გეოპოლიტიკაზე, ასევე, რელიგიურ თემებზე."

(დაუნის საუბარს ქართული თარგმანი ადევს, თუმცა მის მიერ წარმოთქმულ ფრაზებში გარკვევით ისმის სახელი „ბიძინა", რომელიც ქართულად თარგმნილია, როგორც „ბორისი" და ეკრანზე ლათინური შრიფტითაც „ბორის ივანიშვილი" იწერება)

**პატრიკ დაუნის წერილი:** — „მე არ ვიცი მათი აზრი, ვინც საქართველოსა და რუსეთის შესახებ ინფორმირებულია, მაგრამ ყოველთვის მიმაჩნდა, რომ, საერთო ჯამში, რუსი კაცები ღირსეულები და სიტყვის პატრონები არიან. რაც შეეხება ქართველებს, ისინი, როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთში, ცხინვალში მოქალაქეებს თავისუფლად ხოცავდნენ, — ეს არსებული ხელისუფლების პოლიტიკური მახასიათებელია, განსაკუთრებით, შევარდნაძის მმართველობის შემდგომ პერიოდში, რომელსაც პატიოსან, უბრალო ქართველ ადამიანებთან არანაირი კავშირი არა აქვს.

**როდესაც ცნობილი გახდა, რომ ჰოლივუდის ახალ ფილმში „საქართველო", მაშინდელი სახელწოდებით, ენდი გარსია მიხეილ სააკაშვილის როლს შეასრულებდა, წყობიდან გამოვედი. ფილმი „საქართველო" იმ კოშმარის ნაწილია, რომელიც კავკასიაში ახლა იწყება."**

**ტელევიზიები:** — „ივანიშვილის ოჯახის პედაგოგი პატრიკ დაუნია, ყოფილი სამხედრო და აშშ-ის უკვე ყოფილი მოქალაქე, რომელიც პოლიტიკურ თავშეფასაფარს ირლანდიაში ითხოვს იმ მოტივით, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვიდან ემუქრებიან. პატრიკ დაუნი ყვება, რომ სიტუაციის მასთან გარკვევას, ბიზნესმენის მარჯვენა ხელის, ირაკლი ღარიბაშვილის ზარი მოჰყვა, რომელიც ინგლისურის მასწავლებელს დაემუქრა. დაუნს საქართველოს დატოვება მოუხდა. დღეს ბიძინა ივანიშვილი ადასტურებს, რომ მსგავსი პიროვნება მასთან ნამდვილად მუშაობდა და მას ფსიქიურად დაავადებულს უწოდებს."

**პატრიკ დაუნის წერილი:** — „ერთი რამ ვიცოდი, რომ პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსის ძიებაში შერყეული ფსიქიკით, შეიძლება, დუბლინის ციხეში მოვხვედრილიყავი."

**ბიძინა ივანიშვილის კომენტარი:** — „ეს წერილი ვინც წაიკითხა და ვინც გაეცნო ამ წერილს, — წერილშივე ჩანს, რომ მას აქვს სერიოზული ფსიქიური პრობლემები და შესაბამისად, ჟურნალისტმა ის სერიოზულად არ უნდა მიიღოს. მადლობა ღმერთს, რომ ის ამერიკაშია და მე იმედი მაქვს, რომ ამერიკელები მას მიხედავენ, პრიციპ-



პატრიკ დაუნი

ში, ამ პრობლემებს დაუბალანსებენ. ჩვენ შიგნით გვაქვს, უფრო ახლოში გვაქვს მსგავსი პრობლემები და ჯობია მას მივხედოთ ჩვენ".

სხვადასხვა არხებზე გასული სიუჟეტები ვინც იხილა და მოისმინა, ემახსოვრება, რატომ გადასწვდნენ „მენცარის" („საიდუმლოში ჩამწვდომი") ფსიქო-ანალიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც ზოგს დღემდე კონკრეტული ადამიანის ზედსახელი ჰგონია. რატომ გააქიაქეს ამ ჯგუფის დამფუძნებლის, პროფესორ გივი მერაბიშვილის საქმიანობა? — რადგან ბიძინა ივანიშვილმა ახსენა, თუმცა, მათკენ გასროლილი ტალახი, სხვა მხარეს მიეტყლიჟა. (ამ „გაუგებრობაში" **გვანჯი მანიაც** მოხვდა, რადგან წლების წინ „მენცარის" პოპულარიზაციაში შეუტანია დიდი წვლილი. „ალერგია, ანორექსია, ეპილეფსია, დიაბეტი; სოციალური პათოლოგიები: ალკოჰოლიზმი, დამნაშავეობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, ტერორიზმი, ქსენოფობია; ფსიქიური აშლილობანი: ფსიქოზი, ნევროზი, — ამას რომ კაცი გაეცნობა, ეს შემიძლიაო, იმას რომ მხარში არ ამოუდგე, დანაშაული იქნება," — უთქვამს ბატონ გვანჯის)

გაუგებარია, რა უნდა ამოიკითხოს ადამიანმა დასაძრახი ინფორმაციაში, რომ წლების წინ ბიძინა ივანიშვილი ჯგუფ „მენცართან" თანამშრომლობდა, მათგან რჩევებს იღებდა და ფინანსურად ეხმარებოდა.

**ტელევიზიით გავიდა:**

**ჟურნალისტი:** — მოდით, ნარკომანიაზე ვისაუბროთ...

**„მენცარი":** — ამ პრობლემაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რაღა არის სასაუბრო.

**ჟურნალისტი:** — მოგირჩენიათ ნარკომანები?

**„მენცარი":** — დიახ.

**ჟურნალისტი:** — როგორ.

**„მენცარი":** — როგორ და, ნარკომანებს ნარკომანია დაავადება ჰგონიათ, — ჩვენ სხვა რამეს ვმკურნალობთ და მოთხოვნილება ქრება.

**ჟურნალისტი:** — ეს „სხვა რამ" რა არის.

**„მენცარი":** — სულიერი აშლილობა.

აქ მცირე ხნით ხნით წყდება კითხვა-პასუხი და ჩართულია ექიმი-ნარკოლოგის მცირე კომენტარი, რომ ნარკომანია მოპროგრესირე ქრონიკული დაავადებაა. შემდეგ საუბარია „შიდსის" განკურნების „მენცარისეულ" ხედვაზე, როგორც „დაუმტკიცებელ ბოდვაზე" და დაპირისპირებულია ტრადიციული მედიცინის „დამტკიცებული ხედვა."

**კითხვაზე** „მოგირჩენიათ ნარკომანები?" არ გავიდა სრული **პასუხი:** — „დიახ, სხვათაშორის, საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირები."

**ჟურნალისტი:** — როგორ.

**„მენცარი":** — მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, ამიტომ, კომპლექსური მკურნალობა დასჭირდა, რაც ოთხი კომპონენტისგან შედგებოდა, შრომითი და ჩანაცვლებითი თერაპია, ზენორმული ფიზიკური დატვირთვა და დოქტორი დოტის დამამშვიდებელი მასაჟი. ყველაფერმა ამან, სასურველ შედეგთან მიგვაახლოვა და ნარკოდამოკიდებულება შემცირდა, მაგრამ ამ კონკრეტულ პაციენტთან დაკავშირებით, ცოტა ხანში სხვა პრობლემებმაც იჩინეს თავი.

**ჟურნალისტი:** — ეს „სხვა რამ" რა არის.

**„მენცარი":** — ერთ-ერთი მთავარი, შიზოფრენიული ფსიქოზია, რის მკურნალობასაც განსაკუთრებით ართულებს ეპილეფსიის პერმანენტული შეტევები.

**ტელევიზიით გავიდა:**

**ჟურნალისტი:** — ეპილეფსიასაც უწამლოდ კურნავთ?

**„მენცარი":** — (ხმა და ტიტრები სიტყვათწყობაში ერთმანეთს არ ემთხვევა) „ეპილეფსია უკვალოდ და სამუდამოდ ქრება. საოცარ მოვლენას გადავაწყდით, ყველა ეპილეპტიკი აცნობიერებდა, რომ გულყრა მისთვის ძალზე ახლობელი, მშველელი, უფრო მეტიც, გადამრჩენელი და ამიტომ, სასურველი, აუცილებელი მოვლენა იყო." (სხვათაშორის, ჩემს ძალიან ახლობელ ადამიანს აქვს გენერალიზებული ეპილეფსია და დამიდასტურა, რომ მართლაც ასეა — მ.ჭ)

**არ გავიდა პასუხი:**

**„მენცარი":** — „წამლებით მკურნალობა ჯობდა, მაგრამ მას, ფარმაკოფობიის გამო, წამლების მიღების პათოლოგიური შიში აქვს და იძულებული ვარ, ჰიპნოზს მივმართო. როგორც მოგეხსენებათ, ჰიპნოზის დროს, პაციენტის ცნობიერი მხარე გათიშულია და მთლიანად ემორჩილება ჰიპნოტიზიორის ბრძანებებს. შთავაგონე, რომ დემოკრატიულ საქართველოს აშენებს და ხალხს ძალიან უყვარს, უკვე დავით აღმაშენებელზე დიდ მმართველად თვლის საკუთარ თავს და ჰგონია, რომ ქვეყანაში იდეალური ეკონომიკური მდგომარეობაა. ეს ყველაფერი აწყნარებს და ეპილეფსია თანდათან უკან იხევს, თუმცა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია."

არა, მე მაინც ვერ მივხვდი, (ალბათ, სხვაც,) რა შუაშია ბატონი ივანიშვილი, თუ ჯგუფი „მენცარის" ჯგუფის საქმიანიობა ერთ-ერთი ფსიქო-ანალიტიკური მიმდინარეობაა, რომელიც თავისი შემუშავებული მეთოდით კურნავს მსურველს?

საქართველო დიდი ხანია ის ქვეყანა გახდა, სადაც სურვილისამებრ ითაგმნება ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი. არ აქვს მნიშვნელობა, ქვეყნის პრემიერის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალებას ეხება, „ვენეციის კომისიის დასკვნაა", „ტალიავინის კომისიისა", ბარაქ ობამასთან საუბარი თუ სამართალდამცავებისა და ტელეკამერების წინ აღიარებითი ჩვებების მიცემის მოთხოვნილება, ან სულაც „მასობრივი ფსიქოზი" დროდადრო, როცა მოქალაქეებს სპონტანურად უჩნდებათ სურვილი, თავიანთი უძრავი ქონება სახელმწიფოს „აჩუქონ."



საქართველო დიდი ხანია ის ქვეყანა გახდა, სადაც რეალობას კი არ უჩვენებენ ტელევიზიევბი, არამედ, ტელევიზიაში „კეთდება ახალი ამბები", წინასწარ დადგმული „სატელევიზიო დაპატიმრებები", (თუმცა, სიმპათიის შემთხვერვაში, დამნაშავე, შეიძლება, პირიქით, გააპიარონ, დანაშაულზე თვალიც დახუჭონ, ისევე, როგორც „კოხორას" შემთხვევაში მოხდა) „მოდელირებული ქრონიკა", „სპეციალური და შეკვეთილი რეპორტაჟები", პიროვნებების სახელისა და ღირსების შემლახველი დაუსაბუთებელი ჭორები...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# opozicias win seriozuli saarCevno brZola elodeba

*რა ეტაპზეა „საქართველოს გზასა“ და ბიძინა ივანიშვილს შორის მოლაპარაკების პროცესი და ზოგადად, რა გეგმები აქვს პარტიას სამომავლოდ,? საერთო გაზეთს“ „სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზის“ თავმჯდომარე **პახა სეთურიძე** ესაუბრა:*

**— ბატონო კახა, რამდენიმე დღის წინ პარტიის საერთაშორისო მდივანი თეიმურაზ მურვანიძე დააკავეს, რა გახდა დაკავების რეალური მოტივი?**

— მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა აგრძელებს ქვეყანაში პოლიციური რეჟიმის მშენებლობას. მათ უკვე რეკრეაციულ ზონაში „კიკვიძის ბაღში“ დაიწყეს პოლიციის მასშტაბური შენობის აშენება. ჩვენი პარტიის წევრი რამდენიმე არასამთვრობოსა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან ერთად სწორედ იმისთვის დააკავეს, რომ ისინი „კიკვიძის ბაღში“ პოლიციის შენობის აშენებას აპროტესტებდნენ. თუმცა პარტიისთვის ამ დრომდე უცნობია თუ რა გახდა მურვანიძის დაკავების რეალური მიზეზი. ჩვენ გვაქვს ვიდეო-მასალა, სადაც ნათლად ჩანს, რომ თეიმურაზ მურვანიძე საკუთარი პროტესტის გამოხატვით კანონს არ არღვევდა და უკანონობას არ ჩადიოდა. თეიმურაზ მურვანიძე ამ ეტაპზე უკვე თავისუფალია. სასამართლომ მას ადმინისტრაციული სასჯელი- 400 ლარი ჯარიმის გადახდა დააკისრა. თუმცა არ ვაპირებთ უსამართლობასთან შეგუებას და აბსოლუტურად ყველა მეთოდს გამოვიყენებთ უკანონობის შესაჩერებლად. ცხადია, მოცემულ სიტუაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საზოგადოების მხარდაჭერას. ხალხი გვერდში თუ დაგვიდგება, გამარჯვებას აუცილებლად მივაღწევთ. უბრალოდ, დაუშვებელია რეკრეაციულ ზონაში ხეების მასიური გაჩეხვა იმისთვის, პოლიციის შენობა აშენდეს.

ჩვენ აუცილებლად ვიბრძოლებთ, ცხადია, კანონიერების ჩარჩოში, სამართლიანობის აღსადგენად. მივმართავთ სახალხო დამცველსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს პოლიციის მხრიდან ჩადენილ უკანონობაზე დროული დ ადეკვატური რეგირება მოახდინონ.

**— ბატონო კახა, ცნობილია, რომ „საქართველოს გზასა“ და ბიძინა ივანიშვილს შორის კონსულტაციები იგეგმებოდა. თუ შედგა მხარეებს შორის მოლაპარაკება და რა ეტაპზეა პროცესი?**

— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან მისი აქტიური მხარდამჭერები ვიყავით და დღესდღეობითაც იგივე გზას ვაგრძელებთ. მოგეხსენებათ, „ოპოზიციური რვიანისა“ და „ექვსიანის“ დაშლის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები, შეიძლება ითქვას, ჩამკვდარი იყო. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, საზოგადოებაში გაჩნდა იმედი უკეთესობის მოლოდინის. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს გააჩნია აბსოლუტურად ყველა რესურსი ხელისუფლების დასამარცხებლად, მეორე ეტაპი იქნება ქვეყნის არსებული ჩიხიდან გამოყვანა.

უშუალოდ მოლაპარაკების დაწყებას რაც შეეხება, ჩვენი პარტია მზადაა მოლაპარაკებისთვის. ბიძინა ივანიშვილმაც გამოთქვა მზაობა კონსულტაციების დასაწყებად, ამიტომ როცა შედგება მოლაპარაკებები, შედეგებზე უკვე შემდეგ შეგვეძლება საუბარი.

**— ბატონო კახა, რომ დავაკონკრეტოთ — ამ ეტაპზე მოლაპარაკებები არ დაწყებულა?**

— ჯერჯერობით მოლაპარაკების პროცესი არ დაწყებულა და როცა ეს ურთიერთობა შედგება, ცხადია, ყველაფერი გახმაურდება.

**— ფაქტობრივად, პოლიტიკური კოალიციის ფორმირება დასრულდა. რა ფორმატში შეიძლება ვიხილოთ „საქართველოს გზა“ ივანიშვილის გვერდით?**

— მართალია, კოალიციის ჩამოყალიბება დასრულდა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი მორჩა. ოპოზიციას წინ სერიოზული საარჩევნო ბრძოლა ელოდება, მითუმეტეს, როცა ხელისუფლება მზადაა აბსოლუტურად ყველა რესურსი გამოიყენოს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამიტომ მოცემულ სიტუაციიდან გამომდინარე, თავად პროცესები გვიჩვენებს, რა ტიპის ურთიერთობა გვექნება ბიძინა ივანიშვილთან. არა მგონია, ჩვენი მხრიდან მიზანშეწონილი იყოს ვისაუბროთ იმაზე, რა იქნება 1-2 თვის შემდეგ.

**— ბატონო კახა, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ხომ არ გქონდათ შემოთავაზება „საქართველოს გზამ“ რაიმე კონკრეტული პრობლემატიკის მიმართულებით იმუშაოს?**

— პირველ რიგში, ჩვენი მუშაობით ვცდილობთ საზოგადოებაში გავაქარწყლოთ ის შიში, რომელიც ხელისუფლებამ დანერგა. მოგეხსენებათ, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთში პარტიის საპატიო თავმჯდომარეა და მუშაობს ირანის საკითხზე, რაც, ვფიქრობ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თემატიკაა იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც დღეს მსოფლიოში ხდება. ბიძინა ივანიშვილისგან რაიმე კონკრეტულ შემოთავაზებას რაც შეეხება, ასეთი რამ ჯერჯერობით მისი მხრიდან არ ყოფილა.

**— თუ პარტია ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანდა, შესაძლებელია, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი დაბრუნდეს საქართველოში და აქ გააგრძელოს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა?**

— ქალბატონი სალომე საქართ-



## `salome zurabiSvili-saqarTvelos gzas~ ivaniSvilis mxridan konkretuli SeTavazeba ar hqonia

ველოში აუცილებლად დაბრუნდება, მაგრამ არა მგონია, ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციების დაწყებასთან. თუმცა ისაა პარტიის საპატიო თვმჯდომარე და ქალბატონი სალომეც ეთანხმება ივანიშვილის კურსს და პარტიასთან მოლაპარაკების პროცესს მხარდაჭერას უცხადებს.

**— ბატონო კახა, თუ „საქართველოს გზა“ ვერ მოხვდა ბიძინა ივანიშვილის გვერდით და სხვა პარტიების მსგავსად პროცესის მიღმა აღმოჩნდა. რა გეგმები აქვს, „საქართველოს გზას“, როგორ აპირებთ ბრძოლის გაგრძელებას?**

— პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, მოვხვდებით თუ არა კოალიციაში, ჩვენ ჩვენს პრინციპებს არ ვცვლით. „საქართველოს გზა“ საკმაოდ აქტიურია და ყოველთვის ვაკეთებთ რეაგირებას იმ საკითხებზე, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. ცხადია, სასურველია, ჩვენი ბრძოლა თუ ერთიან სახეს მიიღებს, რადგან გაერთიანების შემთხვევაში, შედეგი უფრო გაცილებით მეტი იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია მხოლოდ განცხადებებით, სხვადასხვა პრობლემაზე რეგირებით, ხელისუფლების შეცვლა. თუ გეგმავთ, რაიმე მკვეთრ ქმედებებს, რასაც ხელისუფლებას დაუპირისპირებთ. ვთქვათ, ქუჩის აქციებს?**

— პარტიის დაარსების დღიდან ჩვენ აქტიურ ბრძოლაში ვართ ჩართული და არცერთი ბრძოლის გზა ჩვენთვის მიუღებელი და უხოც არაა. სწორედ ქალბატონი სალომეს თაოსნობით 2009 წლის აპრილის მოვლენების დროს გვერდიგვერდ ის ადამიანები დადგნენ, ვინც წარმოუდგენლად მიგვაჩნდა. ამიტომ საპროტესტო აქციები, მიტინგები არაა მიუღებელი, მაგრამ ეს პოლიტიკოსებისთვის თვითმიზანს არ უნდა წარმოადგენდეს. თუმცა აქციები გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კონკრეტული შედეგი არ დგება. იმედი ნუ გვექნება, ერთ დღეს გავიღვიძებთ და მიხეილ სააკაშვილი აღარ გვეყოლება. მოცემულ სიტუაციაში აუცილებელია მთლიანად ქართული საზოგადოების ჩართვა.

რამდენიმე დღის წინ გვქონდა მოსახლეობასთან შეხვედრა. **უკვე ხელისუფლების მხრიდან მიდის დაშინება, ზეწოლა, რაც ცხადყოფს, „ნაცმოძრაობამ“ ყველა რაიონში, ყველა უბანზე, აამუშავა რეპრესიული მანქანა. ჩვენი მოვალეობაა ამომრჩევლის დაცვა.**

**— ბატონო კახა, რა ფორმით აპირებთ ამომრჩეველი დაიცვათ ხელისუფლების რეპრესიული მეთოდებისგან?**

— სწორედ ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებთან, ამ მიმართებითაა მუშაობა აუცილებელი, რათა შევძლოთ მხარდამჭერების დაცვა მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმისგან.

**— ბატონო კახა, აღნიშნეთ, რომ აქციები მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ რეალური შედეგი არ დგება. დამეთანხმებით, ოპოზიციის აქტიური მცდელობის მიუხედავად, ნორმალური საარჩევნო კოდექსის მიღება მაინც ვერ მოხერხდა. ნინო ბურჯანაძე ინიციატორია, ქუჩის აქციების დახმარებით შემუშავდეს სათანადო საარჩევნო კანონმდებლობა, ხოლო შემდგომ ქვეყანაში ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები. თქვენ იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

— 2008 წელს უკეთესი საარჩევნო კოდექსი ნამდვილად არ გვქონდა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ ასე თუ ისე ჩვენი ხმების დაცვა. უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლებოდა ოპოზიცია რომ არ დაქსაქსული იყო. ამიტომ მნიშვნელოვანია ოპოზიციის ერთობა და რაც მთავარია, ამომრჩევლის აქტიურობა.

**— ბატონო კახა, არსებული საარჩევნო კოდექსის პირობებში რა იქნება ოპოზიციის გამარჯვების განმსაზღვრელი?**

— რა თქმა უნდა, საზოგადოების სურვილი ქვეყანაში განხორციელდეს რეალური ცვლილებები. განმსაზღვრელი იქნება, ცხადია, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორიც.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## ზაზა ხატიაშვილმა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს საქართველოში ადვოკატთა დევნის ფაქტები გააცნო

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ბრიუსელში ევროპის საბჭოს ადამიანის ულებათა კომისარ თომას ჰამერბერგს შეხვდა და საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნის ფაქტები გააცნო.



როგორც „მედიანიუსს“ ადვოკატთა ასოციაციიდან აცნობეს, კომისართან შეხვედრაზე განიხილეს იმ ადვოკატთა საქმეები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა 2011 წლის შემდეგ დააზარალა. კერძოდ, რამინ პაპიძის, თამილა ქუთათელაძის, ნაირა ოტიაშვილის, გივი ექვთიმიშვილის, ტარიელ მურმანიშვილის, ირინა სალინაძის, ლალი ჯიმშერაშვილის, დავით დეკანოიძის, ჯუმბერ მილორავას, დიანა მარტიაშვილის, ქეთევან ვარდანაშვილის და სხვათა საქმეები.

ზაზა ხატიაშვილმა თომას ჰამერბერგს თხოვნით მიმართა, დაეხმაროს საქართველოს ადვოკატთა კორპუსს, კიდევ ერთხელ შეისწავლოს ადვოკატთა დევნის საქმეები და შექმნილი მძიმე სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ ევროპის საბჭომ მიიღოს მკაცრი რეზოლუცია საქართველოში ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნის და არაჯანსალი სამართლებრივი გარემოს გამოვლენის მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე შეხვდა ევროკავშირის ყოფილ ელჩს საქართველოში პიტერ სემნებს, რომელიც ასევე გაეცნო საქართველოს ადვოკატთა კორპუსის დევნის ფაქტებს.

ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ევროპარლამენტში.

**„მედიანიუსი“**

# მსოფლიო პრესის მიხედვით

## prezidentobis kandidati gamudmebiT saomar mdgomareobaSia

**ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაციით, პუტინი შესაძლოა, თავდასხმის მსხვერპლი გამხდარიყო. არავინ უწყის, სიმართლეა თუ არა ეს, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ „ნაციონალური ლიდერი“ თავის საპრეზიდენტო კამპანიას შიშსა და მტრის ხატებაზე აგებს — თანაც, მსგავს ტაქტიკას პირველად როდი ირჩევს, — წერს ყოველკვირეული გამოცემა Focus-ის მიმომხილველი ბორის რაითშუსტერი.**

სამშობლოს დამცველთა დღეს, „ლუჟნიკის“ სტადიონზე გამოსვლისას, პუტინი ლაპარაკობდა ბრძოლის, გამარჯვებული ხალხის, სამშობლოს წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ — ეს სიტყვები ისე ჟღერდა, თითქოს რუსეთი საომარ მდგომარეობაშია. და აი, რამდენიმე დღეში, ერთ-ერთი სახელმწიფო ტელეარხი იტყობინება: სპეცსამსახურებმა მოახერხეს და აღკვეთეს რუსეთის მთავრობის მეთაურზე თავდასხმა, რომელსაც თითქოს ჩეჩენი ისლამისტები ამზადებდნენ. ტერაქტი 4 მარტს — არჩევნების დასრულებისთანავე იგეგმებოდა.

არავისთვის არის უცხო, რომ ყველანაირ საფრთხეზე ლაპარაკი სწორედ არჩევნების წინა პერიოდში იწყება, — აღნიშნავს რაითშუსტერი. ასე იყო 1999 წელს, როცა ბომბების აფეთქებამ და ჩეჩნეთში ომმა პუტინს კრემლისკენ გზა გაუადვილა. 2004 წელს, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, პუტინმა გადააყენა პრემიერ-მინისტრი, რომელსაც მოგვიანებით „ვაშინგტონის კაცის“ იარლიყი მიაკერეს.



2008 წელს გამოააშკარავეს შეთქმულება, რომლის მიზნადაც პუტინის მკვლელობა გამოცხადდა; თუმცა იმ წელიწადს საპრეზიდენტო სავარძელში მისივე კაცი — დიმიტრი მედვედევი აღმოჩნდა. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ უშუალოდ არჩევნების წინ ტერორისტთა გეგმების გამოაშკარავების შესახებ ინფორმაცია სხვა არაფერია, თუ არა ძველი და როგორც ჩანს, ახალი პრეზიდენტის წინასაარჩევნო მანევრი, — აღნიშნავს რუსეთის შინაცხოვრებაში კარგად ჩახედული რაითშუსტერი.

კანდიდატ პუტინის წინასაარჩევნო ტაქტიკის ანალიზი ცხადყოფს — „კაგებეს“ ყოფილ ოფიცერს გულწრფელად სჯერა, რომ საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ამის დასტურად გამოცემას მოჰყავს სტადიონზე პუტინის გამოსვლის ტექსტის ფრაზები: „რუსეთისთვის ბრძოლა გრძელდება... ჩვენ გავიმარჯვებთ... არ დავუშვებთ, რომ ვინმე ჩაერიოს ჩვენს საშინაო საქმნეებში... არ დავუშვებთ, ვინმემ თავს მოგვახვიოს თავისი ნება... რუსი ხალხი გამარჯვებული ხალხია...“

„დილიდან დაღამებამდე, თითქმის ყველა ტელეარხზე, წინასაარჩევნო კამპანიის ლაიტმოტივად, ვლადიმირ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირები ცდილობენ, ხალხს თავს მოახვიონ აზრი, რომ ოპოზიციის გამარჯვება უეჭველად გამოიწვევს სამოქალაქო ომს, რომ პუტინის კრიტიკოსთა უკან დგანან გარეძალები, რომლებსაც რუსეთში დესტაბილიზაცია და ქვეყნის დამონება სურთ“, — წერს ჟურნალისტი და დასძენს — მტრის ხატის შექმნისა და გარესაფრთხეების შესახებ თანამოქალაქეების დარწმუნების ტრადიციის ფესვები საბჭოთა ეპოქისდროინდელია.

„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასე აშკარად, როგორც ახლანდელი საარჩევნო კამპანიისას, ბანქოს ქაღალდი აქამდე არ გაუთამაშებიათ. საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გამო გამართულმა მასობრივმა საპროტესტო ტალღამ პუტინი და მისი გარემოცვა სერიოზულად ააფორიაქა“, — ვკითხულობთ მიმოხილვაში. „ნარინჯისფერი“ სცენარის შიში პარანოიაში გადაიზარდა და ეს არც არის გასაკვირი: „პუტინის სამეგობროს — მის მეგობრებს, „კაგებეს“ დროინდელ ამხანაგებს, მეზობლებს მართლაც ბევრი რამ აქვთ დასაკარგი — დღესდღეობით, პუტინი აკონტროლებს რუსული ეკონომიკის ლომის წილს და გაუგონარი სიმდიდრის პატრონია“.

ნებისმიერი მმართველი, რომელიც ხანგრძლივად არის ხელისუფლებაში, რეალობასთან კავშირს კარგავს და გამონაკლისი არც პუტინია, რადგან გარემოცვიდან ვერავინ ბედავს მის კრიტიკას. „როცა პუტინი უკმაყოფილებას გამოთქვამს ნატო-ს მოქმედებების გამო, როცა ლაპარაკობს ომზე ან შეიარაღების მასშტაბურ გეგმებზე, იგი არ ხუმრობს. მას თითქოს გულწრფელად სჯერა, რომ მოსკოვში საპროტესტო გამოსვლებს ამერიკელი დირიჟორები ჰყავს და ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკურ მიზანს რუსეთის დამონება წარმოადგენს“. მას სურს შენილბოს საკუთარი აზრები და დამალოს მწარე სიმართლე — მისი ქვეშევრდომების ქუჩაში იძულებით გამოსვლის მიზეზები საკუთარ თავში უნდა ეძებოს, იმ პოლიტიკურ კურსში, უწინარესად იმ საბედისწერო შეცდომებში, რომლებიც ბოლო თვეებში მოუვიდა. თვითკრიტიკული შეფასებების ნაცვლად, პუტინი ცდილობს, თავი წარმოაჩინოს უკანასკნელ იმედად და ბასტიონად, ლამის მეფედ, რომელმაც იმპერია გარეშე მტრებისგან უნდა გადაარჩინოს.

ეს თამაში — ცეცხლთან, ნაციონალიზმთან და ომის საფრთხესთან, აღარ არის თამაში, რადგან მან ეს ყველაფერი უკვე ირწმუნა.

**Focus**

---

## riT unda moxiblos saqarTvelom afxazeTi da samxreT oseTi?

რა ხდება საქართველოში? ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყანას ერთგვარ სამოთხედ წარმოაჩენენ — თითქოსდა ეკონომიკის ისეთი აღმავლობაა, რაც მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ დაესიზმრება, ჯანდაცვისა და განათლების სახელმწიფო სტრუქტურებიც ეფექტიანად მუშაობენ... ხოლო აჭარაში, სეპარატისტული რეგიონების დასანახად, აღმშენებლობითი პროცესია გაჩაღებული...

სინამდვილეში რა ხდება?

საქართველოს ამ რეგიონში, უფრო სწორად, ერთ კონკრეტულ ქალაქ ბათუმში, მიმდინარეობს გამალებული მშენებლობები და ძველის რეკონსტრუქცია, მაგრამ მთავარია, რა შენდება, როგორ აღადგენენ ძველ ობიექტებს, რა დარჩება მომავლისთვის ღირებული? ის შენობები ხომ არა, რომლებიც ვიღაცის ახირებული ფანტაზიისა და მისი არქიტექტურული უგემოვნების დემონსტრაციაა? ეს „ვიღაც“ რომ ქვეყნის პირველი პირია, ესეც ცნობილია, რადგან მას არერთხელ მიუცია „აღიარებითი ჩვენება“, რომ არქიტექტორისა თუ დიზაინერის ფუნქციებსაც ითავსებს... აჭარის მაგალითით უნდა მოიხიბლოს აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები? რას სთავაზობს საქართველოს ხელისუფლება? ბევრს ვერაფერს — ეს ხომ აშკარაზე აშკარაა.




სიმართლე ითქვას, რუსეთი აქტიურად ერევა ორივე რეგიონის ცხოვრებაში და თავიანთ საქციელს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის სურვილით, მათი „ნებით“ ხსნის. რუსი სამხედროების აქტიური დახმარებით, ორივე რეგიონიდან ათასობით მოსახლე იძულებით აყარეს და საკუთარი სახლები დაატოვებინეს. რატომღაც სწორედ ეს რუსული არმია იძლევა იმის გარანტიას, რომ ლტოლვილები ვეღარ დაუბრუნდებიან საკუთარ კერას. ესეც მათი „ნებაა“?!

საქართველოს ხელისუფლებაც სათანადოდ არ ირჯება მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გულის მოსაგებად და მათთან დასაახლოებლად. საჩვენებელი, მხოლოდ ერთი პიროვნების პიარისთვის განკუთვნილი ღონისძიებების გარდა, არაფერი კეთდება საამისოდ. რა გასაკვირია, თუკი აფხაზებსაც და ოსებსაც თვალი სხვა ქვეყნებისკენ უჭირავთ, იქ ეძებენ თანამდგომსა და მხარდამჭერებს, ხოლო რუსეთს, როგორც გადამრჩენელს, ისე შეჰურებენ და ლამის მონურ მორჩილებას უცხადებენ. საქართველოში „ევროპული დემოკრატიის დეკლარირებული მშენებლობის პროცესი“ მათთვის მიმზიდველი არ არის. შესაბამისად, ამ პირობებში საქართველოსთან რაიმე ფორმით ინტეგრაციაზე ლაპარაკი არარეალურია.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რის საფუძველსაც საერთაშორისო სამართალი და ეთნიკური წმენდის მიმართ მისი დამოკიდებულება წარმოადგენს.

**The Independent**

---

## afxazeTis axlandel prezidents ukve meeqvsed daesxnen Tavs

**აფხაზეთის ახლანდელ პრეზიდენტს უკვე მეექვსედ დაესხნენ თავს, მაგრამ ტერაქტს პირველად მოჰყვა მსხვერპლი. სხვა აქტებისგან განსხვავებით, ეს იყო არა დაშინების, არამედ მისი მოკვლის მცდელობა.**

შარშან აფხაზეთის პრეზიდენტად არჩეული ანქვაბი, საბჭოთა პერიოდის მილიციის პოლკოვნიკი, კომპარტიის სტრუქტურებში მილიციას კურირებდა, 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური დაპირისპირების პერიოდში აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობდა და მსგავსი ლოკალური კონფლიქტების დროს ერთ-ერთი ყველაზე რთული, თუმცა კეთილშობილური საქმიანობით — ტყვეების გაცვლით იყო დაკავებული. ანქვაბი საარჩევნო მარათონში კორუფციასთან სასტიკი ბრძოლის დაპირებით ჩაერთო.



აფხაზეთის ხელისუფლება ანქვაბზე თავდასხმაში ქართული კვალის არსებობას უარყოფდა, თუმცა კატეგორიულად არ ამჟღავნებდა ინფორმაციას გამოძიებისას შემუშავებული ვერსიების შესახებ. აფხაზი მიმომხილველები თითქმის დარწმუნებული არიან, რომ თავდასხმის ორგანიზატორები ადგილობრივი კრიმინალურ-ეკონომიკური სტრუქტურებია, რომლებიც ანქვაბის ანტიკორუფციულმა ბრძოლამ შეავიწროვა.

რომელი შემოსავლიანი დარგების გაკონტროლება შეუძლიათ ჩრდილოვან სტრუქტურებსა და კორუფციონერებს აფხაზეთში? ეს შესაძლოა იყოს სხვადასხვა სამშენებლო თუ სხვა პროექტისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო საშუალებები (რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის დახმარებაა), სოჭის ოლიმპიური ქალაქის მშენებლობისთვის ხრეშის მიწოდება, მიწისა და უძრავი ქონების გაყიდვა აფხაზეთის მოქალაქეობასთან ერთად (მიწის მიყიდვა არააფხაზებისთვის აკრძალულია). ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც აფხაზეთია, სადაც ყველა ყველას იცნობს და ნათესაური თუ არაფორმალური ურთიერთობები აკავშირებს, ამის განხორციელება უკიდურესად რთულია.

ამიტომაც ცდილობს რუსეთი აფხაზეთის ყოველმხრივ დახმარებას არა მარტო ანქვაბზე თავდასხმის გამოძიებისას, რითაც უკვე დაკავებულები არიან ÔÑÁ-ს თანამშრომლები, არამედ საბიუჯეტო ხარჯების როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთელ დამტაცებელთა გამოსავლენად. აფხაზეთის სუვერენიტეტის გათვალისწინებით, რასაკვირველია, ეს დახმარება ტაქტიანად უნდა აღმოუჩინონ, მაგრამ ამით დიდად თავს არ იკლავს რუსეთი. ბოლოს და ბოლოს, აფხაზეთის ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი ნაწილი, ასე თუ ისე, ტრანსსასაზღვრო ხასიათისაა (აფხაზეთს საზღვარი მხოლოდ რუსეთთან და საქართველოსთან გააჩნია, ამ უკანასკნელთან კი მეტისმეტად რთული ურთიერთობა აქვს), ამიტომაც ამ დარგში წესრიგის დამყარება რუსეთის დაუხმარებლად შეუძლებელი იქნება.

**vedomosti.ru**

ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა
**გულბაათ ჭავჭავაძემ.**

ფინიებივით წკავწკავი და დემაგოგია "მოქკავშირელყოფილებისთვის" უცხო არასდროს ყოფილა. მათი ამჟამინდელი შინაარსიდან გამომდინარე, „მსოფლიო მოქკავშირად" გარდაქმნილმა ე.წ. „რეფორმატორ-დემაგოგმა" დოქსოპულოებმა ქართველი ხალხის მოტყუებაც ერთხელ უკვე მოახერხეს. დეკლარირებულ ლოზუნგებად დარჩენილი „საქართველოსა და აფხაზეთის დაბრუნება", „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა", „ხალხისა და ქვეყნის ჭირით ცხოვრება" ისეთივე ფარსი და ბრჭყვიალა საცდური აღმოჩნდა, როგორი ბრჭყვიალაც და "სამართლიანიც", ამათი პოლიციის შენობები და პენიტენციარული სისტემაა. 2003 წლის გადატრიალებამდე "კმარასთან" და "თავისუფლების ინსტიტუტთან" ერთად, "ერთიანი გუნდის ეს ახალი სახეები" "საყეფრად" ხან ერთ უწყებას შეესეოდა და ხან – მეორეს. ბოლოს "ტვინის გამორეცხვის" ნაცნობი მეთოდითა და "რუსთავი-2"-ის ტელეხელშეწყობით, საწადელ მიზანს მიაღწიეს და ე.წ. "შევარდნაძის რეჟიმი დაამხეს". "შევარდნაძის 30-წლიან მმართველობას" ბოლო მოუღეს და "ქართველი ხალხი გაათავისუფლეს". ყოველ შემთხვევაში, თავად ასე აცხადებდნენ.

მას შემდეგ კი, რაც ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლაზე განცხადება გააკეთა და ამას ქართული საზოგადოების დიდი მხარდაჭერა მოჰყვა, "ნაციონალ-რეფორმატორ-დემოკრატთა" ფრთას სხვა არაფერი დარჩენია, იმის გარდა, საზოგადოებას "შევარდნაძის სახეების" პოლიტიკაში დაბრუნება რომ უმტკიცოს. ამაში კი პარლამენტში "რევოლუციონერთა კვოტით" მოხვედრილი "კრიკუნების" გარდა, იგივე "შევრდნაძის ჟურნალისტების" დიდი საინფორმაციო მხარდაჭერაც ეხმარებათ. ყველაფერ ჩადენილთან ერთად, სახელისუფლებო გუნდის პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, "წარსულთან შეხვედრაზე" საუბრისას, "ქართველი ხალხის მახსოვრობასაც" ეჭვქვეშ აყენებენ. სააკაშვილს თავის გუნდიანად მართლა ჰგონია, რომ ყოველ ამათ ნაყბედს ხალხი უწინდებურივით, ანალიზის გარეშე ბრმად იჯერებს. ჩვენ კი თავს თუ სრულად არ მოვისულელებთ, სულ ახლო წარსულს გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ არანაირ ცვლილებას 2003 წელს, ადგილი არ ჰქონია. ხელისუფლებაში მოსული "ახალ სახეებად" ქცეული პირები არც თუ "დავიწყებული ძველები", სწორედ თავად იყვნენ ის კორუფციონერები და კანონდამრღვევები, ვისზეც გაჰყვიროდნენ. ჟურნალისტებიდანაც ყოველ მეორესაც, რომლებიც დღეს ნაცების მსგავსად, "წარსულთან შეხვედრაზე" ალაპარაკდნენ, შევარდნაძის რეჟიმთან აქტიური თანამშრომლობის დიდი სტაჟი აქვთ. ისინიც აქტიურ მინაწილეობას იღებდნენ რევოლუციისწინა ხალხის გაბითურება-მოტყუებაში. აკი, დაუფასდათ კიდეც. ან "ნაციონალებიდან" ახალ სახედ რომელი მიგაჩნიათ?! იქნებ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ყველა სწორედ შევარდნაძის გუნდის აქტიური წევრი არ იყო? რომელი არ გახსოვთ მინისტრად, ფრაქციისა თუ პარლამენტის თავმჯდომარედ, ვიცე-მერად, ან გუბერნატორად? კორუფციაზე თავგადაკლული ყვირილისას მთავარ კორუფციონერებს სწორედ "რევოლუციით დაჭელებული ის სახეები" წარმოადგენდნენ, რომლებმაც რევოლუციის შემდეგ კანონიერი ქურდები ციხეში გა-

# Sexvedra warsulTan, anu SevardnaZis mTavrobis yofili saxeebi bneli warsuliTa da axali niRbebiT

მოამწყვდიეს, რათა კანონის სახელით თავად ექურდათ და წილში არავინ ჰყოლოდათ. იქნებ მინეაპოლისის შტატში სწავლისას, ჰეროინის რეალიზაციაზე დაკავებული პეტრე ცისკარიშვილი იყო "ახალი სახე". ან რევოლუციამდე პანკისში ისევ ნარკოტიკების გამო გატაცებული ციკარიშვილის გათავისუფლებაზე არ დარბოდა აწ გარდაცვლილი ჟვანია? თუ ენერგოსექტორსაც რეფორმატორები არ აკონტროლებდნენ. უცხოელი ენერგოდისტიბუტორები არ ჩამოჰყავდათ. ან, "თელასის" გასაყიდად მოწყობილ ტენდერში გამარჯვებული ფრანგების ნაცვლად სქოულს არ დაუთმეს "თელასი". ამ გარიგებით დენის ტარიფში ათი თეთრით რომ ჩამსხდარიყვნენ. გადაამრავლეთ, თითოეული ოჯახიდან ყოველ კილოვატზე რამდენ მილიარდს იგებენ? ხალხის ასე გაყვლეფა კი სწორედ რევოლუციამდე დაიწყეს ამ "ახალ სახეებად ქცეულებმა". დღეს ბუნებრივი აირის მოცულობის გასაზრდელად მასში გაშვებული ჰაერით მილიონობით ფულს



გვპარავენ. დათვალეთ და საქართველოს ბიუჯეტს მიიღებთ. დენს იაფად სასომხეთში და თურქეთში ჰყიდდნენ და დღესაც ჰყიდიან. ამ დენს დღეს ნაგავიც მიაბეს და საფასური კიდევ უფრო გაგვიზარდეს. აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვითაც, ბარამიძემ, ფაქტობრივად, ის მოწმეები გაანადგურა, რომლებიც ამათივე დავალებით ენერგოკრიზისის გამოსაწვევად აფეთქებდნენ ხან ერთ, ხან მეორე გადამცემს. ფინსანსურ ბერკეტებსაც სწორედ "რეფორმატორად" წოდებული გუნდი ფლობდა და ხელფასებიცა და პენსიებიც ამიტომ არ გაიცემოდა. მაჭავარიანი არ გახლდათ ფინანსთა მინისტრი და საბაჟო დეპარტამენტის უფროსი, თუ ნოღაიდელი არ იყო? რატომ მაშინ ვერ აგვარებდნენ იმას,



რაც მოსვლის შემდეგ ასე "კარგად დაალაგეს"? იმიტომ, რომ ასეთი დავალება ჰქონდათ გარედან. მაჭავარიანი და გოგორიშვილი არ აყალბებდნენ წლობით არჩევნებს? ან იქნებ ბარამიძე არ იყო, შევარდნაძის გადადგების შემდეგ 2003 წელს "გაყალბებულად გამოცხადებული სიები" 2004 წლის იანვარში საუკეთესოდ რომ აღიარა? ან ბარამიძის ოჯახის წევრების მფლობელობაში რამდენი მაღაზიაა, ან მაჭავარიანის დეიდაშვილების ხელში საპარიკმახეროების რამდენი ქსელია ვაკეში თუ გიკითხავთ? როდის იშოვნეს ეს მილიონები? როდის და "შევარდნაძის სახეები" რომ იყვნენ, სწორედ მაშინ. მერე კი "უძღებმა შვილებმა", "მამა გადააგდეს", რათა ბოლომდე ეკონტროლებინათ ყველაფერი და საქართველოსთვისაც "საბოლოო წირვა გამოეყვანათ". მაჭავარიანი არ იყო საბაჟოს თავმჯდომარეობისას მთავრობის სხდომაზე თავისი ბიძაშვილი ქალაქის საბაჟოს უფროსობიდან ვითომ რომ გაათავისუფლა? ამ "გათავისუფლებულმა კაცმა" კიდევ ერთი წელი როგორ იმუშავა ქალაქის საბაჟოს უფროსად. ამის მიუხედავად, სწორედ ეს გუნდი ყვიროდა ყველაზე მეტს, სახელისუფლებო ნეპოტიზმსა და ოჯახურ კლანებზე და "შევარდნაძის სახეებზე" დღესაც ესენი ყვირიან. იქნებ მამა-შვილი გაბაშვილები არ იდგნენ იგივე შევარდნაძის სამსახურში. შვილი "საქართველოს აბრწყინებდა" მაშინდელი პირველი არხიდან. მამა კი, როგორც ამბობდნენ, გერმანიიდან მანქანების ბიზნესს, თბილისში კი მაშინდელი მერიის ახლოს გერმანული ძეხვეულის მაღაზიასა და თბილისიდან გერმანიაში ანტიკვარის ბიზნესს კურირებდა. ან იქნებ ძმები ბეჟუაშვილების "სახეები იყო ახალი" და უცნობი. შემთხვევით ოქრუაშვილი, ან ბურჯანაძე ხომ არ გახსენდებათ "არაშევარდნაძის გუნდიდან"? ან ისიც შემთხვევით, ორ-ორჯერ პარლამენტისა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლობაც ხომ არ მოუწია? და ისევ "შემთხვევით", 2003 წელს დათხოვნილი პარლამენტი თავიდან ხომ არ მოუწვევია და გაუქმებული პარლამენტის უკვე გადამდგარს, ისევ "შევარდნაძის პარლამენტის" თავმჯდომარედ ქცეულს, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ხომ არ უტვირთავს? მაჟორიტარი და პროპორციული სიით გასულებს, სათავისოდ რაოდენობაც ხომ არ დაუდგინეს შევარდნაძისგან სულ სირბილ-სირბილით გადმობარგებულმა ამ "ახალმა სახეებმა"? ეს გუნდი ხომ არ იყო, 2003 წელსაც "კიწმარიშვილის კანტორაში" სიების კომპიუტერული ვერსიის სპეციალური პროგრამით ხალხი სიებიდან რომ ამოყარა? სიების გამყალბებლებიდან რატომ არავინ დასჯილა? რევოლუციითაც სწორედ მისთვის მოვიდნენ, რომ თავისი ნაყაჩაღარი შეენარჩუნებინათ და გაეათმაგებინათ. სხვები დაეჭირათ და ბიუჯეტის შევსების საბაბით მათთვის ქონება წაერთმიათ. მიშას ბიძა, როგორც ადრე მუშაობდა ფეესბესა და ცერეუზე ერთდროულად, დღესაც ასე არ მუშაობს? არც ისაა ძველი სახე. არც ამათთვის საძულველი ასლან აბაშიძესთან ნამუშევარი ვარშალომიძის ოჯახი იყო ძველი სახე. კოდორის განიარაღებისას ოქრუაშვილს რატომ არ გახსენება, რომ "მონადირესთვის" სწორედ „შევარდნაძის სახე" ბარამიძეს, შევარდნაძისვე დავალებით, პირადად ჰქონდა ეს შეიარაღება გადაცემული? თუ ის დაივიწყა, სამაჩაბლოში, თავდაცვის მინისტრობისას, ექვს-ექვსკაციანი მობილური ჯგუფები რომ შეუშვა სროლების ასატეხად და ძლივს მიწყნარებული სიტუაცია თავიდან არია? "პეტერსონ ბელკნა-



ფის" სასარგებლოდ, ქართულ მხარეს "მოქავშირელი რეფორმატორებისგან" გასაყიდად შეგნებულად გაკოტრებული საბადოების სასამართლო პროცესი რომ წააგებინა და აზარალა? ამით მთელმა "მოქკავშირელებმა" მილიონების იშოვნეს რევოლუციამდე და ოქრუაშვილის გამდიდრებაც იქედან დაიწყო. ტელეშოუსთვის მოწყობილი გადაცემაც გემახსოვრებათ, ლევან მამალაძე ოქროს ზოდებით რომ აჩვენეს. რევოლუციონერებმა გამოგვიცხადეს - „500 კგ ოქრო მამალაძისგან ამოვიღეთო". დანარჩენი 500 კგ სად „გააქრეს"? ამათი მოსვლის შემდეგ 50 სმ-ის სიღრმეზე იჭრება და ქვეყნი-



დან იზიდება მიკროელემენტებით გაჯერებული ნოყიერი მიწა, ე.წ. "ჰუმუსი". ამ ელემენტების აღდგენას საუკუნეები ესაჭიროება. ასეთივე წარმატებით ქვეყნიდან ეზიდებიან ოქროს ქვიშასა და სასმელ წყალსაც, რომელშიც გაათმაგებულ საფასურსაც გაჭირვებულ მოსახლეობას ახდევინებენ. "წარსულთან აქტიური შეხვედრაც" გაბრიყვებული ხალხისთვის სწორედ 2003 წლიდან დაიწყო, მაგრამ ეიფორიაში მყოფმა საზოგადოებამ რეალობა მაშინ კარგად ვერ აღიქვა.

ხელისუფლების მსგავსად, რასაკვირველია, "იმედსაც" და "რუსთავის-2"-საც "აღარ ახსოვს" მათი "დაუძინებელი მტრის", – ასლან აბაშიძის "ძველი პოლიტიკური სახე" გიორგი თარგამაძე და იგივე მოქკავშირთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ლევან ვეფხვაძე. პოლიტიკური სიახლოვე იმდენად დიდია, რომ ვეფხვაძის ცოლი, დღესაც გიორგი ბარამიძის პრესმდივანია. თუ გიორგი ახვლედიანი დაგვავიწყდა "შევადნაძის მოამბეში"? გიორგი თარგამაძეზე "ძველი სახეაო" ვინმესგან თუ გსმენიათ? სწორედ ლევან ვეფხვაძისა და გიორგი ახვლედიანის მეგობარი არ გახლავთ "ეკოფუდის" დირექტორი და გურამ დონაძის სიძე მამალაძე? სახელისუფლებო არხებზე დღეს მოკალათებული "იმედის" ჟურნალისტებიც კონსულტაციების ასაღებად სწორედ გივია თარგამაძესთან დარბოდნენ ღამ-ღამობით პარლამენტში. ასეთივე ახლობლობაში იმყოფებოდა მათთან მათე კირვალიძეც. კოდუამ "იმედის პოლიტიკური და საინფრომაციო პროგრამების" მაშინდელი ხელმძღვანელი გიორგი თარგამაძე ოჯახითურთ პირადი მანქანით გაიყვანა სამშვიდობოს. ტელევიზიაში მყოფი თითქმის მთელი თანამშრომლები და სტუმრები კი სპეცრაზმს იატაკზე ჰყავდა დაყრილი და ბადრი პატარკაციშვილის გინების ფონზე შეურაცხყოფას აყენებდნენ. იქნებ "დედა ტერეზად" ქცეული რჩეულიშვილების ოჯახია "ახალი სახე პოლიტიკაში". თუ შევარდნაძესთან პრეს-სპიკერობისას არ დაითრია რჩეულიშვილმა "კაპიკებში" ჰესები?

"საბჭოეთის" დროსაც, "საბჭოეთის უსაფრთხოებისთვის" ათასობით ქართველი ბიჭი იგზავნებოდა და იხოცებოდა ავღანეთში. დაიშალა ეს მონსტრი, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩენილი მეორე მონსტრის "ამერიკის შეერთებული კავშირის" უსაფრთხობისთვის ჩვენი ბიჭების სიცოცხლე ისევ ზვარაკად ეწირება. ადვოკატურა არ დამიმთავრებია, მაგრამ სააკაშვილი რომ არა, ეს ბიჭები იქ არ აღმოჩნდებოდნენ.

მიშავიზიებით გაპიარებულ "ძველ სახეებს" კი ამ "ვითომ განახლებულ სახეებზე" მეტი ზნეობაცა და მორალიც, კაცობაც, პრინციპებიცა და ერთგულების გრძნობაც რომ ჰქონდათ. არც წაგებული ომის შემდეგ და დახოცილი ქართველების სისხლით მორწყულ რუსთაველზე არ როკავდნენ და მღეროდნენ. თანამდებობისა და ქონების გამო ბარამიძის, მაჭავარიანის, გოგორიშვილისა და "ძმათა და დათა მათთა" მსგავსად, არც ფეხზე დამყენებელი და მოკლული მეგობრისთვის უღალატიათ. თუმცა როცა ამერიკაში სასწავლებლად თუ დავალების მისაღებად წასულ ბარამიძეს, "ვიცკებმა" (მისი მეუღლე ასე უწოდებდა ვიცე-მერებს) მომავალი ცოლი, დასაქორწინებლად შტატებში "ბანდეროლით" გაუგზავნეს, ბარამიძეს აღარც შევარდნაძის ზურგს უკან, "მოქკავშირისთვის" მოსკოვში წაღებული მილიარდები გახსენებია.

აშშ-სა და რუსეთის სომხურმა ლობმა საქართველოს საბოლოო გასანადგურებლად ეს "მანქურთი რეფორმატორები" ერთობლივად მოგვიყვანეს. გარანტიებით თუ თავისით ყოფილი პრეზიდენტი შინ მაინც წავიდა. ამასთან კი არც გარანტია ჭრის და არც შეგონება, ოღონდ თავის ჩაბინძურებულ სკამზე დარჩეს, სისხლის გუბეებს დააყენებს, რომელშიც, ალბათ, საბოლოოდ თავადაც ჩაიხრჩობა. ასე რომ, ***"გასწი მიშიკო, უნამუსობას არ აქვს სამზღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი შენი, შავად მთელვარე".***

**ბაია ამაშუკელი**

# კახა კუკავა:
# `saakaSvilis ritorika aSS-s misamarTiT Semdegia _ damicaviT ruseTisgan, mexom Tqveni nabiWvari var~

*გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი* ***კახა კუკავა***

**— კახა, სააკაშვილმა განაცხადა პუტინს საქართველოს ხელისუფლების შეცვლა სურსო. ერთია რას ამბობს სააკაშვილი, მაგრამ როგორია რეალობა?**

— ფაქტია, რუსეთი საქართველოს ხელისუფლების შეცვლით დაინტერესებული არ არის. ეს დადასტურდა 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსები, პრაქტიკულად თბილისში იყვნენ შემოსული, თუმცა მიიღეს გადაწყვეტილება და უკან დაბრუნდნენ. ეს ლოგიკურია იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ უნდოდა, რეალურად ამიტომაც დაიწყო რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობა. სააკაშვილთან პრობლემები იმიტომ შეიქმნა, რომ მან დაიწყო საქართველოს ნატოში ინტეგრაცია. შეიძლება პარადოქსია, მაგრამ ნატოში ინტეგრაციის მთავარი ბარიერი სააკაშვილია. დღეს, გერმანიის კანცლერი, საფრანგეთის პრეზიდენტი,

**ევროპელი ლიდერები ღიად ამბობენ — სანამ სააკაშვილი ქვეყნის სათავეში იქნება, ნატოში ინტეგრაციაზე საუბარიც კი ზედმეტია. აქედან გამომდინარე, რუსეთს, ერთგვარად აწყობს სააკაშვილი. რუსეთმა კარგად იცის, სანამ სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირია, საქართველო არშემდგარი ქვეყანა იქნება წარუმატებელი საგარეო პოლიტიკით.**

ასევე, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სანამ პრეზიდენტად სააკაშვილი გვეყოლება, აფხაზეთის და სამხრეთოსეთის საკითხებში სერიოზული მხარდაჭერა არ გვექნება, არამედ პირიქით. თავის დროზე კოსოვო სწორედ იმის გამო აღიარეს, რომ თქვეს — სერბეთს ფაშისტები მართავენ და ჩვენ მათ ხელში ვერ დავტოვებთ კოსოვოსო. დაახლოებით, იგივე არგუმენტი აქვთ დღეს, აფხაზებსა და ოსებს, ისინი ამბობენ — როგორ გელაპარაკოთ, ჩვენ ერთიან სახელმწიფოში ცხოვრებაზე, როდესაც საქართველოს ფაშისტები განაგებენო. ეს სიმართლეა. ამიტომაც, არც მათ აწყობთ სააკაშვილის შეცვლა. იმიტომ, რომ როგორც კი ქვეყნის სათავეში ეროვნული მთავრობა მოვა, რომელსაც აფხაზების და ოსების სისხლით არ ექნება ხელი გასვრილი, მათ მოუწევთ დიალოგის დაწყება ქართულ მხარესთან, რასაც მათ საერთაშორისო საზოგადოება აიძულებს. ამიტომ დღევანდელი ვითარება ასეთია — ორგანიზებული დანაშაულის, მაფიის სამყაროში ყველას ისეთი კრიმინალი სჭირდება, რომლის ერთი ცოდვა იციან. ცნობილი ფაქტია, ძველი კრიმინალები ახალს რომ წაიყვანენ დანაშაულის ჩასადენად, მსხვერპლისთვის მას ასროლინებენ. ეს ნიშნავს, რომ იგი უკვე დანაშაულში ჰყავთ ჩათრეული. სააკაშვილი, დღეს ამერიკასაც, რუსეთსაც, აფხაზებსაც და ოსებსაც აწყობთ პრეზიდენტად იმიტომ, რომ იგი არის ადამიანი, რომელიც გამოჭერილი ჰყავთ, იციან, რომ იგი ვერავის დაუპირისპირდება, რადგან რეალურად ჰააგის ტრიბუნალზე მოღვაწეობის დასრულების კანდიდატია. ამიტომაც, რუსეთს სააკაშვილის დამხობა არაფერში სჭირდება.

**— გამოდის, რომ სააკაშვილი რუსეთს მტრის ხატად თავისი ტყავის გადასარჩენად გვიხატავს?**

— სააკაშვილს სურს თავი დევნილად, ტანჯულად გამოაცხადოს. მას უნდა გვაფიქრებინოს, რომ ბრძოლა სააკაშვილის ტირანიის წინააღმდეგ კი არ მიმდინარეობს, არამედ რუსეთი პატარა საქართველოს ებრძვის. ამიტომ იგი მითოსებს, ლეგენდებს იგონებს, ვითომ მას ებრძვიან, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. რეალურად, პუტინს მართლა რომ სურდეს სააკაშვილის დამხობა, იგი 24 საათს ვერ გაძლებდა ხელისუფლების სათავეში. ეს მისი სურვილია. სააკაშვილმა ერთი რაღაც კიდევ აღმოაჩინა. ჩვენ, ადრე გვეგონა, რომ ამერიკა საქართველოში დემოკრატიას უჭერდა მხარს, მაგრამ სააკაშვილმა ყველაზე ადრე აღმოაჩინა, უფრო ზუსტად გაიხსენა გამოთქმა, რომელიც რუზველტმა ერთ-ერთ დიქტატორზე — სამოსაზე თქვა — ის ნაბიჭვარია, მაგრამ ჩვენი ნაბიჭვარიაო. მერე ამ სამოსას კბილებით იცავდნენ. დაახლოებით, ასევე აღმოაჩინა სააკაშვილმაც — თუ ის ამერიკის ინტერესებს გაატარებს და იგი ანტირუსული იქნება, მას ამერიკელები ბოლომდე დაიცავენ, თუნდაც იგი ანტიდემოკრატი იყოს. ამიტომაც, სააკაშვილისთვის ეს ანტირუსული ისტერია, რომელსაც იგი აწარმოებს — პუტინს ჩემი ჩამოგდება უნდაო, ამერიკელების გასაგონად კეთდება, ამით იგი აშშ-ს ეუბნება — მე თქვენი კაცი, თქვენი ნაბიჭვარი ვარ, რუსები მებრძვიან და ბოლომდე დამიცავითო. უნდა ითქვას, რომ ეს ამართლებს.





**— კახა, პუტინი ხშირად საუბრობს იმაზე, რომ საქართველოს ომი მოუგო. თუმცა, რუსეთისნაირი დიდი ქვეყნისთვის არამგონია საამაყო იყოს რამე პატარა ქვეყნის — საქართველოს დამარცხებაში. ამით რუსეთს რისი თქმა უნდა, რომ საქართველოში რუსეთმა ამერიკას მოუგო ომი?**

— რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ზუსტი შეფასებაა. ეს ჩვენც უნდა დავინახოთ. საქართველოსთვის წამგებიანი და ძალიან დიდი შეცდომა იყო, როდესაც ჩვენ ორი უძლიერესი იმპერიიის დაპირისპირებაში „გამოვეკერეთ“. სხვათაშორის, გავიხსენებ, ირან-ოსმალეთის ცნობილ ზავს. 1550-იან წლებში, ირან-ოსმალეთის იმპერიებს შორის პირველი დიდი ზავი დაიდო, საქართველო შუაზე გაიყო. ეს მაშინდელი საქართველოს ტრაგედია იყო, რომელსაც შემდგომ გასაერთიანებლად 300 წელი დასჭირდა. იგივე ხდება დღეს, საქართველოს ტრაგედია გახლავთ ის, რომ ჩვენ ჩავეჩხირეთ თანამედროვე ირანის და ოსმალეთის, ანუ რუსეთის და ამერიკის ბრძოლაში. სწორი ხართ, როცა ამბობთ, რომ რუსეთი ამით ამაყობს იმიტომ, რომ მან რეალურად დაამარცხა ამერიკელი ჯარისკაცები, ამერიკული იარაღი, ამერიკული ტექნოლოგიები. აქედან გამომდინარე, დასკვნები უნდა გავაკეთოდ.

**ჩვენ, ხშირად გვეძახიან პრო-რუსული ორიენტაციის პარტიას, მაგრამ ეს სულაც არაა ასე. პირიქით, ჩემი აზრით, ჩვენ არც ამერიკელების იარაღად უნდა ვიქცეთ რუსეთის წინააღმდეგ და არც რუსების იარაღად ამერიკელების წინააღმდეგ,**

იმიტომ, რომ მაშინ ამერიკელების მუშტი მოგვხვდება ყბაში. ჩვენ ნეიტრალურები უნდა ვიყოთ.

**— სავარაუდოდ, პუტინი ხელისუფლების პირველი პირი გახდება, ჩვენ მიშაც თუ „შევინარჩუნეთ“, როგორი იქნება ამერიკის როლი ამ ყველაფერში?**

— პუტინი არ შეიცვლება ძალიან დიდი ხანი, ამიტომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ შევცვალოთ სააკაშვილი. პუტინი პიროვნულადაც რომ შეიცვალოს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთი არ შეიცვლება. რუსეთში პრო-ამერიკული მთავრობა რომ მოვიდეს, ისიც კი ვერ შეცვლის რადიკალურად ამ სახელმწიფოს ხასიათს. ელცინის დროს რუსეთში პრო-ამერიკული მთავრობა იყო, მაგრამ აფხაზეთი წაგვართვეს. მთავრობის შეცვლით შეუძლებელია სახელმწიფო კურსის 180 გრადუსით მოტრიალება, ეს ხომ საჭე არ არის.

**— რიგი პარტიები ნატოში გაწევრიანებას უჭერენ მხარს, თუმცა რამდენად შესაძლებელია ეს აფხაზეთისა და სამხრეთოსეთის გარეშე?**

— ნატოში გაწევრიანება უახლესი 5-10 წლის ამოცანა არ არის. იმიტომ, რომ ეს არავის ინტერესებში არ ჯდება. დღეს, ნატო არავის აღარ სჭირდება. პირველ რიგში, თავად ნატოს არ სჭირდება საქართველო. ნატოს, ყველა მთავარ საფრთხეებში, რუსეთი მისი მოკავშირეა და არა მოწინააღმდეგე. ისლამური ტერორიზმის, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთი, ასევე სტრატეგიული მოკავშირეა. ნატოს მთავარ გამოწვევებში არსად წერია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აქვს დასამყარებელი. მეცინება, აკაკი მინაშვილის და შოთა მალაშხიას გამოსვლებზე, რომლებიც აბონ ციციშვილის რიტორიკით, 30 წლის წინანდელ რეალობებზეა აგებული. დღეს, ამერიკის საპრეზიდენტო კანდიდატები, ყველა ამბობს — ამერიკის მთავარი საგარეო პოლიტიკის სფერო არც რუსეთი, არც ევროპა და უკვე არც ახლო-აღმოსავლეთია, არამედ მათი საგარეო პოლიტიკის ინტერესების მთავარი კვანძი უკვე წყნარი ოკეანეა — ჩინეთი, იაპონია, ინდონეზია და უზარმაზარი ზე-სახელმწიფოები, რომლებიც ამერიკის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას საფრთხეს უქმნიან. რუსეთი მათთვის მოკავშირეა არამარტო ისლამური ტერორიზმის და ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ჩინეთის შეკავებაში. რუსეთის მოსახლეობის 90 პროცენტი რუსეთის ევროპულ ნაწილში ცხოვრობს, ხოლო აზიური ნაწილი, რომელიც ბევრად უფრო დიდი და მდიდარია, პრაქტიკულად მოსახლეობისგან დაცლილია. მეორე მხრივ, დაწყებულია მრავალათეულმილიონიანი ჩინური იმიგრაცია. ეს წარმოუდგენელი საფრთხეა, როგორც რუსეთისთვის, ისე ამერიკისთვის, ევროპისთვის. როგორ ფიქრობთ, რატომ დაიწყო ობამამ რესტარტის პოლიტიკა აგვისტოს ომის შემდგომ? —ისინი პრაგმატიკოსები არიან და საქართველოს გამო საკუთარ საქმეს არ გააფუჭებენ. რუსეთთან თანამშრომლობა, დღეს ამერიკისთვის ისეთი ინტერესია, რომ საქართველოს ნატოში არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ თუკი ეს რუსეთთან კონფრონტაციის ხარჯზე მოხდება.

**დღეს, ჩვენ ვართ ველური, კორუმპირებული ტირანია, რომელსაც ნატოში არ მიიღებენ და მეორე — 10-15 წლის მერე გლობალურ უსაფრთხოების სისტემაში შეიძლება მოხდეს გარდატეხა, თუნდაც რუსეთი შეიძლება თვითონ გახდეს ნატოს წევრი. ამიტომ, ძალიან სასაცილოა, როცა გვინდა ამერიკა რუსეთს მივუქსიოთ, ქართული ანდაზა ხომ გაგიგონიათ — ცოლ-ქმრის ჩხუბი სულელს მართალი ეგონაო. ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს აკრიტიკებენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ ისინი მოწინააღმდეგენი არიან საკითხთა 10 პროცენტში, 90 პროცენტში მათ ერთიანი ხედვები აქვთ და არავინ საქართველოს გამო ამ უზარმაზარი ღირებულების თანამშრომლობას არ დააზარალებს.**

**— ქვეყნის გარეთ შექმნილი საფრთხეები შიგნით განვითარებული მოვლენების პირდაპირი გამოძახილია. როგორ ფიქრობ, რა საფრთხე შეიძლება დაგვემუქროს ირანისგან?**

— მეზობლები ვართ, თან პატარა ქვეყანა. თუკი ომი დაიწყო, ირანი შეიძლება საფრანგეთს და გერმანიას ვერ მისწვდეს, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, შეუძლია საქართველოს მთელი მოსახლეობა თქვენი და ჩემი ჩათვლით საერთოდ ამოწყვიტოს. ეს მათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ასეთ დროს ნეიტრალიტეტი, ერთადერთი გონივრული არჩევანია. საერთოდ, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მთლიანად გადასახედია. ჩვენ ისეთი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და საგარეო პოლიტიკა გვაქვს, როგორიც შეიძლება 200 მილიონიან ქვეყანას ჰქონდეს.

**— აქვე მინდა გკითხო, რას ფიქრობ, საარჩევნოდ სააკაშვილის მიერ ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის შესახებ. თუმცა, აქვე იმასაც ამბობენ, რომ იგი შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარე გახდეს.**

— არ მგონია, საინტერესო იყოს სააკაშვილი პრემიერი იქნება, პარლამენტის თავმჯდომარე თუ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე. იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ყველაზე მნიშვნელოვანი — იგი ხელისუფლებაში აპირებს დარჩენას. რა იურიდიულ ფორმას მისცემს — ეს მეორეხარისხოვანია. საუბარია იმაზეც, რომ პაატა ბურჭულაძეს გაიყვანენ პრეზიდენტად, ასეთივე ნომინალურ ფიგურას პრემიერ-მინისტრად და იმდენად უნიათო ოფიციალური მმართველები იქნებიან, რომ რეალურ სადავეებს სააკაშვილი თავად დაიტოვებს. ასეთი საუბრები არის.

**— რაც შეეხება არჩევნების გზით ხელისუფლების გაშვების საკითხს, რამდენად რეალურია მსგავსი განცხადებები, მაშინ, როცა არასამთავრობოები დებენ დასკვნებს, რომ დღევანდელ რეალობაში არჩევნებით ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ მოუგებს. რა გზა გვრჩება?**

— არ ვფიქრობ, რომ არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ იმიტომ, რომ რეალურად უფრო რთული ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა. ჩვენ არ გვებრძვის სააკაშვილი, არამედ გვებრძვის აშშ. ეს არის სიმართლე. აშშ მართავს დღეს საქართველოს პირველ ცენტრსაც, მეორესაც და ა.შ. თუ საქართველოში პრო-ამერიკული რეჟიმი არ შეიცვალა, ქვეყნის კურსი არ შეიცვლება. ვისაც მარტო სააკაშვილის პირადი ბოლმა აწუხებს, ეს სხვა ამბავია. ვისაც ქვეყანა აწუხებს უნდა იცოდეს, რომ თუ ეს კურსი არ შეიცვალა, საქართველოსთვის არაფერი შეიცვლება. ამიტომ „თავისუფალი საქართველოს“ ამოცანა არის, პირველად 1990 წლის მერე მოვახერხოთ პარლამენტში ეროვნული ძალის შეყვანა და ამ დახურული კარის გახსნა. ჩვენ კი მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს რამდენიმე თვეს გაგრძელდა, 1992 წლის 6 იანვარს საქართველო აშშ-მ დაიპყრო და ახლაც დაპყრობილები ვართ. ამიტომ არჩევნებში მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა ქართულ პოლტიკაში ეროვნული მოძრაობა დავაბრუნოთ. არჩევნებში სიების დაზუსტება, გაყალბების აცილება და სხვა პრობლემები, სანამ ეს რეჟიმი იქნება, არ მოგვარდება. ეს რომ მოგვარდეს, ჯერ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ვისაც ჰგონია, რომ ჯერ საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება და მერე ხელისუფლება შეიცვლება, ძალიან ცდება. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ საპროტესტო აქციებსაც, რადგან მარტო საარჩევნო კამპანიით ხელისუფლებასთან დაპირისპირება მთლად შედეგიანი ვერ იქნება.

სააკაშვილის შეცვლა შეუძლია მხოლოდ ერთიანობას. ეროვნული ძალა უნდა მოვიდეს დღეს, საქართველოს პარლამენტში ბევრად უფრო მეტი დამცველი ჰყავს მუსულმანებს, გრიგორიანელებს და სხვას, ვიდრე ჩვენს ერს და ეკლესიას. ამის დაცვა ყველას ჩამორჩენილობა და მარგინალობა ჰგონია. ჩვენი პარტიაა დღეს ერთადერთი, რომელიც ამბობს — დიახ, ჩვენ ქართველი ერის და ქართული ეკლესიის ლობისტები ვართ.

**თამარ შველიძე**

# Tu ar gamoxvedi da ar imoqmede, ra, mkvdrebis qveyana varT?

*გვესაუბრება მწერალი*
***კობა არაბული***



**-ბატონო კობა, სააკაშვილს პირველად გამოუჩნდა კონკურენტუნარიანი ძალა ივანიშვილის პარტიის სახით. თქვენ როგორ აფასებთ ამ მოვლენას და როგორ ხედავთ იმ პროცესებს, რაც ერის შიგნით თუ გარეთ მიმდინარეობს?**

-რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას, თუმცა მე რაღაცით ან ვიღაცით აღტაცება არ მიყვარს, რადგან ამ წლების განმავლობაში მწარე გამოცდილება დაგვიგროვდა და ბევრი ისეთი აღტაცებაც გვინახავს, რომელიც შემდეგ დამიწებულა და ყველა ემოცია ნაცარში ჩაყრილა. ამ „უდროო დროში“ ადამიანი სინათლის პატარა სხივის გამოჩენასაც დიდი იმედით უყურებ და გინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ შემდეგ ეს იმედებიც ინავლება და ყველაფერი იქით მიდის, საითაც მიდიოდა ყველა დანარჩენი პროცესი თუ მოძრაობა. ჯერ ერთი ხელისუფალი, შემდეგ მეორე, მესამე და ახლა, რომ ვუყურებ, ვინც მაშინ შედიოდა და გადიოდა „მეფეთა კარზე“, ისინივე შედიან და გადიან ივანიშვილის „კარზეც“. არ ვიცი, ამათ უხმობენ, თუ ბოდიში და თვითონ „ეტენებიან“ უტიფრად?!

**ჩვენი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. თანდათან ვგრძნობ, რომ ეს არის კატასტროფული, საბედისწერო ჟამი და ვფიქრობ, ხომ არ ვართ განწირულნი სადღაც 21-საუკუნეში გაქრობისთვის?!**

არა ერთი ისტორიული ერი გადაშენდა იქით საუკუნეებში და მიწიდან ვთხრით ახლა ჩვენ იმ ერებს. ჩვენს ერამდე ათი საუკუნის იქით ვიღაც იქსოსების ტომმა დაიპყრო ეგვიპტე, ერთი საუკუნე იდგნენ იქ და თითქმის მთლიანად გადააშენეს ეგვიპტელი ერი და მისი კულტურა. ჩვენც მაგ დღეში ვართ, რომელი ტომის იქსოსები არიან მოსული, ვერ გაიგებ.. მასონებსაც არქმევს ზოგი. ამ უცხო ტომების შემოსევებმა დაანგრია სწორედ ქართველი ერის ფსიქიკა. ხშირად დამიწერია და ვწერ, რომ ვერ გავიგე, ვინ არიან ესენი, რა ჯიშის რასაა?! რა ტიპის ადამიანები გამოიყვანეს?! ჩვენ თითქოს არ ვცხოვრობთ ჩვენს სამშობლოში. აქ სხვები ცხოვრობენ.-ჩვენ გვდევნიან, როგორც სხვებს. ექსპერიმენტებით ერთმანეთის ჭამია ვირთხები რომ გამოჰყავთ, ჩვენც ასე გამოგვიყვანა ვიღაცამ, ეს ადამიანები სწრაფად „იჩეკებიან“ და საკუთარ ხალხს ებრძვიან შემდეგ. როცა შენივე ერის შვილი გებრძვის, ეს არის ტრაგედია. გარეშე მტერი გაქრა თითქოს. მამულიშვილი, „აქაური“ აქ არის დევნილი გადამთიელისგან, სულიერი და ფიზიკური რენეგატებისგან. ჩვენ როცა რუსეთს ვებრძოდით, ძალიან ადვილი იყო იმ იმპერიასთან ბრძოლა, რადგან ვიცოდით, ვის ვებრძოდით. მაშინ მე ვთქვი, რომ ჩვენ ვეშაპის მუცლიდან გამოვედით, როგორც ამირანის მითშია, მაგრამ ეს მითი იმასაც გვასწავლის, რომ თუ მეორედ შეხვედი, ველარ გამოხვალ იქიდან.

**ჩვენ მეორედ შევედით და შინაური ურჩხულის მუცელში აღმოვჩნდით.**

მის წინააღმდეგ ბრძოლა კი ურთულესია, რადგან შენიღბულია. თავს გაჩვენებს-შენი ვარო. შეებრძოლები, გეუბნება-მტერი ხარო და ამ დროს თვითონ გარეშე მტერზე უფრო სახიფათოა. მოდით, ვთქვათ რა მოხდა მაგალითად, 26 მაისს ან იმ 200 000-კაციანი რევოლუციების დროს?! მაშინ თითქოს დადგა ერის გადარჩენის მომენტი, უნდა განგვედევნა ამ იქსოსურ, მასონურ დინასტიათა შემოტევა, მაგრამ მოხდა შიგნიდან ღალატი. როდესაც კულმინაციურ მომენტში ვიყავით მისული, ჩვენმა დარღვეულმა ფსიქოლოგიამ ვერ შეძლო ამის დაძლევა. ეს 200 000 კაცი ერთხელ პატრიარქს წაუყვანეს და შენ წაუძეხი წინო, უთხრეს მერე საერთოდ სახლში მიაბრუნეს. გესმით, რა გააკეთა ამ ხალხმა?! დავით აღმაშენებელსაც კი არ ჰყოლია ამხელა ლაშქარი. იმ ხალხის უმრავლესობა კი, ვინც ეს გააკეთა, ივანიშვილთან ალმოჩნდა დღეს. რა მოხდა თუნდაც 26 მაისს? ტელეეკრანს რომ ვუყურებდი, სულ იმას ვამბობდი, ჩახოცავენ-მეთქი ამ ხალხს, იმიტომ, რომ „კავკასიაზე“ აქუბარდიას გადაცემაში იყვნენ მოსული, ეს ბერძენიშვილები, თინა ხიდაშელი და „სახალხო კრებას“ აგინებდნენ. გაწირეს ფაქტობრივად ,ხალხი, რადგან თვითონ დამარხულები იყვნენ უკვე. წინა მიტინგებზე დამარხა ესენი ხალხმა. მე წევრი არ ვყოფილვარ „სახალხო კრების“ მაგრამ მხარს ვუჭერდი, რადგან საინტერესო მოძრაობა იყო და ერში გასვლის, მისი აღდგინების შანსი ჰქონდათ. ამ დროს, მეორე მხრიდან, ეს ერის გამყიდველთა, გამცემთა კასტა „კავკასიის“ ეთერიდან მწვანე შუქს უნთებდა ხელისუფლებას. აქუბარდიასაც ინტენსიურად გამოჰყავდა ისინი და ფაქტობრივად, მიანიშნებდნენ ხელისუფლებას, რომ დაერბიათ მიტინგი და მართლაც მოხდა ასეთი რამ.

ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა ნინო ბურჯანაძემ, როცა დაინახა, რომ ხალხის კრიტიკული ენერგია არ იყო საკმარისი, როცა კლიმატმაც აღარ შეგიწყო ხელი და მიგანიშნა, რომ არ შეიძლებოდა იმის კეთება, რასაც აკეთებდი, უნდა მიეღო გადაწყვეტილება და ელვის სისწრაფით დაეცალათ იქაურობა. ხატოვნად რომ გითხრათ, საჭადრაკო დაფიდან ცხენი უნდა გაეყვანათ. ეს რომ გაეკეთებინა, მთლიანად შენარჩუნებული ექნებოდა ეს სივრცე და ხელისუფლებასაც დარბევის მიზეზი აღარ ექნებოდა. ისევე როგორც კუტუზოვი მოიქცა ბოროდინოზე ფრანგებს- მხოლოდ საკუთარი გვამები შეატოვა და თვითონ გაქრა.

**მე არ ვთვლი, რომ მიტინგები არ უნდა იმართებოდეს. თუ არ გამოხვედი და არ იმოქმედე, რა, მკვდრების ქვეყანა ვართ? ახლა ზოგიერთი იძახის, არ გვინდა მიტინგებიო და ჩააძინეს ქვეყანა. ამ დროს, „ნაციონალები“ კორპუს-კორპუს დადიან და ხმები აქვთ მოპოვებული. არჩევნები დაამთავრეს ამათ უკვე, მოგებული აქვთ. ხალხი ჰყავთ, ვინც ამათ უნდა მისცეს ხმა და შენ სხვა ხალხს საიდან მოიყვან?**

პატიმრებიც იძულებით „ნაციონალების“ მხარეზე არიან გადაყვანილნი. ამათ კიდევ იმდენიც ვერ მოახერხეს, საპატიმროებში უცხოელები შეეყვანათ როგორმე, ამ დროს მილიონები მიიღეს ბერძენიშვილებმა, უსუფაშვილებმა, დავითაშვილებმა და 20 000 კიდევ ხელფასს იღებენ. ამის საპირისპიროდ მინდა ვთქვა ერთი რამ. შარშან, ხევსურეთის თემების აღდგენის სამი მოდელი დავწერე. ერთი ეს იყო მიწის კერძო სათემო მფლობელობისა და სათემო საბჭოების, მეორე მოდელი კი ზოგიერთი თემის სამონასტრო თემად გადაკეთების, ანუ ხატის მამულები რომ გადავიდეს ეკლესიის ხელში, პატარ-პატარა მონასტრები და ტრადიციული მეურნეობები გაკეთდეს. თითო თემში თითო კაციც რომ დაბრუნდეს, ეს იცით, რამხელა საქმეა? პატრიარქი ძალიან დაინტერესდა და დაავალა რაღაც ფონდს თანხების მოძიება. 5 000 ლარი საკმარისი იქნებოდა ერთი კაცის დასაბრუნებლად, სახლს აღვუდგენდით, ერთი-ორ ძროხას ვუყიდდით და დაიწყებოდა ეს პროცესი.

**იმ ფონდის ხელმძღვანელმა ლაშა ჟვანიამ სამჯერ თუ ოთხჯერ დამიბარა და ვერ ვიშოვეთ ფულიო. ბატონ ლაშა ჟვანიას უნდა ვუთხრა, — ახლა აღარ მჭირდება შენი არც ერთი თეთრი, რადგანაც იმ კაცმა, რომელიც ხევსურეთში უნდა დამებრუნებინა, თავი მოიკლა.**

ხევსურები ადვილად იკლავდნენ თავს, როცა წუთისოფელი მობეზრდებოდათ. თავის მოკვლასაც სიმამაცე უნდა, თავს ლაჩარი ვერ მოიკლავს. პატრიარქს შეიძლება ჰგონია, რომ იქ, ხევსურეთში, რაღაც მოხდა. ერთი კაცი მაინც დავაბრუნეთ რომელიმე თემში. მაგრამ ასეთი რამ არ მოხდა, აღარ მივსულვარ პატრიარქთან მისი გულის დასაწყვეტად. მე ვერ გავუკეთე: ვერ ვუშოვნე 2 000 დოლარი მეორე ადამიანს, რომელიც პირიქითა ხევსურეთში ლებაისკარში ბრუნდებოდა და თემის აღდგენას იწყებდა. 2-3 წელი იარა ერთი დაწესებულებიდან მეორემდე და გული გაუსკდა.

20 000 ლარით 4-5 კაცს დავაბრუნებდი მე ხევსურეთში. იმ ერთი მილიონით, ივანიშვილმა ამ „მკვდარი ტბის თევზებს“ რომ ჩაუდო, მთლიანი ხევსურეთის აღდგენა შეიძლება. ხევსურეთის ერთი თემი ჯობია, ყველა ამ პარტიას ერთდროულად.

**-ამ მოვლენების ფონზე ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთება შესაძლებელია?**

-ვშიშობ, რომ ივანიშვილის ამ დადებითი ელემენტის გამოჩენა ამაოდ ჩაივლის და ყველაფერი ხელისუფლების გადანაწილებით ან რაღაც კონსენსუსით დასრულდება. მამუკა არეშიძემ გამოაცხადა, აფხაზეთს დამოუკიდებლობა მივანიჭოთო და ახლა ბიძინა ივანიშვილთანაა. ზაქარეიშვილი და სხვანი გაიძახიან რელიგიათა გათანაბრებას, კონსესუსს, უმცირესობების დაცვას და ესენიც ივანიშვილთან არიან. თანახმა არიან: საქართველოს ნაწილი შევიდეს ნატოში- სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე!- ამიტომ სურთ მათ სახელმწიფო სტატუსი მიანიჭონ საქართველოს ამ პროვინციებს. ბრწყინვალე კაცი, მურმან დუმბაძე, „რესპუბლიკელებმა“ იმიტომ განდევნეს თავისი რიგებიდან, რომ მეჩეთის აშენების წინააღმდეგია და მინდა ამ მართლაც გენიალურ ადამიანს თქვენი გაზეთიდან მივესალმო და დავუდგე გვერდით.

**მითხარით, ეს ხალხი რომ მოვა მთავრობაში უკეთესები იქნებიან სააკაშვილზე?! რა ეშველება ამ ქვეყანას: ეხლა ეს „რესპუბლიკელები“ და სხვა პარტიები: ვანო ხორნაულის ჯორივით მოჭამენ თუ რამე მოსაჭმელია: ერთმანეთსაც შეჭამენ(როგორც არა ერთხელ) ხალხსაც გადააგდებენ და ივანიშვილსაც ბოლოს მოუღებენ.. აი, პერსპექტივა ასეთია!**



ჩვენ ვფიქრობდით და ვთქვით კიდეც, ინტელიგენციის შეკრებაზე „ჯაზუში“, რომ ამ მოძრაობის გარშემო უნდა შექმნილიყო დიდი სათემო და საერო დარბაზი, საკოორდინაციო ცენტრი. ივანიშვილს ყველა კუთხის წარმომადგენლობა ეყოლებოდა და თან ეცოდინებოდა, რეგიონებში რა ხდება. მაშინვე ვთქვი, რომ ამ იდეას დაბლოკავდნენ და მართლაც არანაირი პასუხი არ მოსულა იქიდან. იმიტომ, რომ მათ, ვინც შიგნით არიან ხალხის და ერის ინტელიგენციის დარბაზი არ აწყობთ. ესენი სულ სხვა ხალხია, სწორედ ამათ ჩაახრჩეს ეროვნული ენერგია, ხოლო ივანიშვილმა ისევ მკვდრეთით აღადგინა, ვინც ხალხმა ჩამოწერა-მოღალატეები, მაროდიორი, მღრღნელი „ხოჭოები“. აქედან გამომდინარე, ერი არის უმძიმეს მდგომარეობაში და უნდა გააცნობიეროს ეს ხალხმა. თორემ ივანიშვილი ვერ მოიგებს ამ ვითარება-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



ში ბრძოლას. ჩვენ ვდგავართ დიდ სიცრუეში — ამ ჭაობში და ვცდილობთ მის რწმუნებას და არა მის მხილებას, განქიქებას!

**-სხვა რა არჩევანი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს, მწერლები და ხელოვანი ხალხი მას პოლიტიკური გუნდის მაგივრობას ნამდვილად ვერ გაუწევდა. საქართველოში კი გაუსვრელი, რომელიმე პოლიტიკური ძალა კიდევ არსებობს?**

-მე არ ვამბობ, რომ ეს ხალხი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო იქ, მაგრამ პარალელურად, უნდა გადაიდგას არაორდინალური ნაბიჯები. თუნდაც ის დიდი ეროვნული დარბაზი, რაც წელან ვახსენე. ამ პროცესებს გამანეიტრალებელი-გამწოვი ფონი სჭირდება. პარტიებსა და ბლოკებში თუ ისევ საკუთარ ხალხს ჩასვამენ ,,რესპუბლიკელები", ,,ნაციონალები" და ისევ იმ ხალხის რეაბილიტაცია მოხდება, რა აზრი აქვს მაშინ?

**ორი სახის პოლიტიკის გატარებაა საჭირო, რომელიც საზოგადოებასაც საშუალებას მისცემდა შიგნით შესულიყო. მაგრამ ხიდაშელის ასაშენებელი რომ გახდება ქვეყანა, იქ დამთავრებულია ყველაფერი. შეიძლება ჯერ არ უნდა ვამბობდე ამ ყველაფერს, მაგრამ უკვე გვიანდება. ბოლოში რომ ვამბობთ სათქმელს, შემდეგ მკვდრებს ველარ ვაცოცხლებთ.**

საერთოდ, ერის ცნობიერების გამოყვანის პროცესი არ მიმდინარეობს სწორად. ხალხთანაც არავინ არ მიდის. საინფორმაციო სივრცე არ არსებობს, ტელევიზია არ არის, რომელიც ხალხთან სიმართლეს მიიტანს. პრესაც რეგიონებამდე ვერ აღწევს,

**ერთი გაზეთი დადის მთელ სოფელში და მორიგეობით კითხულობენ. სად არის სხვაგან ასეთი ტირანია? რუსეთში გამუდმებით მიტინგებია, მაგრამ დარბეული და მოკლული არავინ მინახავს. საბერძნეთში და საფრანგეთში დაანგრია ხალხმა ყველაფერი, მაგრამ არავინ არ მოუკლავს მთავრობას. ამათ კი ჩახოცეს ხალხი და არავინ ხმა არ ამოიღო ამაზე. ვინ არიან ესენი, საერთოდ?!**

ერთხელ გაწირეს ერი, მეორედ, ეროვნული მოძრაობა გადააგდეს, ფსიქოლოგიურად დათრგუნეს ერი და ველარ დგება ფეხზე. ეს ხალხი 26 მაისის დარბევას კი არ შეუშინებია, - მაშინ გატყდნენ, თხუთმეტჯერ რომ მიაბრუნეს სახლში.

ამათ უნდათ თუ არ უნდათ, ჩვენ მაინც შევქმნით ხელოვანთა და მწერალთა იმ დარბაზს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. მიმართვებს გავუგზავნით ცალკე მსოფლიოს და ცალკე ივანიშვილს. არ ვიცი, რა ფორმებით და როგორ აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას. საარჩევნო სიების აკონტროლებს საერთოდ ვინმე? ჩამოდის ვინმე ამის გასარკვევად უცხოეთიდან? ცოტა ხნის წინ ერთი ადამიანი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ ,,ნაციონალებს" ყველა კორპუსის ხელმძღვანელად თავისი აქტივისტი ჰყავთ დანიშნული, ცოტა ხნის წინ ვანო მერაბიშვილს ეს ხალხი შეუკრებია, რომელიღაც რესტორანში უხდის თურმე დიდ ქეიფებს, ასაჩუქრებს, ესენიც მიდიან კორპუსებში ალტაცებული და ეწევიან აგიტაციას. მითხარით, სად არსებობს დედამიწის ზურგზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც კონსტიტუციას ცვლიდეს იმის მიხედვით, ოპოზიციის რომელი საქციელი არ მოეწონება. პირდაპირი დანაშაულია ეს.

**რა უფლება გაქვს, მოქალაქეობა არ მისცე საქართველოში დაბადებულ ადამიანს? შეიძლება უცხოელს არ მისცე შენი მოქალაქეობა, რაღაც მიზეზის გამო, მაგრამ რატომ უკრძალავ საქართველოში შობილ ადამიანს? მაშინ ეს იგივე განკვეთაა, როგორც ადრე იკვეთდნენ თემიდან ადამიანს, რომელიც რაღაცას დააშავებდა.**

**ივანიშვილს არაფერი არ დაუშავებია, უბრალოდ, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და რომელი ქვეყნის კანონითაა ეს დანაშაული? ამ ყველაფრისთვის უნდა დაისაჯონ „ნაციონალები".**

ქართველებს მშიშარა ერის სახელი შეგვერქვა უკვე. ხედავთ, ქისტები როგორ იბრძვიან სისხლის ბოლო წვეთამდე და კითხულობენ, რა დაემართათ ქართველებსო? ალბათ ესეც იმის ბრალია, შიდა მტერი რომ გვყავს. ზოგიერთ ჩვენ თანამემამულეს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, სწორედ სააკაშვილის ღირსნი ვყოფილვართო. მაგრამ ზოგიერთ ღირსეულ მოქალაქეს რომ ნახავ, გიხარია და ფიქრობ, როგორ შეიძლება ეს ხალხი ასეთი ხელისუფლების ღირსი იყოსო! მე ვთვლი, ეს ყველაფერი კარგად უნდა შევაგნებინოთ მსოფლიოს.

**ყველა ქვეყნის საელჩოსთან უნდა იყოს გამუდმებული მიტინგები, რომ მოგვაშორონ სააკაშვილი.**

იყოს ასეთი ლოზუნგი, თუ თქვენ მხარს უჭერთ სააკაშვილს, არ გვინდა მაშინ ამერიკა. კულტურული ერი ვართ ჩვენ და მსგავსი ტირანია არ გვახსოვს. შრომისუნარიანი ქართველი ერი გაქცეული და აყრილია აქედან. ვინც აქ დარჩა, იქნება მხოლოდ ხარჭა და მონა. უცხოელების მომსახურე ხალხი გავხდებით, ამათ არც კულტურა სჭირდებათ ჩვენი და არც მეცნიერება.

**ლელა არაბული**



# facebook

# xalxis azriT

მოვითხოვ შეიქმნას ახალი სამინისტრო რომელიც, გარემოს დაცვის სამინისტროსაგან დაიცავს გარემოს! :)

ეჰ, ისეთ დღეში ვართ, თითო კაცზე თითო კლინიკა გვჭირდება!

კონსტანტინე გამსახურდია საგანგებო დავალებათა ელჩის სტატუსით თბილისში, საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს ... ეს ბიჭი ხომ დატანჯეს მოკლედ, ჯერ მთელი წელი ზეცაში იყურებოდა და ამინდს აკვირდებოდა, ახლა ვაშაძეს და კალანდაძეს უნდა დააკვირდეს.

რამდენჯერმე მისმა აღმატებულებამ ბრძანა და სწორადაც, პუტინს საქართველო ტაშ-ფანდურისა და მწვად-ხაჭაპურის ქვეყნად მიაჩნიაო. ჩვენც პუტინებივით ხომ არ უნდა მოვიქცეთ? იმღერა, იცეკვა, ცნობილი გახდა კარგია, ვერ იცეკვა, ვერ იმღერა, ესი იგი, არ ვარგა. ძალიან დისკრიმინირებულია "არა ცნობილი", ფაქტობრივად ადამიანობის სტატუსიც კი არ აქვს. ამ თვალსაზრისით, ჩვენ კომუნისტურ ყოფას ძალიან გავასწარით, მაშინაც ასე იყო. უბრალოდ რიგითი ადამიანებისთვის კომუნისტები ტოვებდნენ საარსებო სივრცეს. დღეს ეს სივრცე მთლიანად ოკუპირებულია.

მიშას ათას ტყუილთან ერთად გორში უთქვამს: წინა ხელისუფლებამ რუსებს ბაზები დაუკანონაო. აქამდე ასე ვიცოდი, რომ სტამბოლის ხელშეკრულების საფუძველზე, ქალბატონი სალომეს მინისტრობის პერიოდში, კონტროლირებადი ტერიტორიიდან ყველა სამხედრო ბაზა გატანილ იქნა, მეშლება????????

ერთადერთი გამოსავალი , საერთაშორისო ზეწოლაა ! ანახეთ ყველას სააკაშილის ხელისუფლების რეალური სახე . ადრე თუ გვიან ამაზე თვალს ვერ დახუჭავს მსოფლიო თანამეგობრობა და მოუწევთ რეაგირება უკანონობის წინაალმდეგ. დიდი მადლობა ამერიკის დიპლომატიურ კორპუსს ქართველი ხალხის მხარდაჭერისთის , საქართელო ირჩევს ქართულ ოცნებას !

სახელმწიფო სამსახურში მისაღებად სავალდებულო მოთხოვნების გრაფაში ჩაამატონ ბარემ - სავალდებულოა 2 ენის ცოდნა: ინგლისურის და ენების მიტან-მოტანის

ჩვენი ვებადმინისტრატორი გოგონა გინებაზე გადავიდა. მიშა ამას და ჯანდაბა, აღარ დავინახო ამის ფეხი კახეთშიო. შეღონდა გოგო ვიდეოების მონტაჟით

მიხეილ სააკაშვილი: "წყალტუბო იციან ყველა არაბულ ქვეყანაში... დამპყრობლები აქ აზიიდან ჩამოდიოდნენ, მაგალითად, თემურ-ლენგს ფეხი ჰქონდა სამკურნალო და იმის გამო, რომ უცებ ვერ მოარჩინეს, თბილისი გადაწვა." ამ შიზოიდს რა დიაგნოზით მკურნალობენ?..ისტორიკოსია... შეთავსებით გეოგრაფიის მასწავლებლობანას თამაშობს

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ქობულეთის ტერიტორიაზე, სოფელ ციხისძირთან, პეტრას ისტორიული ციხექალაქი სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად "ჯორჯიან ინვესტ კომპანიას" 49 - წლიანი ვადით გადასცა. აღნიშნული კომპანიის მფლობელნი უკრაინელები არიან. მერე, იკითხავენ, რას ვაშავებთო?!არაფერსაც არ იკითხავენ, ჩვეულ რეჟიმში არიან. ბათუმის თავზე ვერტმფრენი ისტერიულად ფრენას რომ დაიწყებს-2-3 საატის განმავლობაში, ვხვდებით, რომ რაღაც იყიდება, ან ინგრევა:((((

შტუდგარტში ქალაქის ცენტრში ვაგზლის გაფართოების გამო უნდა მოეჭრათ რამოდენიმე ხე. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა და არ მისცეს სახელმწიფოს დაეშვა ეს. ჰოდა დარჩა ვაგზალი გაფართოების გარეშე. როგორებიც ვართ და როგორც ვიქცევით ისევე გვექცევა ჩვენი მთავრობა. გაიგეთ ხალხნო ქართველისათვის სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია. აბა გერმანელი თუ გაბედინებს ვინმეს თუნდაც საერთოდ უცნობს შეურაცყოფა მიაყენოს. არადა ევროპელები ცივები არიანო, ჩვენ სითბო სიყვარულში ვიხრჩობით თურმე.



# 25 Tebervali

# wiTel yayaCos miibnevT gulze Tu ukanalze `peros~ gamoibamT, Tqven mainc wiTeli bolSevikebis naSierebad darCebiT!

ბებიაჩემი მარუსა, დღეს რომ დავფიქრდები ხოლმე, პირწავარდნილი დისიდენტი იყო, რადგან ჩვენს სამეზობლოში მცხოვრებ ბოლშევიკებთან სიცოცხლის ბოლომდე არ ურთიერთობდა, გამარჯობას არ ეუბნებოდა და როცა დროთა განმავლობაში, ისინი თავიანთი ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდნენ, ანდა შვილების უბედურების მომსწრენი ხდებოდნენ, ასე იძახდა: –„აჰა, ხომ ჩააძაღლა ღმერთმა, მაგრამ შვილებმა, შვილებმა რა დააშავეს ქა, მამების ცოდვა მათ რომ ეწიაო?

ახლა ეს ამბავი რატომ გავიხსენე, იცით? უთო რომ ჩართო, ისიც 1921 წლის ამბებს ჰყვება და რაც მთავარია, საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს პერიოდზე, ბედის ირონიით იმ ადამიანების შვილიშვილები თუ შვილთაშვილები „სწუხან", რომელთა ბებია-ბაბუები წითელ არმიას –„ურას" შეძახილით ხვდებოდნენ და რომელთა შთამომავლობა დღესაც აგრძელებს ნამდვილებით ვიცი, ზუსტად იციან, რა მოხდა გასული საუკუნის 30-იან წლებში ანუ 91 წლის წინ? იქნებ სწორედ მათ მიერ მიჩქმალული „უმნიშვნელო დეტალებია" ის ჭეშმარიტება, რამაც საქართველო გააწითლა, ანდა ზუსტი ანალოგიით გადმოვიდა შემდგომ საუკუნეში, ოღონდ მიხეილ სააკაშვილის სახით სწორედ ამ უხერხულობას მოერიდნენ?

რამდენიც არ უნდა მალოს თავი სირაქლემასავით თავის უკანალში სააკაშვილმა, ფაქტი ჯიუტია. დღეს საქართველოს პარლამენტად წოდებულ სახელმწიფო დამნაშავეთა „საკრებულოში" 1921 წლის მოღალატე მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას კაბინეტის არსებობა ნამდვილად არ არის შემთხვევითი და ამ ფაქტს იქაური „ბინადარნი" ვერსად გაექცევიან! დიახ, ნოე ჟორდანიას და მისი მთავრობის გამყიდველმა წევრებმა შეატოვეს პირისპირ პატრიოტი ქართველები ბოლშევიკთა არმიებს



ბოლშევიზმის იდეოლოგიას, ოღონდ „დემოკრატიის" სახელით!

**სასაცილოა ისიც, რომ „ყაყაჩოდაბნეული" ყოფილი რაიკომის მდივნების შვილები, „კგბ"-ს მაღალჩინოსნების თუ „სტუკაჩების" შვილები და იმ მწერლების შვილებიც არიან, რომლებიც საკუთარი ჯალათი მამა-პაპის სისასტიკეს, გულში დარცხვენილები კი მალავენ, მაგრამ ახალი, ნეობოლშევიკების გვერდით მაინც დგანან და ეს ლოგიკურიცაა, რადგან სხვანაირად არ ძალუძთ.**

როგორც უკვე ვთქვი, რადიო, ტელევიზია, უთო და მტვერსასრუტიდანაც კი დილიდან დილამდე, აგერ უკვე 1 კვირაა თავმომწონედ გაისმის რომ 1921 წლის 21-25 თებერვლამდე, კოჯორ-ტაბახმელას გზის მონაკვეთში ახალგაზრდა იუნკერები, მრავალრიცხოვან ბოლშევიკურ შენაერთებთან სიცოცხლის უკანასკნელ წამებამდე იბრძოდნენო.

კი, ბატონო, ისინი ნამდვილად იბრძოდნენ და ღმერთმა ასგზის გაანათლოს მათი სულები, მაგრამ „ისტორიულ დოკუმენტურ" ფილმებს როცა იღებს თუნდაც ჩემი კოლეგა თომა ჩაგელიშვილი, რატომ ბოლომდე მართალს არ ამბობს ან ის და ან მის მიერ ფილმში დაკავებული ისტორიკოსები, რომლებმაც და და უკანმოუხედავად გაიქცნენ პარიზში საქართველოს ეროვნულ საგანძურთან ერთად! **რა განსაცვიფრებელი ანალოგიები უყვარს ისტორიას, არა? აბა, გაიხსენეთ, 2008 აგვისტოს საშინელი დღეები და უმალ დარწმუნდებით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაც ზუსტად ისევე კუდამოძუებული გარბოდა საქართველოს საზღვრებისკენ, როგორც ამხანაგი ნოე და მასთან ერთად ბევრი „ამხანაგი"! დღეს რომ სააკაშვილი და მისი ფანები წითლად მკერდდაბიბინებულები დარბიან გორში, ბათუმში, ქუთაისში თბილისში და ისტორიაში გაუთვითცნობიერებელ ხალხს ამუნათებენ – წითელი ყაყაჩო ოკუპაციის სიმბოლოაო, ბნელა??? ყველას გვინახავს თენგიზ აბულაძის გენიალური ფილმი „ნატვრის ხე" და აბა, გაიხსენეთ ფილმის დასაწყისში „ყორიანში" საქართველოს თავისუფლების სიმბოლოთეთრი ცხენი, რომელიც წითლადაღაჟღაჟებული ყვავილების ფონზე კვდება? ყაყაჩოების, ხომ? აბა, ისიც გავიხსენოთ, ბოლშევიკები და წითელგვარდიელები, რა, ფერის გაბანტული სამკერდეებით დადიოდნენ? ჩვენი წითელი ყელსახვევები, რა სხვა დატვირთვას ატარებდა?** ვიმეორებ, თენგიზ აბულაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, ან თეთრი ცხენის სიკვდილი ალეგორიულად წითელ ყაყაჩოებში დაგვანახა და საკვირველია, ღმერთმანი, „პრაიმ თაიმის" რედაქტორის, თამარ ფხაკაძის ინიციატივით „ყაყაჩოებით" მორთული „ნაც. მოძრაობა" და მისი აქტივი რაზე მიანიშნებს, ყაყაჩო მაინც ცოცხალია და არასოდეს დაგავიწყდეთო?

რაც შეეხება საქართველოს 1918-21 წლების დამოუკიდებლობას... ისტორკოსებს მშვენივრად მოეხსენებათ, რომ თავად ნოე ჟორდანია ერთობ აგდებულად ეკიდებოდა ამ ამბავს და მას დამოუკიდებლობა თითქოს იძულებით გამოაცხადებინეს, მაგრამ მის მიერვე დაწერილ წიგნში – „ჩემი წარსული" ირონიულად რომ აღნიშნავდა –„საქართველოს დამოუკიდებლობა არასდროს არ გაგონილი ამბავია"-ო, ეს როგორ გავიგოთ?! სხვათაშორის სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია, მტრულად არც ბოლშევიკებისადმი იყო განწყობილი და ამბობდა: „რა მოხდა მერე, ერთი მთავრობა მიდის და მეორე მოდის, ჩვენ რუსებთან ერთად უნდა ვიყოთო! დიდი ქართველი მამულიშვილი – შალვა ამირეჯიბი წერს: „გენერალ მაზნიაშვილს ჟორდანიას დაპატიმრებაც კი უნდოდა ბათუმში, რადგან მან საქართველოს წინაშე არნახული ღალატი ჩაიდინა!"-ო.

**ახლა მე ვეკითხები საქართველოს დღევანდელ მოღალატე ხელისუფლებას – პარლამენტში ნოე ჟორდანიას კაბინეტი ამიტომ გაქვთ მოწყობილი?**

რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავს, რომელიც სააკაშვილმა გასულ წელს, 2011 წლის 26 მაისს ბოლშევიკური ხელწერით იდღესასწაულა და 1921 წლის 25 თებერვლის დარად სისხლით მორწყო რუსთაველის გამზირი...

ჯერ ერთი – საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, „ძვირფასო" „ნაცებო" და მეორეც, როდესაც დამოუკიდებლობის დღეს, თუნდაც 26 მაისს აღნიშნავთ, რატომ გავიწყდებათ, რომ ამ დღეს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა?! და კიდევ, ვინც თუნდაც 20 წლის წინანდელი დამოუკიდებლობა აღადგინა, იმ ხალხს რატომ არ ეძახით დღესასწაულზე? ან იმ ხალხს, რატომ არ იყენებთ გვერდით აღლუმის დროს, რომლებსაც „დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აქვთ მოწერილი? კარგი, ვთქვათ, ბევრ მათგანთან გვერდზე დგომა თქვენთვის დამამცირებელია, მაგრამ თქვენი დეპუტატის – ხათუნა ოჩიაურის მამას გოგი ოჩიაურს მაინც რას ერჩით? ბატონ გოგისაც, ხომ მოწერილი აქვს ხელი ამ დოკუმენტზე?



ე.ი. რა ხდება? თქვენ ერთის მხრივ, ნოე ჟორდანიას აპოლოგეტები ხართ და მეორეს მხრივ, იმ ადამიანების ლვაწლს ჩქმალავთ, ვინც ხელმეორე დამოუკიდებლობისთვის თუნდაც სიცოცხლე გასწირა, ანდა ნეობოლშევიკებისაგან შორს უცხოეთში გადაიხვეწა?

მე პირადად ვიცნობდი ჟორდანის შვილს რეჯებ ჟორდანიას და მასთან ბათუმში ინტერვიუც მაქვს ჩაწერილი, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ბატონმა რეჯებმა აღმაფრთოვანა თავისი „ღრმა" ქართულობით, მეტიც, მითხრა, რომ – საქართველოს მაშინდელი მთავრობა, მართალია იძულებით, მაგრამ მაინც სწორად მოიქცა ემიგრაციაში წასვლის თვალსაზრისით, რადგან თვითონაც გადარჩა და რაც მთავარია, გადაარჩინა იდეა, რომელსაც დამოუკიდებლობა ერქვა!"-ო.

ახლა, მოდით, „პირველ ბოლშევიკებზე" ვისაუბროთ, ვინ იყვნენ ისინი და რომლებიც შემდეგ 30-იან წლებში თავადვე დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

მამების ცოდვა, მართალია შვილებს არ მოეკითხებათ, მაგრამ უამრავი ცნობილი ადამიანის



მშობელი შემიძლია გავიხსენო, რომლებიც ბოლშევიკებთან ხომ თანამშრომლობდნენ, მაგრამ ვიდრე ბოლშევიკები ავალებდნენ, იმაზე მეტ სისასტიკეს სჩადიოდნენ! ამიტომ შემდეგ ეს ადამიანები, როგორც ცნობილია, ბოლშევიკებმავე დახვრიტეს, მაგრამ ახლა მათი დაობლებული შვილები „ჩაიხუტეს" გულში და ზრდიდნენ მათ, მართალია, „მტრის შვილების" იარლიყით, მაგრამ კომუნისტურ ავანგარდში – ზოგს მსახიობად, ზოგს მწერლად, ზოგს – სპორტსმენად, ზოგს – მხატვრად, ზოგს – დისიდენტად, ზოგს – მუსიკოსად და რაც მთავარია, გავლენის აგენტებად!

ახლა, მოდით, თვალი გადავავლოთ ახლანდელ ნეობოლშევიკებს, ანუ 1921 წელს საქართველოში შემოსული წითლების გვერდიგვერდ მებრძოლ „პატრიოტებს" და მათ შთამომავლობას – ვინ აღზევდა, კომუნისტების დროს და ვინ რა სიკეთეები მიიღო მათი წინაპრების მიერ „წმინდათაწმინდა" სისხლის დაღვრის სანაცვლოდ?

**ვინ არიან პალიკო კუბლაშვილი და მისი ძმა იუსტიციის მინისტრი კოტე კუბლაშვილები? – ყოფილი რაიკომის მდივნის შვილები, ხომ? დიდი ალბათობით, მათი ბაბუაც ბოლშევიკი იქნებოდა, თორემ რაიკომის მდივნებად მაშინ ასე ჰაიჰარად არავის ნიშნავდნენ!**

**ვინ არის ნინო ბურჯანაძე – თერჯოლის რაიკომის ყოფილი მდივნის ანზორ ბურჯანაძის შვილი ხომ?**

**ვინ არის მიშა მაჭავარიანი, დათო ბაქრაძე, გოკა გაბაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი – ყოფილი პარტიული მუშაკების შვილები, ყოფილი დამსმენების, ყოფილი მოღალატეების შვილები, ხომ?**

**ახლა ოთხი თაობის კომუნისტების ოჯახში აღზრდილი, ჩეკისტების გაზრდილი საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტად წოდებულ მიშა სააკაშვილზეც ვთქვათ, ვინ არის, საიდან მოვიდა და სად მიდის?**

**სააკაშვილმა ამას წინათ, რომელიღაც სოფელში გახსოვთ რა თქვა: „მორჩა, დამთავრდა ის დრო, როცა „გაქსუებულების" შვილების იყო ყველაფერი, თანამდებობა, ინსტიტუტში მოწყობა, საზღვარგარეთ წასვლა, ძვირადღირებული რეპეტიტორები, ყველანაირი სიკეთე, პრივილეგიები" და ა.შ. გაგახსენდათ, ხომ?**

აბა, ახლა მომისმინეთ, „ნაცებო" და ტვინში ჩაიბეჭდეთ: შემთხვევით თქვენზე და თავის თავზე ხომ არ თქვა თქვენმა პრეზიდენტმა ეს ყველაფერი? ანდა განა თვითონ მიშა არ დადიოდა მაშინ ყველაზე ძვირადღირებულ და წონიან რეპეტიტორთან – გე-



ლა ჩარკვიანთან? განა თვითონ არ სწავლობდა საქართველოს საზღვრებს მიღმა?

განა თავად მას არ უბოძეს (სრულიად დაუმსახურებლად) ჯერ იუსტიციის მინისტრობა და შემდგომ დანარჩენი მაღალი თანამდებობები ასევე ბოლშევიკურ წიაღში აღმოცენებულმა მაშინდელმა „მოქ.კავშირმა“? განა თვითონ არ დარბოდა აღმა-დაღმა უცხოეთში, როცა საქართველოში ომები მძვინვარებდა და ნახევარი საქართველო შიმშილობდა? იქნებ ამიხსნათ „ნაცებო“ ან თქვენ, ან თქვენს წინაპრებს რა სიკეთეები წაგართვათ ბოლშევიკურმა რეჟიმმა და რა არის მიზეზი იმისა, ჩვენზე ძალიან რომ გძულთ ისინი? თქვენ, ამ ყველაფრის შემდეგ განა უფლება გაქვთ ილაპარაკოთ ვინმეს მიერ ვინმეს ოკუპაციაზე მაშინ, როცა ამ ქვეყნის ოკუპანტები ნოე ჟორდანიას მთავრობის დარად თავადვე ხართ? წითელ ყაყაჩოს დაიბნევთ მკერდზე თუ უკანალზე „პეროს“ მიიბნევთ, მაინც ვერ გაექცევით იმ ფაქტებს, თითოეული თქვენთაგანის ოჯახურ ისტორიებში რომ არის „წითელი ხაზით“ აღნიშნული და როცა „ისტორიის გაკვეთილებს“ ხან სკოლებში, ხანაც — ჯარში გულზე მჯიღის ცემით ჰყვებით — არაფერი შეგეშალოთ, ბიჭებო, და გოგოებო, რადგან ჩვენ თქვენზე ლამისაა მისხალ-მისხალ ვიცით ყველაფერი!

რატომ პირადად თქვენ არ აძლევდით მაგალითს ერაყში და ახლა ავღანეთში სრულიად გაურკვეველი მისიით მყოფ ჩვენს ჯარისკაცებს და რატომ არის მხოლოდ მათი სიკვდილის ფასად მისაღები ის დივიდენდები, რომელსაც მხოლოდ თქვენ ითვისებთ?

კარგით, ავღანეთი და ერაყი შორს არის, მაგრამ აქ, საქართველოში რა უფლებით მიეთრევით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალებთან, მაშინ თქვენი ყაყაჩოს ბროშკებით, როცა გმირი ბიჭების შვილებს თითქმის აშიმშილებთ და მარჩენალდაკარგულ ოჯახებს კი მინიმალურ პენსიასაც უმცირებთ? ვეტერანებზე აღარაფერს ვამბობ, ისინი ფაქტიურად, მკვდრები არიან უკვე და იმიტომ!

**შეიძლება მე არ მახსოვს, მაგრამ იქნებ თქვენ გამახსენოთ, რომელი თქვენთაგანი იბრძოდა აფხაზეთში, ანდა სამაჩაბლოში და სად იყო მაშინ თქვენი ბელადი სააკაშვილი და ვის იდეოლოგიას იზუთხავდა „კგბ“-ს მწვანე ბატალიონში? თქვენი აპოლოგეტი თორთლაძე კი იძახის — აფხაზეთში ვიბრძოდიო, მაგრამ მე არ მინახავს და თუ რომელიმე ჟურნალისტს გადაღებული აქვს პადოშას „საქმენნი საგმირონი“, ერთხელ მაინც რატომ არ გვინახავს ტელევიზიით?**



ჩვენ ისიც გვახსოვს და ვიცით, რომ ბევრი თქვენთაგანი, მიხეილ სააკაშვილის ჩათვლით, კომუნისტებთან მაშინ დამეგობრდით, როცა 9 აპრილის ტრაგედია დაატრიალეს გორბაჩოვ-შევარდნაძე-როდიონოვის ჯალათებმა თბილისში და როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდა თითქმის მთელი საქართველო!

მე არ მახსენდება არცერთი თქვენგანი, პატრიოტი ქართველების გვერდით და იქნებ ვინმემ გამახსენოს?

რამდენიმე დღის წინ ჩემმა მეგობარმა თემურ ქორიძემ ფანტასტიკური სტატისტიკა მომაწოდა — 3000 ქართველი სტუდენტი დაბრუნდა 1991 წელს საქართველოში, რათა მონაწილეობა მიეღოთ სამშობლოს აღმშენებლობაშიო და, თქვენ, თქვე მართლა „ნაცებო“, მაშინ სად იყავით?

**გოკა გაბაშვილო, სტუდენტობისას ზვიად გამსახურდიას პაროდიებს რომ აკეთებდი უნივერსიტეტის კიბეებზე და ამით გაითქვი სახელი, ეგ იყო შენი სამშობლოსთვის თავდადება?**

ანდა იმ 3000 სტუდენტს შორის რატომ არ იყო მიშა სააკაშვილი, როცა საბჭოთა კავშირის ჯარში მომსახურე მრავალი ქართველი დეზერტირობის გზას დაადგა და სამშობლოში დაბრუნდა?

სად იყავით, თქვე „ჟორდანიაბრაზნებო“ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როცა პატრიოტი ქართველები გაბოროტებული მურა დათვის წინააღმდეგ პირისპირ მიდიოდნენ?

რა, განა თქვენც იუნკერებივით არ შეატოვეთ მტერს პირტიტველა რეზერვისტები და თანაც უიარაღოდ?

ჩემი 14 წლის შვილი თუ იცავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სად იყვნენ თქვენები?

ვიდრე მიპასუხებდეთ, მე გეტყვით: თქვენნაირები მოსკოვ-ვოშინგტონის გზაზე იდექით და სამშობლოს ხელმესამე ოკუპაციისთვის ემზადებოდი და აკი, 2003 წელს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ივანოვთან ერთად 23 ნოემბერს „პარადიც“ მოაწყვეთ რუსთაველის გამზირზე!

ახლა „ნატო“, „ნატო“ გაქვთ აკვიატებული, მაგრამ, ხომ ხედავთ, რა ვერაგული ანალოგიები იცის ისტორიამ, ნოე ჟორდანისდროინდელი საქართველო „ერთა ლიგამ“ წევრად არ მიიღო, ისევე როგორც საქართველოს უთხრეს უარი „მაპ“-ზე და სხვა უამრავ საეტაპო საფეხურებზე, რომელიც ამ სამხედრო ბლოკში გაერთიანებას უნდა უძღოდეს წინ! მაგრამ... მაგრამ „ნატოსა“ და რუსეთის ცივ დაპირისპირებაში უკვე რამდენჯერმე ცხელი მუშტი რომ მოგვხვდა, აზრზე როდის უნდა მოხვიდეთ, „ნაცებო“?

ამერიკა და რუსეთი ერთხელ უკვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ვიეტნამში და იმ დროისთვის ვიეტნამის მიწა ბომბებით იყო გადახნული! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1917 წლამდე დასავლეთსაც თავისი სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა აზერბაიჯანში და საქართველოში, მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, მაშინ რუსეთის ბოლშევიკურ ზრახვებსაც ნუ ავუვლით გვერდს და გავიხსენოთ, რომ ნავთობით მდიდარი ქვეყანა — აზერბაიჯანი მათ 1920 წელს უკვე „გაწითლებული“ ჰქონდათ! ამდენად ჟორდანიას ხელისუფლებისათვის, სრულიად არ ყოფილა მოულოდნელი წითელი არმიის ხელმეორე შტურმი საქართველოზე და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ყველა უცხოელი უკანმოუხედავად გაიქცა ერთ დროს დამოუკიდებელი ქვეყნიდან!

როგორც უკვე ვთქვი, 1921-2008 წელს გაქცეულ ხელისუფლებასაც კუდში მისდევდა უცხოური დიპლომატიური მისიები და პირადად ვარ მომსწრე, 9 აგვისტოს თბილისისკენ დაძრულ ტანკებს აზერბაიჯანისკენ როგორ ასწრებდა ჩემი ერთი-ორი მეგობარი ელჩის ავტომობილები!

თუკი ამჟამად, რუსეთის და ამერიკის ინტერესთა კონფლიქტი — საქართველოა, ხომ არ გველის ჩვენ ვიეტნამის ანალოგია ძვირფასო ნაცებო?

**აკი, დიმიტრი მედვედევმა თავად თქვა — აგვისტოს ომი ჩვენ დავიწყეთ იმიტომ, რომ „ნატოს“ გაფართოებისთვის შეგვეშალა ხელიო? მე კი ვიტყოდი, მედვედევმა და სააკაშვილმა ერთობლივად, ურთიერთშეთანხმებით დაიწყეს აგვისტოს ომი, რათა შემდეგ, ბოლშევიკური მუშტი მოეღერებინათ მსოფლიოსთვის!**

სხვათაშორის, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, მე ირინე გოგოსაშვილი,ბომბდამშენი თვითმფრინავების ქვეშ მეღვრიკისში ვიდექი და ცხვირით მიწას კი არ ვჩიჩქნიდი, არამედ გამართულ მდგომარეობაში ვიღებდი გამოქცეულ ოფიცრობას და დახოცილი ბიჭების ცხედრებით მომავალ მანქანებს!

ისევე, როგორც 1921 წლის თებერვალში, პატრიოტები 2008 წლის აგვისტოშიც იბრძოდნენ ცხინვალში, ბოლშევიკების შთამომავლების 58-ე რუსული არმიის წინააღმდეგ, მაგრამ დახეთ, რა მოხდა ომის შემდეგ? ის გმირი ოფიცრები, ზოგი ბათუმში ჩაცხრილეს და ზოგიც კიდევ ე.წ. „მუხროვანის ამბოხების“ შემდეგ და აქაც რომ ანალოგიებია 1921 წლის გადმოსახედიდან, ამას რა ვუყოთ?

ასევე სხვათაშორის — საქართველოს მოსახლეობა (აზერბაიჯანის შემდეგ) თითქმის შეგუებული იყო საქართველოს გასაბჭოებას და თუ დავთვლით, რამდენი ადამიანი შეაკვდა ამ ბრძოლაში წითელ გვარდიას, მერწმუნეთ, გაოგნდებით!

ემიგრაციაში წასული ნოე რამიშვილის ვაჟი აკაკი რამიშვილი წერდა: —„სირცხვილით სად გამოვყოთ თავი, 300 კაცის გარდა მეტი სისხლი ვერ გავიმეტეთ სამშობლოსთვის, ასეთი სამარცხვინო ჯარი, როგორიც ჟორდანიას მთავრობის დროს იყო, საქართველოს არ ახსოვს. არც კი გვიბრძოლია, წინააღმდეგობაც კი არ გაგვიწევია ბოლშევიკებისთვის, ისე დავტოვეთ ჩვენი მიწა-წყალი!“

ხომ არაფერი გახსენდება, მკითხველო?

**იმ 30 იუნკერისა არ იყოს, ცხინვალში ამერიკული სტანდარტებით გაწვრთნილმა ჯარმაც უკანასკნელ წუთამდე იბრძოლა, მაგრამ მთავრობა გაექცა წითელ ხიდზე, სარფში, ყაზბეგში და რა ექნა მეტი? 158 ვაჟკაცისათვის ბულდოზერებით გათხარეს ტრანშეები მუხათგვერდში, მაგრამ არცერთი იმათთაგანი არ იყო არც სააკაშვილის ძმა, არც მაჭავარიანის შვილი, არც გაბაშვილის მამა, არც ბაქრაძის ბაბუა და არც პალიკო კუბლაშვილის მამიდაშვილი! ისევე, როგორც 1921 წელს, იმ 300 პატრიოტის გვერდით არ იწვა ჟორდანიას, რამიშვილის, წერეთელის და ა.შ. არცერთი ნათესავი!**

გაგიკვირდებათ, მაგრამ „დემოკრატი“ ნიკიტა ხრუშჩოვის ეპოქაც მახსოვს, ტალახისფერი შავი პურით და მშიერი ხალხით!

მიხაილ ნიკოლაევიჩ სააკაშვილისა არ იყოს, ნიკიტა სერგეევიჩმა



ექსპერიმენტებით დაიწყო საქართველოში სოფლის მეურნეობის რეგორგანიზაცია, მაგრამ ამერიკული გაუხარელი ჯიშის სიმინდისა არ იყოს, მაშინაც ყველას შუბლთან თითი მიჰქონდა და მწარედ აბზრიალებდა — ამ კაცს აკლიაო!

ესეც მშვენიერი პარალელია, ვფიქრობ, ძველი ბოლშევიკის და ახალი ნეობოლშევიკის შედარებისა!

ძვირფასო მკითხველო!

შორს წაგვიყვანს ბოლშევიკებისა და ნეობოლშევიკების მსგავსებათა სრული ჩამოთვლა, მაგრამ უმთავრესი და ძირითადი მაინც ის არის, რომ ბოლშევიკების დროსაც ერთპარტიული მმართველობა იყო და ახლაც ასეა სააკაშვილის „დემოკრატიულ“ საქართველოში!

ბოლშევიკების დროსაც შეუძლებელი იყო განსხვავებული აზრის დაფიქსირება ცენტრალურ ტელევიზიებში და სააკაშვილის საქართველოშიც ასეა!

ბოლშევიკების დროსაც ებრძოდნენ უნივერსიტეტებს, პატრიოტულად მოაზროვნე პროფესურას, სტუდენტებს და ა.შ. და ესეც სააკაშვილის „დემოკრატიის“ გამო დაემართათ ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტში!

ბოლშევიკების დროსაც არსად დაგიდევდნენ სხვათა ომში დაღუპულ, ჩვენს სისხლს და ხორცს და სააკაშვილის ხელისუფლებასაც ფეხებზე ჰკიდია ერაყ-ავღანეთში დაღუპული ჩვენი ბიჭები!

ბოლშევიკების დროსაც სულ გვაყვედრიდნენ — ამას გიშენებთ, იმას გიშენებთ და რაც მთავარია, წინ ვასწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებსო! ზუსტად ასეა სააკაშვილის „ბაღნარად ქცეულ დემოკრატიულ საქართველოშიც“.

ბოლშევიკების დროსაც პრივილეგიებით სარგებლობდნენ ჯალათების, დამსმენების, სამშობლოს მოღალატეების შვილები ისევე, როგორც დღეს და იქნებ რომელიმე ყაყაჩოდაბნეულმა არამზადამ მითხრას — დღეს, სააკაშვილის ნეობოლშევიკური რეჟიმი აგრერიგად რატომ ჰგავს ძველბოლშევიკურს?

მე მეჩვენება, რომ „ყაყაჩოების“ ისტერია რაღაც ახალი კონფრონტაციისთვის ამზადებს საზოგადოებას და წინასწარ ამიტომაც იხსენებენ 1921 წლის თებერვლის 25 ასეთი გაშმაგებით, რათა შემდგომ მათი ემიგრაციაში წასვლაც „გმირობად“ ჩაითვალოს!

2008 წლის აგვისტოს ომამდეც და ომის დღეებშიც, თუ კარგად გახსოვთ, 1921 წლების ქრონიკა გადიოდა ყველა ტელევიზიის ეთერით, მაგრამ მაშინ წითელი გვარდია მოდიოდა საქართველოში და ნეტავ ხვალ ვის ელოდება სააკაშვილი, რომელიც ჟორდანიას მსგავსად ვერაფერი დემოკრატია და პირიქით, საბჭოთა „კგბ“-ს პირმშოა?

აკი, ჟორდანიაც იძახდა — საქართველოს დამოუკიდებლობა არგაგონილი ამბავიაო?

ძვირფასო მკითხველო! თქვენ როგორ ფიქრობთ, ქვეყნის ოკუპაციას — ამდენი დღე ვინმე ზეიმობს? ანდა ნახევრად დაშვებული სახელმწიფო დროშა სადმე გინახავთ? აკი, ბრძანა კიდეც ამის დასტურად მიხაილ ნიკოლაევიჩმა — დროშები სანახევროდ დაუშვითო?!

და ერთიც — ხვალ რომ რუსების ჯარი საქართველოში შემოვიდეს, როგორ ფიქრობთ რამდენი საქართველოს მოქალაქე დაუპირისპირდება მათ და სიცოცხლეს რამდენი ანაცვალებს სამშობლოს დამოუკიდებლობას?

გახსოვთ, 1921 წელს, ასეთი მხოლოდ 300 პატრიოტი რომ აღმოჩნდა და დღეს, ნეტავ, რამდენია ასეთი?

**არის ასეთი გამოთქმა: „შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამამისი“-ო.**

**„ძვირფასო ნაცებო“ თქვენი ბაბუები იმ 30 გმირი იუნკერის გვამებზე გადაბიჯებისას გაჩერდნენ! თქვენი მამები 1937-53 წელს დახვრეტილების გვამებთან და თქვენც ეს გზა რომ გაიარეთ რამდენჯერმე, ხომ არ გავიწყდებათ?**

**ირინე გოგოსაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# xaWo rusudans! _ centr `tuia pointis~ pontebi

„ცენტრ პოინტ-დექსუსის“ მიერ დაზარალებულთა მოთხოვნაზე, ბინები გადაეცა ან თანხები დაებრუნებინათ, რუსუდან კერვალიშვილმა განაცხადა, რომ მას ხაჭოს ფულიც არ აქვს. ცენტრ პოინტ-დექსუსის მიერ დაზარალებული მოქალაქეები ვაპირებთ, დავეხმაროთ რუსუდანს, პარლამენტთან ხაჭო მივუტანოთ და მივართვათ ჩვენი მოთხოვნები. გიწვევთ ყველას აქციაზე „ხაჭო რუსუდანს!“

„დავეხმაროთ „გაჭირვებულ ნაციონალ“ ოლიგარქს, კოდური სახელით „მინდა ვიყო დედა ტერეზა!“ — ამგვარი მიმართვები გავრცელდა სოციალურ ქსელში მას შემდეგ, რაც ქალბატონმა რუსუდან კერვალიშვილმა (გნებავთ, ოლიგარქი უწოდეთ, გნებავთ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, გნებავთ, უბრალოდ, პარლამენტარი, ან სულაც ყოფილი ექიმი) კვლავ „ვერ მოიცალა“ მისივე კომპანიის მიერ დაზარალებულ მოქალაქეებთან შეხვედრისთვის.

არა, განა არ სურდა შეხვედრა, მაგრამ როგორც ჟურნალისტებს მის სამდივნოში განუცხადეს, თურმე ქალბატონი რუსუდანი ორდღიან მნიშვნელოვან შეხვედრას უძღვებოდა თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, ე. წ რეგიონალურ კონფერენციას, „ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ და პარლამენტში არ მიბრუნებულა.

მერედა, რატომ არ მიბრუნებუნებულა? — ამაზეა სწორედ საუბარი.

დაზარალებულთა მხარდასაჭერ აქციაზე ქალბატონი რუსუდანისთვის დეპუტატის მანდატის შეწყვეტა მოითხოვეს, რადგან თვლიან, რომ სწორედ ამ მანდატს აფარებს თავს, რათა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრას.

6200 მოქალაქეა დაზარალებული, — ამ 6200 მოქალაქის მიერ გადახდილი ათასები რომ გადაამრავლოთ, იმ თანხით რამდენი კილოგრამი ხაჭო მოუვიდოდა ქალბატონ რუსუდანს, ხომ მთელ მის საგვარეულოს ეყოფოდა სიცოცხლის მანძილზე? არაო, ხაჭოს ფულიც კი არ მაქვსო, — აი, საკვირველი!

კერვალიშვილმა განახორციელა თაღლითური ფინანსური პირამიდის სქემა და ჩვენი თანხები მიითვისაო, — არ ცხრებიან დაზარალებულები.

სად იყო კერვალიშვილის ხსენება, როცა ყოფილ სასტუმრო „ივერიაში“ იმ ხალხის ზედახორა იყო, რომელთაც ე. წ „მავრიდის პირამიდის“ სათავეში უნდოდა მოქცევა. შესატანი თანხის ოდენობა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ რაღაც მცირე თანხაზე იყო საუბარი, დღევანდელი საზომით, ალბათ, 5-7 ლარზე. არავინ დაეჭვებულა მოგებაში, რადგან, დამაჯერებელად ჩანდა პირამიდის პრინციპი, — ერთ ადამიანს უნდა გაეწევრიანებინა ხუთი სხვა ადამიანი და ა. შ უსასრულოდ და რიგითობის მიხედვით ყველა მიიღებდა გარკვეულ თანხას, შეტანილზე ბევრად სოლიდურს. არ ვიცი, მართლა აიღეს თუ ცრუობდნენ, მაგრამ გამოჩდნენ ადამიანები, მათ შორის ჩემი კოლეგაც, ცნობილი ჟურნალისტი, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ უკვე აიღეს დატრიალებული ფული.

პრინციპში, რატომაც არ აიღებდნენ, პირამიდის სათავეში ყოველთვის არის მოგება. ალბათ, იმავე პრინციპით ამოქმედებულ „ცენტრ-პოინტსაც“ არ დაადგებოდა შავი დღე, (ყოველ შემთხვევაში, ასე მალე) 2003 წლის 23 ნოემბერი რომ არ დამდგარიყო, — „სვაბოდაზე“ ყოფნის სანაცვლოდ გაატყავეს ვახტანგ რჩეულიშვილი, მხოლოდ თავის გატეხვა და წიხლქვეშ გაგდება აკმარეს და, — დარჩა 6200 ოჯახი „გადაგდებული“... (ახლა, თავიანთთვის გადადებულ „დანაზოგს“, ჯერჯერობით მაინც, ამაოდ ედავებიან „გადაგდებულები“, ჰა-ჰა, ერთი-ორს, ძალიან აქტიურს გადაუგდონ „ერთი ბარტყი“)

„რჩეულიშვილების ბიზნესად“ იწოდება თავდაპირველად „ცენტრ პოინტი“ და მის „მმართველად“ მაია სახელდებოდა, ვახტანგ რჩეულიშვილის მეუღლე, გაკკრით თუ ვინმე ახსენებდა მაიას დას, პროფესიით ექიმ რუსუდანს.

გამოხდა ხანი და ექიმი რუსუდანი აღმოჩნდა „ცენტრ პოინტის“ ყველა ცოდვის მზიდავი, — საინტერესოა, რატომ? გამიგია, ბუს უთხრეს, შენ ჩვენზე დიდი თავი გაქვს, ამიტომ, ყველას მაგივრად შენ იტირეო, მაგრამ რუსუდანის შემთხვევაში რა ხდება?



რუსიკოს შავ პიარს უგორებენო, — სიტყვა დაასველა რუსუდანის სიძემ და საქართველოში ცნობილმა სახემ, წინა მთავრობის „კაცმა“, ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, ერობაში „ტუიმ“.

უიო, ეს „ტუი“ კიდევ ხმას იღებსო? — მთლად გადაირია „ცენტრ-პოინტის“ ხრიკებით ისედაც ამღვრეული დაზარალებული ხალხი, მათი გულშემატკივრები და გადაარღვიეს შემაკავებელი ჯებირი, რისი თქმაც პირადად „ოჯახური პონტ-პოინტისთვის“ ვერ მოახერხეს, სოციალურ ქსელში გადმოანთხიეს.

**დათო ვახტანგ რჩეულიშვილს:** — „რა ქველმოქმედებაც არ უნდა გააკეთოს თქვენმა ოჯახმა, მაინც დაწყევლილები ხართ, — თქვენ გააუბედურეთ 6200 ადამიანი და მათ უკან მდგომი ოჯახის წევრები. ჩვენგან მოპარული ფულებით, თქვენ (რჩეულიშვილ-კერვალიშვილები) დღემდე ფლობთ: 1) მილიონობით დოლარს საბანკო ანგარიშებზე (იხილეთ რუსუდან კერვალიშვილის დეკლარაცია); 2) 50-მდე ძვირადღირებულ ფერწერულ ტილოს; 3) არაერთ მილიონად შეფასებულ სასტუმროების ქსელს და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. (რაც გაფლანგეთ, იმაზე არაფერს აღარ ვამბობ, ნარკომანი შვილის კაზინოები და კინოების გადაღებები) მინდა შეგახსენოთ (თქვენც და თქვენს მეხოტბეებსაც) და კარგად გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი გაქვთ ჩემი და ჩემნაირების სისხლის ხარჯზე მოპოვებული“

**გოგა:** — „ისე განიცადა ხალხის ჰაერში დარჩენა, თურმე თავის შვილის ანგარიშზე გადარიცხა 500 მილიონი, დარასელია, სახელი რა ჰქვია მაგ გველის წიწილს, არ მახსოვს.“

**მარინე:** — „ხო, თავის შვილს უკანასკნელი წარმოების დანადგარებით მოუწყო გაზეთის რედაქცია, ვითომ ისეთს წერს, რაც არ დაწერილა საქართველოში. ცოტაც და, მოგეკითხებათ ჩვენი ცოდვები, უფალს არ ეჩქარება...“

**გიო:** — „ვითომ მორწმუნე, ვითომ პატიოსანი, ვითომ კდემამოსილი... სინამდვილეში — ფარისეველი, ხარბი, თაღლითი... კერვალიშვილი თაღლითია, არ შერჩება ხალხის წვალებით ნაშოვნი ფული, ღმერთი არ დაუშვებს. ამაზე თუ უფიქრია, საინტერესოა, რომელ ხატებზე და ეკლესიებზე ლაპარაკობს, ეს მართლა სატანა.“

**ქუთაისელი:** — „ერთი, ჩამოდი ქუთაისში და აქედან დავანახებ მსოფლიოს, რა პოლიტიკოსიც ხარ. მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსი კი არა, ნარკომანების უსტაბაში ხარ.“

აქციაზე „ხაჭო რუსუდანს!“, ბინებით „გადაგდებულების“ 6200-კაციანი არმიის გარდა, ქალბატონი რუსუდანის თქმით, „ცილისმწამებელთა“ 250-კაციანი სხვა ჯგუფიც „აღმოვაჩინე“ და კიდევ ის, რომ მედიასთან საუბარი და გამოჩენა ყველას არ სურს, — ხომ ხედავ დაიკო, 37 წლია, 2 შვილი მყავს სახლშიო...

ზურაბ საპატოვი: — „2008 წელს 10 000 აშშ დოლარი მქონდა შეტანილი დეპოზიტზე, 2%-იანზე, ხელშეკრულება გაფორმებული მქონდა. სანამ რჩეულიშვილი „დექსუსს“ გადააბარებდა, ყოველთვის მეუბნებოდა, დღეს მოგცემ — ხვალ მოგცემო, მერე, „დექსუსმა“ რომ გადაიბარა, ჩვენ არ აგვიღია ეს ამბავი ჩვენს თავზეო. იძულებული გავხდი სასამართლოსთვის მიმემართა. სასამართლომ კი გამამართლა და მომანიჭა ამ ფულის ამოღების სამართლიანობა, მაგრამ მპასუხობენ, ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია, რა მოგცეთო. ეს დროებითია, ალბათ, მთავრობა რომ შეიცვლება და ცოტა ნორმალური მთავრობა მოვა, გამოჩნდება ყველაფერი და ამოვიღებ ალბათ, ვადა არ მიწერია, მაგრამ დღესდღეობით რომ მჭირდება ფული, რა ვქნა? ძალიან ბევრი ნერვიულობა გადავიტანე ამ ამბის გამო და ახლა ვცდილობ, რამენაირად შევეგუო და დაველოდო. ერთადერთი, რაც ხელში მიჭირავს იმედად, ეს არის სასამართლოს გადაწყვეტილება, ეს ბანდიტები რომ აღარ იქნებიან, მერე ამოვიღებ ალბათ, ამ ფულს...“




ჩიხლაძე იოსები: — „მე 2006 წელში შევიტანე 50 000 დოლარი, თვეში 2%-ად. 10 000 უკვე აღებული მაქვს პროცენტების სახით. ესენი, ვითომ 2008 წელს რომ აბრალებენ, აგვისტოს ომის შემდეგ 2-ჯერ ავიღე პროცენტი და შემიწყვიტეს. მერე რჩეულიშვილმა თქვა, ხომ ხედავთ, 2%-ს ვერ გაძლევთ და 1%-ზე შევადგინოთ ხელშეკრულებაო. დავეთანხმე. 2-ჯერ ავიღე ის 1% და დამტავრდა, მის მერე აღარ ამიღია. მე პირდაპირ მითხრა რჩეულიშვილმა კაბინეტში და მაგას ხმამაღლა ვერ იტყვის, საკაშვილმა წამართვა 30 მილიონი და როგორ მოგცეთო, — მაგი ამას იტყვის? — არ იტყვის და მე როგორ დავამტკიცო რომ თქვა. სადღაც, შეიძლება, სიმართლე თქვა... სასამართლოში არ შემიტანია ჯერ არაფერი, ველოდები ხალხს, შევიკრიბოთ და ერთად შევიტანოთ-მეთქი, ვფიქრობ. საქმე რაშია, რისი მეშინია, — ასეთი აზრი წამოიჭრა, სასამართლომ რომ გაგამტყუნოს, მერე საერთოდ დაგეკარგება ჩადებული თანხაო, გამიგეთ, კაცო?! სასამართლო და პროკურატურა ყველა გაფრთხილებული ჰყავთ ამათ და მართლა მეშინია, რა გავაკეთო არ ვიცი. მე და ჩემი მეუღლე პენსიონერები ვართ, თან ასაკიც კიდევ და ავადმყოფობაც, — წამლებს ვერ ვყიდულობთ. კანონში ხომ წერია,



რომ თაღლითი უნდა დაისაჯოს, — მე გასესხე ფული, რომ შენც ისარგებლო და მეც მასარგებლო, შენ მომატყუე, ე. ი თაღლითი ხარ, რატომ არ მიცავს მთავრობა, რატომ! — არ გვყავს მტავრობა და იმიტომ, სადაა მთავრობა!... ამიტომ, ჩვენი აზრია, ივანიშვილს მივცეთ ყველამ ხმა, რომ მოვიდეს ეგ კაცი და დაალაგოს ყველაფერი, 100%-ით დარწმუნებული ვარ, არაფერი რომ არ გააკეთოს, სხვის ფულს მაინც არ შეჭამს...“

ახალგაზრდა ქალბატონი: — „ჩვენ ვართ სან-ზონის დაზარალებულები. ჩვენი მობინადრეების 80%-ს 100%-იანი დაფარვა აქვს. ჩვენ გვაქვს ზუსტი რიცხობრივი მონაცემები, დაახლოებით 4 მლნ არის შეჭმული და არაფერი არ არის გაკეთებული, მხოლოდ ორი სართულია აშენებული. ვინც თანამშრომლობს ჩვენთან, ყველა ბინას იღებსო, კომენტარი რომ გააკეთა თანანაშვილმა, ეს ტყუილია. ეგენი თანამშრომლობას უძახიან კვმ-ზე 200 დოლარის დამატებას და მერე კიდევ, პროცენტის დამატებას, — ეს თანხა რომ მომცა, ახალ ბინას ვიყიდი, კიდევ უნდათ, რომ მოგვატყუონ...“

**ცენტრ-პოინტ „ოაზისის“ მობინადრე:** — სასამართლო ამბობს, კერძო კომპანიაა და როგორც უნდა ისე წარმართოს თავისი საქმიანობა, ვერ ვერევიო. არბიტრაჟი თუ მოიგებს ამ საქმეს, თორემ, ეს სასამართლო ამას ვერ გადაწყვეტს.

**— ხომ ითქვა, ვისაც სასამართლოში შეტანილი ჰქონდა საჩივარი, ისინი დაკმაყოფილდებიანო...**

— ქალბატონო, მე თანხა დაფარული მაქვს, ბინა აშენებულია, მაგრამ არ მაძლევენ, საკუთრებაში არ მიფორმებს, დღგ გადაიხადე ეხლაო. რატომ უნდა გადავიხადო დღგ, გავაქირავე, ან მოგება ვნახე რამე? პარლამენტის ვიცე-სპიკერი ყაჩაღი გვყავს და ჩვენ ბილეთი რომ არ ავიღოთ, დამიჭერენ და ჯარიმას გადამახდევინებენ, იმან მილიონები შეჭამა და პასუხი არ უნდა აგოს? „ცენტრ-პოინტმა“ გადააბარა ვითომ „დექსუსს“ და გამოვიდა, რომ ორი აფერისტი შეიკრიბა ეხლა, კვმ-ზე ზოგს 110 დოლარი დააწერა, ზოგს — 200, უარესი ყაჩაღი მოვიდა ეხლა, — ვეღარ ვუძლებთ ამდენ ყაჩაღობას უკვე! ვის დაელაპარაკები, იქით გემუქრებიან და გაშინებენ, ამას გიზამ, იმას გიზამო. აშენებულ ბინას მართმევს, ეს იმას ნიშნავს, მოვიდე და წაგართვა შენი ბინა...

**ალექსანდრა ხუტაშვილი:** — „სახელი შეიცვალეს და მეტი არაფერი. არანაირად არ არის ცალ-ცალკე რჩეულიშვილი და „დექსუსი“, რჩეულიშვილისა და კერვალიშვილებისაა. რომ მიხვალ, აბსოლუტურად ყველანი, ისევ ისინი არიან, ვინც იყვნენ. რომ ვეუბნებით, ან ბინა მოგვეცით, ან ჩვენი თანხა დაგვიბრუნეთო, 2003-ში რომ ბინა შენდება და 2009-ში უნდა ჩაებარებინათ, რომელ ომზეა ლაპარაკი, რა გადაგვარჩინა კერვალიშვილმა! თუ მართლა მაგან გადაგვარჩინა, ჩვენი ფულებით გადავურჩენივართ და ჩვენი სახელით მაინც ილაპარაკონ და ჩვენ ჩამოგვკიდონ მედალი!... რატომ უნდა დავამატო პირადად მე დაფარულ თანხაზე, როცა ხელშეკრულებაში მიწერია, რომ თუ მე დავაგვიანებდი, უნდა გადამეხადა ჯარიმაც, თუ არა და, მათ უნდა გადაეხადათ. მე დაგაფარული მაქვს და 40 კვმ-ზე რა მიღირს, რომ 27 000 მაქვს შეტანილი და კიდევ დავუმატო 150 იქნება თუ 200 დოლარი, მიღირს? — არ მიღირს! მომცენ ჩემი ფული, არ მინდა მაგათი ბინა! გამოდიან ტელევიზიით და კიდევ აქეთ დაგვცინიან, კერვალიშვილს უთქვამს, მაგათ ბინები კი არ უნდათ, სიამოვნებთ ქუჩაში დგომაო. ტელევიზიით გამოდიოდა, სხვა საკიტხზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ქალბატონმა შეკითხვა მისცა ტელეფონით ამ ჩვენი ბინების თაობაზე, გაჭირვებული ვარ, ავადმყოფი და რა ვქნაო. კი, ბატონო, მობრძანდითო, — ან მიიღებდა და ან არა. ამდენი ხალხი რომ ვართ და კარებს გვიკეტავენ, არ გვიშვებენ და კერვალიშვილი იძახის, არ შემოუშვათ არავინო? — არ უნდა და არ გვხვდება. ვინ შეჭამა ჩვენი ამდენი ფული! პოლიტიკაში რომ მოდიოდა, ხალხს თავს აცოდებდა, ქვრივი ვარო, მეუღლე დამეღუპა და გამწარებულმა გავზარდე შვილიო, რატომ სხვის სიმწარეს არ უყურებს ეხლა! მეუღლეც დაღუპული მყავს, სიძეც დარუპული მყავს და ერთადერთი შვილი მყავს და ისიც ჩემი და თავისი შვილის სარჩენად საქართველოდან წასული. ჩავარდნენ ჩემს დღეში და ჩემსავით გამწარდნენ მაგენი!“

საინტერესოა, თვითონ თუ არ იცის ან ვერ ხვდება ქალაბატონი რუსუდანი, რატომ არავინ ურჩევს, რომ როდესაც შენი ოჯახური ბიზნესისა თუ როგორც დაარქვეს, „ოჯახური თაღლითობის“ მსხვერპლი 6450 ადამიანი დასანახად არ გინდა, ინტერვიუში თავი არ უნდა მოიწონო, რომ ადამიანებთან ურთიერთობა უსაზღვროდ გიყვარსო.

**მაია ჭელიძე**



# `javaxkis~ prezidentis werilTan dakavSirebiT giorgi TevzaZem saqarTvelos mTavar prokurorsmimarTa

***არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯავახკის“ რუსეთში მოქმედი „ფილიალის“ პრეზიდენტმა აგასი არაბიანმა საქართველოს ხელისუფლებას პუტინთან უჩივლა — ეროვნული უმცირესობების, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ძირძველი სომხური მოსახლეობის უფლებების შელახვას განაგრძობს. ცნობისთვის, არაბიანი წარმოშობით ახალციხიდანაა.***

***ცნობილმა უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას წერილობით მიმართა, რათა გავრცელებული ინფორმაცია შესწავლილი იქნეს და შესაბამისი რეაგირებაც მოყვეს.***

**გიორგი თევზაძე:** „ჯავახკის“ ამ მიმართვის შემდეგ ქართულ პრესაში დაიბეჭდა საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის ვან ბაიბურთის ინტერვიუ, სადაც ის იუმორით უყურებს ამ ფაქტს. ბატონი ბაიბურთისგან განსხვავებით, ჩვენ სხვა თვალით ვუყურებთ ამ წერილს და მიგვაჩნია, რომ აქ ღიმილის მომგვრელი არაფერია. ზუსტად ასეთი „ღიმილის მომგვრელი“ წერილებით დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. უკვე დიდი ხანია მოქმედებს სამცხე-ჯავახეთში სეპარატისტულად მოაზროვნე სომხების ჯგუფი. ამას ქართველებისა და საქართველოს მიმართ მათ მიერვე გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე ვამბობ. ჩვენ რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ რასაც „ჯავახკი“ ამბობს ეს საერთო სომხური აზრია, თუმცა არის ჯგუფი, რომელიც, როგორც იკვეთება, პირდაპირ კავშირშია რუსეთის უშიშროების სამსახურთან და ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ იმართება. ჩვენ, როგორც უფლებადამცველ ორგანიზაციას მიგვაჩნია, რომ თუ საქართველო სახელმწიფოა და ხელისუფლება ჰყავს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ასეთ პროვოკაციულ გამონახტომებზე რეაგირება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ორგანიზაციის გამგეობამ წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, სადაც ვითხოვთ შესწავლილი ვან ბაიბურთთან ინტერვიუში მოყვანილი გარემოებები, ასევე შეისწავლონ თვითონ ორგანიზაცია „ჯავახკის“ საქმიანობა და დაფინანსების წყარო, რომელსაც თურმე ოფისი მოსკოვის ცენტრში მდებარე სასტუმრო „მოსკოვში“ (ოტელ-პრეზიდენტი) ჰქონია, სადაც ნომრის ღირებულება დღეღამეში მინიმუმ 600 აშშ დოლარია. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, საიდან ასეთი დაფინანსება? საქართველოს კონტროლის პალატა ყველას ჯიბეში რომ იქექება და იძიებს ფინანსების წარმომავლობას, იქნებ ამ ორგანიზაციის ფინანსების წარმომავლობითაც დაინტერესებულიყო. საზოგადოებაში ასეთი ინფორმაციებიც არსებობს, რომ თითქოს ჯავახეთში იარაღდებიან, ვიღაცა მათ რაღაცას აწვდის, რაღაცა ჯგუფები იქმნება... შეიძლება ზოგიერთი ინფორმაცია სიმართლეს არც შეესაბამებოდეს, მაგრამ ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან გადაამოწმონ, რადგან სახელმწიფოებრივი ინტერესებთან გვაქვს საქმე. საქართველოს ხელისუფლების მუდმივად სირაქლემის პოზაში ყოფნა ყოვლად დაუშვებელია. მე მესმის, რომ ჩვენ ძმური და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს სომეხ ხალხთან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვინდა, რომ იყოს და იმედი მაქვს, ისინიც ასე ფიქრობენ.




არც იმდენად გულმავიწყები ვართ, რომ აფხაზეთში სომხების ნამოქმედარი, იგივე ბაგრამიანის ბატალიონი რასაც აკეთებდა — დავივიწყოთ, უბრალოდ, აღარ გვინდა ამის გავხსენება. როდესაც ვხედავთ, რომ ვიღაც აგასი არაბიანი, რომელიც თურმე ტაქსის მძღოლი ყოფილა, ახლა კი ძვირადღირებულ სასტუმროში პარპაშებს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ძირს უთხრის, ამაზე ვერ გავჩუმდებით. ამიტომაც მივმართეთ მთავარ პროკურატურას, რომ შეისწავლონ, რას ემსახურება ამ ორგანიზაციის საქმიანობა. თუკი ეს საქმიანობა მართლაც არის სახელმწიფოსთვის და ქართულ-სომხური ურთიერთობისთვის საფრთხის შემქმნელი, მიმართონ იუსტიციის სამინისტროს, რათა ამ ორგანიზაციას საქმიანობის უფლება შეუჩერდეს“.

**— ეროვნული შუღლის გაღვივება, რამდენადაც ვიცი, სს-ის დანაშაულია და ისჯება.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ესენი უფლებების დაცვის საფარქვეშ აკეთებენ ამ ყველაფერს, თითქოსდა მათი უფლებები ირღვევა, რაც არის სრული აბსურდი. ერთადერთი, დღეს ვისი უფლებებიც საქართველოში ირღვევა, ქართველები არიან. ამას რეალობიდან გამომდინარე გეუბნებით. რომელ უფლებების დარღვევაზეა საუბარი, როცა იმ ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებმაც სახელმწიფო ენა არ იციან, უფლება მიეცათ მშობლიურ ენაზე ჩააბარონ უმაღლესში მისაღები გამოცდები.




რაღაც ჯგუფი საქართველოსადმი არაკეთილმოსურნე ქვეყნის ხელისუფლებას აბსურდულ წერილს უგზავნის, რომელსაც შეიძლება ახლა შედეგი არ ჰქონდეს, მაგრამ შემდგომში ქართველების წინააღმდეგ ძალზე ცუდად იქნეს გამოყენებული. საქართველოს ხელისუფლება რომ ხშირად ანტიქართულ პოლიტიკას ეწევა, ესეც ფაქტია. გავიხსენოთ, როგორ გამოაცხადეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად სხვა აღმსარებლობის ეკლესიები, რითაც ისინი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გაუთანაბრეს. ფაქტიურად, მათ ამით უგულებელყვეს დედა ეკლესიის მნიშვნელოვანი როლი. ხელისუფლების ამ ქმედებით წახალისებულმა სხვადასხვა ორგანიზაციებმა შემდგომში ძალზე აღტყინებული განცხადებები აკეთეს. „მრავალეროვანი საქართველოს“ ლიდერმა არნოლდ სტეპანიანმა განაცხადა, რომ თურმე გარკვეულმა სასულიერო და საერო პირებმა რელიგიურ ნიადაგზე შეურაცხყვეს სომეხი ერის წარმომადგენლები. ეს განცხადება სრულიად უსაფუძვლო იყო და გამოჩნდა, რომ სულ სხვა რაღაცას ემსახურებოდა. სხვათა შორის ამ საკითხთან დაკავშირებითაც მივმართეთ მთავარ პროკურატურას გასული წლის ივნისში, რომ შეესწავლათ მართლა თუ ჰქონდა ასეთ ფაქტებს ადგილი. რელიგიურ ნიადაგზე სხვა ერის შეურაცხყოფა მართლაც დაუშვებელია. პროკურატურისგან ვითხოვდით, რომ თუ დადასტურდებოდა სტეპანიანის სიმართლე, კანონის მიხედვით დაესაჯათ შეურაცხმყოფლები, თუ არა და ამ ორგანიზაციისთვის მოეთხოვათ პასუხი ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის.

**— რა რეაგირება მოჰყვა თქვენს განცხადებას?**

— ვერ გეტყვით, რადგან ჩვენთვის პასუხი არ უცნობებიათ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „მრავალეროვან საქართველოს“ ამის მერე ასეთი ხმამაღალი განცხადებები აღარ გაუკეთებია. როგორც ჩანს, ჩვენმა ამ ნაბიჯმა გარკვეულწილად დაამუხრუჭა ქართული საზოგადოების წინააღმდეგ მათი გაქანება. მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილ ახალ წერილში ვუთითებთ, რომ გასული წლის მიმართვაზე პასუხი არ მიგვიღია. მე საქართველოს სამხედრო ვეტერანთა ომბუდსმენიც ვარ. ახლახან ჩამოსული იყვნენ აზერბაიჯანის სამხედრო ვეტერანთა საბჭოს წარმომადგენლები. ამ შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ აზერბაიჯანული დიასპორის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებმაც აღნიშნეს საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებები არ ირღვევა და ქართველებისადმი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმისო. როცა სომხეთის ანალოგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩამოვლენ თუ ამ შეხვედრას „მრავალეროვანი საქართველოსა“ და „ჯავახკის“ წარმომადგენლები დაესწრნენ, მათ შეიძლება სტუმრებს ისეთი აბსურდული განცხადებები გააკეთონ, რომ ამას ჩვენი მკვეთრი რეაქცია მოჰყვეს. საქართველოში არავის უფლებები არ უნდა დაირღვეს, ყველა საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ არცერთი ორგანიზაცია არ უნდა ეცადოს, რომ იმ ძმურ და მეგობრულ ურთიერთობაში, რაც საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორისაა, რაღაც ბზარები შეიტანოს, მითუმეტეს დაადანაშაულოს ქართველი ხალხი იმ ქმედებებში, რაც არ ჩაუდენია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში არაქართულ მოსახლეობას გაცილებით უფრო მეტი პრივილეგია აქვს. ვერ დამისახელებთ თუნდაც ერთ ქვეყანას, სადაც ადგილობრივ მოსახლეობაზე მეტი პრივილეგიით სხვა ეროვნების წარმომადგენელი სარგებლობდეს.

**მანანა სუხიშვილი**

## ბალათურია: საწვავის გაძვირებას პირდაპირ პრეზიდენტი ლობირებს

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის” ლიდერი, პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბალათურია საქართველოში საწვავის მაღალ ფასს აპროტესტებს.

როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, საქართველოში მასზე მსოფლიოში ყველაზე მაღალი ფასნამატია, კავკასიის რეგიონში კი ის ყველაზე ძვირი ღირს.

მისი თქმით, საწვავის გაძვირებას პირდაპირ პრეზიდენტი ლობირებს.

„ბენზინზე ასეთი მაღალი ფასები გამოწვეულია პრეზიდენტის პირადი დაინტერებით და ის პრეზიდნეტისა და მის ოჯახის გამდიდრებას ემსახურება“, — განაცხადა ჯონდი ბალათურიამ.




მისი თქმით, მაგალითად აზერბაიჯანში ბენზინი დაახლოებით 80 თეთრი ღირს, მისი საქართველოში ჩამოტანის ტრანსპორტირების ხარჯი კი შეიძლება მაქსიმუმ ოცი თეთრი იყოს.

„ნამუსი აღარ არის? მაქსიმუმ 1, 50 ლარი უნდა ღირდეს ბენზინი საქართველოში და 2,40 ლარი ღირს”, — განაცხადა ჯონდი ბალათურიამ და დასძინა, რომ გაუგებარია, რატომ უნდა გადაახდევინოს სახელმწიფომ მოქალაქეებს იმდენი ფული, რომ ეკონომიკა საერთოდ გააჩეროს.

ბენზინის შემდეგ, ბალათურიამ ხორბლის მონოპოლიაზე ისაუბრა.

დეპუტატმა ის ფაქტიც გააპროტესტა, რომ ხორბალი მთელ მსოფლიოში გაიაფდა, საქართველოში კი ისევ ყველაზე ძვირია. ხელისუფლებას კი არ ახსოვს, რომ მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხოლოდ პურსა და წყალზე ცხოვრობს.

„მაძღარ კაცს ხალხიც მაძღარი ეგონაო, ასეა თქვენი საქმე“, — დასძინა ჯონდი ბალათურიამ.

**„მედიანიუსი“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# TuarCevnebSi xalxi ar gaimarjvebs daxelisuflebaSi kvlav nacionalebi darCebian samSoblo dagvekargeba



*მოახლოებული არჩევნები რომ არასაიმედო პროგნოზირების საშუალებას იძლევა, ეს ცხადია, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.*

*საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით აკადემიკოს ბატონ **ვანო კილურაძეს***

**— ბატონო ვანო, თქვენ ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივმა მოძრაობამ „ქართულმა ოცნებამ“ დაგასახელათ საინიციატივო ჯგუფის წევრად, როგორ ფიქრობთ, შემდგომი მუშაობისას შეძლებს თუ არა ეს გუნდი ისეთი ოპოზიციური კოალიციის შექმნას, რომელიც დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ დაჯაბნის და ხელისუფლებაში მოვა?**

— ამჟამად მე ვარ ამ „საინიციატივო ჯგუფის“ წევრი, მალე შეიქმნება პარტია, რომელსაც ერქმევა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“. რაც შეეხება ოპოზიციის გაერთიანებას, ვფიქრობ, ეს გაერთიანება უკვე მოხდა, ჩამოყალიბდა კოალიცია, რომელთა წევრებს შორისაც აზრთა თანხვედრა მოხდა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კოალიცია წარმატებას მიაღწევს.

**— თქვენ ამ პარტიის წევრი იქნებით?**

— დიახ, ვიქნები, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ პროფესიონალი პოლიტიკოსი არ გავხდები. მე ვარ პროფესიონალი მეცნიერი, და ამ სფეროს არ მოვწყდები, მაგრამ **ამ კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც საქართველოს ბედი წყდება მე არ შემიძლია დავიკავო პასიური მჭვრეტელის პოზიცია, ამიტომ მე დავდექი იმ კაცის გვერდით, რომელსაც ვენდობი**. მე ბიძინა ივანიშვილს ვაფასებ არა იმ კუთხით, რომ ის მილიარდერია, არამედ იმიტომ, რომ ის გამორჩეული ჭკუითა და ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა და მჯერა მისი პატიოსნების. ასევე, მას გააჩნია ეროვნული ლიდერის ყველა თვისება. მისი მიზანია ეროვნული თანხმობის მიღწევა, რასაც, ვფიქრობ, რომ ის მიაღწევს ხალხის მხარდაჭერით.

**— 1920-30 წლებში, როდესაც აშშ-ს დიდი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის წლები ჰქონდა, მაშინ ხელისუფლებას გვერდით დაუდგნენ მეცნიერები, რომელთაც ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანეს, იქნებ უპრიანიც არის, რომ თქვენნაირი მეცნიერები დღეს ქვეყნის გადარჩენისა და კრიზისიდან გამოყვანის ეტაპზე მის მოწინავე რიგებში იყვნენ?**

— ზემოთ გითხარით და კვლავ მოგახსენებთ, დღეს ქართველი ერის ბედი წყდება, პოეტის თქმის არ იყოს: „სხვა სამშობლო ამაზე მეტი — არ გამაჩნია!“ ვინც დღეს ხელისუფლებაშია მოკალათებული მათ უდიდესი ქონება დააგროვეს, ხვალ თუ ისინი ვერ მოვლენ ხელისუფლებაში, გაიქცევიან სადღაც და იმ ფულს, რაც აქ იშოვეს, დახარჯავენ. მე ჩემი ქვეყნიდან ვერსად ვერ წავალ, როცა, 2008 წელს აგვისტოს ომის დროს საშიშროება შეიქმნა, ყველა ისინი აქედან თითქმის გაიქცნენ, მე აქ ვიყავი, პისტოლეტითაც რომ დამდგომოდნენ თავზე, არც მაშინ არ წავიდოდი, ნებისმიერ შემთხვევაშიც ასე მოვიქცევი მეც და ბევრი პატიოსანი მოქალაქეც. სამშობლოს სიყვარული ხომ ყველას აერთიანებს.

**— ბატონო ვანო, ივანიშვილი ფიქრობს, რომ არჩევნების გზით ის მიაღწევს წარმატებას და მოვა ხელისუფლებაში, 1995 წელს თქვენ ბრძანდებოდით ქვეყნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. თქვენი თავმჯდომარეობისას არჩევნები გაყალბდა?**

— მინდა გითხრათ, რომ არასოდეს მინანია ცხოვრებაში ის, რომ 1995 წელს შევარდნაძის ხელისუფლების დროს საარჩევნო კომისიის წევრი ვიყავი. **თქვენ მეკითხებით, გაყალბდა თუ არა მაშინ არჩევნები. დიახ, გაყალბდა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ არჩევნები ყალბდება უბანზე!** ფაქტობრივად, მაშინ „ცესკოს“ არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა იმისა, რომ უბნები შეემოწმებინა, ან რეალურად, სიები მაშინ გადაემოწმებინათ. რა თქმა უნდა, რომ „მოქკავშირი“ არჩევნებს მაშინ გააყალბებდა. ამიტომ, როგორც კი დამთავრდა არჩევნები, მე მივმართე ბატონ პრეზიდენტს — შევარდნაძეს და ვუთხარი, რომ საჭირო იყო საარჩევნო სისტემის სასწრაფო რეორგანიზაცია. ეს ვუთხარი პარლამენტის თავმჯდომარესაც.

სამწუხაროდ, ამ ჩემმა რჩევამ მაშინ შედეგი არ გამოიღო. რაც შეეხება თავად შევარდნაძეს, მინდა გითხრათ, რომ როცა მთხოვა გავმხდარიყავი „ცესკოს“ თავმჯდომარე, (ჩემამდე ამ თანამდებობაზე იყო მერაბ ალექსიძე) მითხრა: **ბატონი მერაბი იყო პედანტი, არავის არ ემორჩილებოდა და არც ანგარიშს არ უწევდა ჩემი ჩათვლითო, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ასეთი იქნებითო“.** ეს არის ბატონ ედუარდის სიტყვები, ამით მე მან მიმანიშნა, რომ ის არავითარ შემთხვევაში არაფერში არ ჩაერეოდა — რაც შეასრულა კიდეც, სხვათაშორის მე მაშინაც მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ის არ იყო გაყალბების მომხრე!

**— აბა, ვინ იყო გაყალბების მომხრე და შემსრულებელი, ზურაბ ჟვანია?**

— გაყალბების მომხრე და შემსრულებელიც იყო შევარდნაძის გარემოცვა! იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მაშინ მას მხარს მართლა უჭერდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, თუმცა, ის აღმოჩნდა თავისივე გარემოცვის მსხვერპლი!— მოახლოებულ არჩევნებზე რას იტყვით, გაყალბდება თუ არა, ეს კითხვა დღეს აღარ არის აქტუალური, უფრო სწორია ვთქვათ — ის აუცილებლად გაყალბდება!

გამოსავალი ერთია, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს ხალხისათვის იმის განმარტება, რომ ყველანი მივიდნენ არჩევნებზე, არ შეეშინდეთ და მისცენ ხმა სასურველ კანდიდატს, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ **მოახლოებული არჩევნებით წყდება საქართველოს ბედი! წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ესენი დარჩნენ კვლავ — სამშობლო დაგვეკარგება! ეს უნდა შეიგნოს ყველა ამომრჩეველმა**.

ივანიშვილის კოალიცია არ არის მომხრე აქციების, მაგრამ მათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა კუთხე კუნჭულში უნდა გასწიონ დიდი მუშაობა. როდესაც ამ ხელისუფლებაზე ვფიქრობ, ხშირად მახსენდება დოსტოევსკის რომანი — „ეშმაკები“. რომანის გმირი გამოხატავს მკვლელის სახეს. დღევანდელი სახელისუფლო წარმომადგენლები სწორედაც მას ჰგვანან, ნებისმიერი მათგანი ნებისმიერ დროს ჩაიდენს მკვლელობას — მე მათ ასე ვუყურებ. ასეთი ხელისუფლება კი ქვეყანას სიკეთეს არასოდეს არ მოუტანს.

**— დღეს სიების გადამოწმების საშუალება ან მეთოდი ქვყანას არ აქვს, სიები გაყალბებულა, ბევრი ადამიანი ორ ან მეტ უბანზეა დარეგისტრირებული. როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?**

— ამაზე უნდა ატყდეს განგაში! ჩემთვისაც ცნობილია ფაქტები, რომ წყლისა თუ სინათლის გადასახადის ქვითრებზე დაფიქსირდა ოჯახებში ზედმეტი სულთა რაოდენობა. ვფიქრობ — რომ ეს არის კრიმინალური ქმედება, ამაზე ხალხმა პასუხი უნდა მოსთხოვოს მათ, ვინც ეს ჩაიდინა! რატომ დუმს ხალხი! ეს ხომ არჩევნების გაყალბებისთვის არის გაკეთებული?

**— ბატონ ბიძინას რისი იმედი აქვს, უბნებზე არჩევნები ვერ გაყალბდება?**

— ახლა მიმდინარეობს სამუშაო იმისათვის, რომ ათასობით



ადამიანი მომზადდეს იმისათვის, რომ მათ ხელი შეუშალონ. იმ გაყალბების მცდელობებს, რომელიც აქამდე ხდებოდა მათ მიერ. ვფიქრობ, კოალიციას ხელეწიფება ასეთი სამუშაოს ჩასატარებლად. თუ ყველაფერი პრაქტიკულად განხორციელდება, ხალხი გაიმარჯვებს. ისე, ხელისუფლება რომ გაყალბებას შეეცდებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარება.

ამჟამად ყველაზე მეტად მე ჩემი ხალხის იმედი მაქვს. ჩვენ ხომ თავისუფლებისმოყვარე ერი ვართ. **დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდა პატიოსნება და ბოროტება, პატიოსნება და კრიმინალი. ვინც დღეს საქართველოში ქმნის ინტელექტუალურ თუ მატერიალურ ფასეულობებს, ყველა დაჩაგრულია! ხელისუფლებაში მოკალათებულ კრიმინალურ ბანდას ბოლო უნდა მოეღოს! მერწმუნეთ, მათი მომხრეები არც ისე ბევრნი არიან**.

— ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევას გამოიყენებს პროვოკაციის მოსაწყობად, გაიხსენეთ 26 მაისი, იმ დღეს რომ ვიხსენებ, ცრემლებს ვერ ვმალავ, ისე განვიცდი, ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო დღეს იმისათვის, რომ ეს მეთოდები მათ ვერ გამოიყენონ. ერთსაც გეტყვით, რომ ბიძინა ივანიშვილი არ გამოჩენილიყო პოლიტიკაში, მჯერა, რომ ისინი არჩევნების მოსაგებად ყველა მეთოდს მიმართავდნენ, დღეს ეს გაუჭირდებათ.

**თავად ივანიშვილის ასპარეზზე გამოჩენა მათთვის უკვე შოკის მომგვრელი იყო. ეს უფრო მეტს უდრიდა, ვიდრე მრავალმილიონიანი აქცია!** ისინი გარკვეულწილად შეშინდნენ! პატიოსან ხალხს კი იმედი მიეცათ. რაც არ უნდა დიდი ბრალდება წაუყენონ მას, არცერთი ადამიანი ამას სერიოზულად არ აღიქვამს, ადამიანები მას თანაუგრძნობენ არა მისი სიმდიდრის გამო — არამედ მისი ცხოვრების წესის გამო!

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რა დიდი საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა და ჩატარდეს ხალხის ზეწოლით და დაკვირვებით ისეთი არჩევნები, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვოს.

მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ გახდება საერთო სახალხო მოძრაობა, რომელიც მთელ ქვეყანას მოიცავს. მინდა რომ მოვესწრო ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც კანონის უზენაესობა იქნება მთავარი.

**ეთერ კასრელიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## ჯონდი ბაღათურია ხელისუფლების ბავშვების ხარჯზე ფულის კეთებაში ადანაშაულებს



პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერს, ოპოზიციონერ დეპუტატ ჯონდი ბარათურიას აინტერესებს, „რატომ არ აქვს ხელისუფლებას ნამუსი“.

გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ქვეყანაში მონოპოლიების არსებობა კიდევ ერთხელ გააპროტესტა. მან განათლების სისტემაში არსებულ ვითარებზე ისაუბრა, კოლეგებს სასკოლო სახელმძღვანელოები წარუდგინა და მათი ფასები გააცნო. მისი თქმით, მოსწავლეები ყოველ წელს სხვადასხვა წიგნით სწავლობენ, მათი ფასები კი ძალიან მაღალია. მაგალითად, მათემატიკის სახელმძღავნელო 10, ინგლისურის სახელმძღვანელო 18, დედაენა 12 ლარი ღირს.

„ნამუსი აღარ არის? ბავშვების ხარჯზე ფულის გაკეთება შეიძლება? თუ ოჯახს 12 ლარი არ აქვს, ბავშვმა დედაენა აღარ უნდა ისწავლოს? შეიძლება, ოდესმე მივაღწიოთ იმას, რომ მოსწავლეს წიგნის უფასოდ მირების საშულება ჰქონდეს?“ — იკითხა ჯონდი ბაღათურიამ.

**„მედიანიუსი“**

# გია ბურჯანაძე: axla erTobaa saWiro, magram ara imisTvis, miSa gadavagdoT da griSa moviyvanoT?!



*გვესაუბრება მსახიობი, „სახალხო კრების“ ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი* ***გია ბურჯანაძე***

**— გია, ახლა ხელოვნების მუშაკებს პოლიტიკური ნიშნით გამოარჩევენ. რას გვეტყვით ამ ტენდენციის შესახებ?**

— ჩემი შეხედულებით ამათ ბოლშევიკებს აჯობეს. ხელისუფალთა მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარ, ამიტომ კომუნისტებიდან მოყოლებული დღევანდელი მთავრობის ჩათვლით ყველას ოპოზიცია ვიყავი და ვარ. ამის გამო ახლა ჩემი დადებით კონტექსტში მოხსენიება აკრძალულია, განსაკუთრებით ნაციონალურ მაუწყებლებზე. თეატრში მხოლოდ ძველ სპექტაკლებში ვმონაწილეობ, ჯერ კიდევ თემურ ჩხეიძის დადგმულ პიესებში. არ ვიცი, ეს „ზევიდან“ მიღებული მითითების გამოა თუ არა, მაგრამ ასეა. ბოლო სპექტაკლი გერმანელებთან ვითამაშე. უცხოელები არა პოლიტიკური, არამედ პროფესიული ნიშნით არჩევენ მსახიობებს. ყველას მოვწონვარ ქართველების გარდა. სასაცილოა, საიდანღაც ჩამოდიან ხალხი ჩემთან სამუშაოდ, აქვე გვერდში არ ვარ? მარტო ჩემზე არ ვლაპარაკობ, ჩვენს თეატრში საუკეთესო მსახიობები არიან, უნდა გიხაროდეს ადამიანს ამისთანა გამოცდილ პროფესიონალებთან მუშაობა. მამაჩემი კომუნისტური პარტიის წევრი იყო, მაღალ თანამდებობებზეც მუშაობდა, მაგრამ ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო არც ჩემი ოჯახის წევრები, არც სამეგობროდან არავინ დასჯილა. ახლა მთელი ჩემი ოჯახი დატერორებულია. ამიტომ ვამბობ, რომ ამათ ბოლშევიკებს, კომუნისტებს აჯობეს.

**— ბატონო გია, თქვენ „სახალხო კრებაში“ დარბაზის წევრი ხართ. ბოლო დროს აქტიურობა არ შეიმჩნევა, რატომ?**

— „სახალხო კრება“ მოქმედებს და უფრო ძლიერად, ვიდრე ორი-სამი თვის წინ, 26 მაისის შემდეგ ძლიერი დარტყმა გადავიტანეთ. მთელი ზაფხული და შემოდგომა დაძაბული გვქონდა. 43 ადამიანი გვყავს გასამართლებული და ხუთ წელზე ნაკლები არავის აქვს მისჯილი, აღარაფერს ვამბობ ადმინისტრაციულ სასჯელებზე. დანგრეული სტრუქტურის, ოფისების აღდგენას დრო დასჭირდა. ახლა ცოტა შეანელეს ზეწოლა, ეტყობა, ყურადღება ბიძინა ივანიშვილზე გადაიტანეს, მაგრამ მალე, ალბათ, ისევ მოგვიბრუნდებიან. აღმასრულებელი საბჭო კვირაში ორ-სამჯერ იკრიბება, შეხვედრები გვაქვს დარბაზის წევრებთან, რეგიონების წარმომადგენლებთან.

**უმრავლესობას, ვინც ჩვენთან არის, არც თანამდებობა უნდათ და არც პარლამენტარობა.**

ეს ის ხალხია, ვისთვისაც მთავარი ქვეყნის ბედნიერებაა და არა პირადი საქმე. ამ ხალხს ვერ დაშლი, რადგან მათ უნდათ ქვეყნის სიკეთე, ვიდრე სახელმწიფო არ დაადგება აღმშენებლობის გზას, ესენი სულ იქნებიან. არ შეიძლება მარტო შენ იყო ბედნიერი და გარშემო ყველა ცუდად იყოს. „იმედის“ არხზე ხშირად გადის გადაცემა „ერთი ქალის ბედნიერება“. არ მინდა მხოლოდ ერთი ქალის ბედნიერება, გინდაც ჩემი შვილი იყოს. ერთი ქალის ბედნიერება ვერ გადასძალავს უამრავი ქალის უბედურებას. ჩვენ გამოვაცხადეთ და მუდამ ვამბობთ, რომ ბიძინა ივანიშვილს ვუდგავართ გვერდით. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ხედვები ემთხვევა ერთმანეთს. შეადარეთ „ქართული ოცნების“ და „სახალხო კრების“ განცხადებები. ჩვენ თანამშრომლები ვართ, ოღონდ ტაქტიკურად სხვანაირად ვფიქრობთ. ბევრს ეშინია, ვაითუ, ვერ შეძლოს ბიძინა ივანიშვილმა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება, ეს მთელი ერის სირცხვილი იქნება. ღმერთმა დაიფაროს და ბატონ ბიძინას წარუმატებლობა მარტო მისი კი არა მთელი ერის დამარცხებაა და შედეგად, ალბათ, კიდევ 15-20 წელი დასამარებულები ვიქნებით. აი, ასეთი დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ბიძინა ივანიშვილს.

**— როგორ ფიქრობთ, წლევანდელ არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას თუ არა „სახალხო კრებაში“ შემავალი პარტიები?**

— „სახალხო კრება“, საარჩევნო უფლებით არ არის აღჭურვილი და არც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. რაც შეეხება პარტიებს, მიმაჩნია, რომ მონაწილეობა საჭიროა. თუმცა ეს ჩემი აზრია, მაგრამ საბოლოოდ პოლიტიკოსების გადასაწყვეტია, რას გააკეთებენ.

**— დაბოლოს მინდა გკითხოთ, როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას?**

— ბიძინა ივანიშვილმა, რა თქმა უნდა, გამოაცოცხლა საქართველოში პოლიტიკური ვითარება. გაიხსენეთ, 26 მაისის შემდეგ, როცა სისხლში ჩაახშეს ყველაფერი, გამარჯვებულად თვლიდნენ თავს. როგორი კაბალური კანონები მიიღეს, ხმის ამომღები აღარავინ იყო დარჩენილი. შანსიც თითქოს აღარავის ჰქონდა. ახლა ერთობაა საჭირო, მხოლოდ იმისთვის კი არა მიშა გადავაგდოთ და გრიშა მოვიყვანოთ. მხოლოდ ეს არ არის ქვეყნის გადარჩენა. ერთმნიშვნელოვნად, მიშა უნდა მოშორდეს ხელისუფლებას და ხალხმა აირჩიოს ის ადამიანები, რომლებიც დაიწყებენ სახელმწიფოს მშენებლობას ქვეყნის განვითარების ეტაპები მომავლის საქმეა, მთავარია, ხალხს მივცეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება, ხოლო დეტალებზე კამათი მომავლისთვის უნდა გადავდოთ. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან აგერ 21 წელი გავიდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოს მშენებლობისთვის ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს, მხოლოდ სახელები შევუცვალეთ — ცეკას პირველ მდივანს პრეზიდენტი დავარქვით, მილიციას პოლიცია, რაიკომის მდივანს — გამგებელი, ცნობილი, პოპულარული ადამიანები „ვარსკვლავები“ გახდნენ, მეტი არაფერი შეცვლილა. სახელმწიფოს აღმშენებლობისკენ უნდა წავიდეს ქვეყანა, თორემ კატასტროფის წინაშე ვართ.




**გია ბურდული**

# მერაბ ჯანიაშვილი: `xelisuflebis mxridan vauCeruli programiT gamoyofili fuli wyalSi gadayrili milionebia~

**არასამთვრობო ორანიზაცია „აფბა“ თვლის, რომ ხელისუფლების მხრიდან ვაუჩერული პროგრამით გამოყოფილი ფული წყალში გადაყრილი მილიონებია და ამით სოციალური ფონი რეალურად არ იცვლება. ამიტომ „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ მმართველ გუნდს ახალ ფინანსურ ალტერნატივას სთავაზობს.**

**„საერთო გაზეთს“ „აფბას“ გამგეობის წევრი მერაბ ჯანიაშვილი ესაუბრა.**

— ხელისუფლების მხრიდნ, ვაუჩერული პროგრამის ამუშავება ეკონომიკური თვალსაზრისით, ნულის ტოლფასია და არანაირ შედეგზე ორიენტირებული არაა. მარტივად რომ გითხრათ, ადამიანს თევზს როცა აძლევ-შეჭამს და ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოშივდება. ამიტომ თუ გვინდა რელურად დავეხმაროთ ასეთ ადამიანებს, მათ უნდა ვასწავლოთ თევზაობა.



**— მერაბ, ხელისუფლება რეალურად მოსახლეობას მთელი წლის განმავლობაში გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადს ფიზიკურად ვერ გადაუხდის?**

— თავდაპირველად, მიხეილ სააკაშვილმა 20-ლარიანი ელექტროენერგიის ვაუჩერის მხოლოდ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისთვის დარიგების ინიციატივა წამოაყენა, თუმცა შემდეგ პირობა შეცვალა და დახმარებას ახლა უკვე ყველა ოჯახი მიიღებს. „ნაცმოძრაობას“ თუ მართლაც უნდა ხალხის დახმარება, დაეხმაროს იმას, ვისაც რეალურად სჭირდება. არა მგონია, ნიკა გილაურისთვის 20-ლარიან ვაუჩერს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. არ შეიძლება ხელისუფლება იყოს ქველმოქმედი.




**— თუმცა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გარდა საქართველოში არიან ადამიანები, ვისაც 20 ლარიანი ვაუჩერი წაადგებათ?**

— გასულ წელს მთავრობამ ვაუჩერების დარიგება (20-ლარიანი ენერგო და 30- ლარიანი სასურსათო) იმით ახსნა, რომ ქვეყანაში ინფლაცია იყო და ამ ფორმით მოსახლეობისთვის ზარალის კომპენსაცია სურდა, თუმცა ახლა უკვე მსგავს შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, მმართველ გუნდს რატომღაც სხვადასხვა ტიპის ვაუჩერების დარიგების ან ე.წ დასაქმების პროგრამის განხორციელების სურვილი მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში უჩნდება. თუნდაც როდესაც საუბარია ზაფხულის პერიოდში ერთი თვით, 25 000 სტუდენტის დასაქმებაზე. ჩემი აზრით, უფრო მისაღები იქნება სტუდენტების დასაქმებისთვის გამოყოფილი 12, 5 მილიონი ლარი სოციალურად გაჭირვებულ სტუდენტებს გადასცენ და საბოლოო შედეგიც გაცილებით მეტი იქნება.

მთავრობის სოციალურ პოლიტიკაში, როგორ წესი, არაა გათვალისწინებული სოციალური უთანასწორობის ფაქტორი. ხელისუფლება არ ცდილობს გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის გამოსწორებას. სწორედ ამას ცხადყოფს ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამები, რომლის შედეგები, ფაქტობრივად, ნულის ტოლფასია. უმჯობესია, მმართველმა გუნდმა ორიენტაცია იმ ხალხის დახმარებაზე გააკეთოს, რომელთაც რეალურად სჭირდებათ.

**— მერაბ, „აფბა“ ხელისუფლებასა და ოპოზიციას ახალ ალტერნატიულ კანონპროექტს სთავაზობთ, კონკრეტულად რას გულისხმობს თქვენი ინიციატივა?**

— მსოფლიოში სხვადასხვა ფინანსური ფენისთვის განსხვავებული საგადასახადო განაკვეთის დაწესება აპრობირებული მეთოდია, ამისთვის აშშ-ის მაგალითის მოყვანაც საკმარისია, სადაც პროგრესული საშემოსავლო გადასახადი მოქმედებს.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა“ ასოციაცია ხელისუფლებას მივმართავთ ინიციატივით, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, სოციალურად დაუცველ ფენას შეადგენენ (100 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, სულ 1 282 637 ადამიანი) გათავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადისაგან. ეს, ერთის მხრივ, უკვე დასაქმებული ადამიანებისთვის ხელფასის ზრდას გამოიწვევს. ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული გადაწყვეტილება მეწარმეს მისცემს სტიმულს, დაასაქმოს სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა, რადგან მათი სამსახურში აყვანის შემთხვევაში, ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადს 20 % აღარ გადაიხდის.

ჩვენს ინიციატივას თუ რომელიმე პარტია გამოეხმაურება, მზად ვართ მათთან ვითანამშრომლოთ. იმედია, კონტროლის პალატა ამისათვის პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირებულ არასამთავრობო ორგანიზაციად არ მოგვნათლავს და შეზღუდვებს არ დაგვიწესებს.

**მირანდა ნაბახტეველი**

კ. ინასარიძემ თავის რადიოდოკუმენტაციას, რომელიც საქართველოს პირველ რესპუბლიკას (1918– 1921 წწ.) მიუძღვნა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ამ მცირე მონაკვეთს (2 წელი და 8 თვე) სავსებით კანონზომიერად პატარა „ოქროს ხანა“ უწოდა. ეს პერიოდი ქართველი ერის ისტორიაში მართლაცდა ოქროს ხანა იყო იმ გაგებით, რომ მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ ქართული სახელმწიფოს ფორმირებისა და ქართველი ერის ფიზიკურად გადარჩენისათვის მყარი ფუნდამენტის მომზადება დაიწყო. მხედველობაშია მისაღები: 1)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მის ისტორიულ საზღვრებში; 2)ოსი და აფხაზი სეპარატისტების მოთოკვა. მათი მხრიდან ქართველთა ეთნოწმენდის მცდელობის არდაშვება. მარტო ის რად ღირს, რომ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ქვეყანას არც ერთი დევნილი ქართული ოჯახი არ ჰყავდა. ქართველი ერისა და მისი ერთიანი სახელმწიფოს მომავლისათვის ამ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობას ზოგიერთი ქართველი „ისტორიკოსი“ ვერ აცნობიერებს. იმის უნარიც არ შესწევს, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს საარსებო ამ ორი არტერიის შენარჩუნების მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სირთულეები საღი გონებით გაიაზროს. წარსულისა და დღევანდელი სინამდვილის შედარებითი ანალიზის ფონზე ობიექტური დასკვნები გააკეთოს და წინაპართა ნაღვაწის ღირსეული დაფასება მოახდინოს.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა ახლოაღმოსავლური კოლონიური პოლიტიკური კურსისა და მისი ხელშემწყობი ქართველი რენეგატების ძალისხმევით, ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის ბოლომდე მიყვანა ქართველ ერს სამწუხაროდ არ დასცალდა.

**ისტორიული საცხოვრისიდან ქართველთა მასობრივი გამოდევნა და კუთვნილი ტერიტორიების დაკარგვა ერის მოახლოებულ სიკვდილზე, მისი გაქრობის რეალურ საფრთხეზე მიგვანიშნებს. ეს საშიშროება ქართველი ერის წინაშე აისბერგივითაა აღმართული და თუ დროული დამცავი მექანიზმი არ იქნა შემუშავებული, უდიდესი ცივილიზაციების შემქმნელი და დღეს არარსებული ერების ბედს გავიზიარებთ.**

დღევანდელი გადასახედიდან ამ საფრთხის რეალობა გარდაუვალი ხდება. საქართველოს ხელისუფლების ინფანტილური, რომანტიზმზე დაფუძნებული და კოსმოპოლიტიზმით გაჟღენთილი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის გაგრძელება ამ საფრთხეს გარდაუვალს ხდის. მითუმეტეს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სამომავლო ბედის

# egzarqosi pavles mier qarTveli eris mimarT warmoTqmuli wyevla dResac ZalaSia...

გადაწყვეტას, უცხო სახელმწიფოების აგენტებისგან შემოთავაზებული პროექტების მიხედვით ცდილობენ. ამის ერთ- ერთ ნიმუშს რუსეთის აგენტის ვლადიმერ სანაკოევის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ საქართველოს ხელისუფლებისადმი „შეგდებული“ პროექტი წარმოადგენს. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის სხდომაზე მიღებული დადგენილებით, „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციული ერთეული იქნა დაფუძნებული. მომხდარი ფაქტი დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბერს და 1991 წლის 27 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმების და გორის რაიონისადმი შეერთების შესახებ მიღებული კანონების მიზანმიმართულ ანულირებას წარმოადგენდა. აღნიშნული ფაქტით საქართველოს პარლამენტმა, ოს სეპარატისტებსა და მის მხარდამჭერ რუსეთის ხელისუფლებას 17-წლიანი ნატვრა აღუსრულა. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. მითუმეტეს, **სერგო ორჯონიკიძის, ედვარდ შევარდნაძისა და მისი შეგირდების „ნაღვაწის“** შედეგად XX – საუკუნის დასაწყისში და დასასრულს და ისევ XXI საუკუნის დასაწყისში დაკარგულ ტერიტორიებთან ერთად, ქართველებისგან გაწმენდილი აფხაზეთი და შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი მივიღეთ. დემოგრაფიული სტატისტიკა, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ვეჭიდებოდით და ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებდით, ქართული პოლიტიკური სპექტრის უგუნური ქმედებებიდან გამომდინარე, ხელიდან გამოგვეცალა. უნდა ვაღიაროთ, რომ თვითკმაყოფილებაზე დაფუძნებული და დაუდევარი პოლიტიკური კურსის შედეგად, ოსებთან და აფსუებთან არა მარტო ფიზიკური დაპირისპირებით, არამედ იდეოლოგიური ომიც წავაგეთ.

საქართველოს ხელისუფლების გადაჭარბებულმა პოლიტიკურმა სიბრიყვემ (2008 წლის აგვისტოს მოვლენები) ერთიანი ოსური სახელმწიფოს შექმნის სახაროვ – ბონერ – პოპოვის გეგმის 60 %-ით პრაქტიკულად განხორციელება და საქართველოში რუსეთის მესამედ დაბრუნება დააჩქარა. ქართული სახელმწიფოს კატასტროფა და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან ოფიციალური კაპიტულაცია (მედვედევ– სარკოზ– სააკაშვილის აგვისტოს შეთანხმების საიდუმლო მუხლები) გონებრივად „მოფარფატე“ თბილისელებმა გამარჯვებად ჩათვალეს და ეს შემზარავი ფაქტი, ხელისუფლების მესვეურებთან ერთად იმავე წლის 12 აგვისტოს გაბრწყინებული სახეებით დიდი ზარზეიმით იდღესასწაულა. რაც




## ubeduro saqarTvelov saiT midixar!!!..

## (gvesaWiroeba Tu ara sircxvilis panTeoni?)

შეეხება სახაროვ– ბონერ– პოპოვის გეგმის დანარჩენ 40 %- ს, ოსი სეპარატისტების მხრიდან საპრეტენზიოდ ქცეული ტერიტორიის (გორი– ხაშური– ბორჯომის რაიონები) დასაკუთრების მიზნით, დოკუმენტური მასალების გაყალბებით ოსურ და რუსულ ისტორიოგრაფიაში გამალებული იდეოლოგიური პროპაგანდა მიმდინარეობს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიის დანაკუწების ამ გეგმის პირველ ეტაპს საქართველოს უსაფრთხოების ბუნებრივი სიმაგრის ჩრდილოეთიდან მოშლა და როკის გვირაბის მშენებლობის დასრულება წარმოადგენდა. რაც შეეხება იმავე გეგმის მეორე დასკვნით ნაწილს, სამხრეთ –დასავლეთ საქართველოს დამცავი კარიბჭის –გოდერძის უღელტეხილის, როგორც ბუნებრივი სიმაგრის მნიშვნელობის ნულამდე დაყვანას და „გველის ხვრელის“ გაყვანას ითვალისწინებს. ეს საკითხი „დაშნაკცუთიუნის“ პარტიის ლიდერებმა ჯერ კიდევ სან– რემოს საერთაშორისო კონფერენციაზე (1920 წლის 13- 25 აპრილი) დააყენეს.

**სომხებისადმი ინგილისის წარმომადგენლის მხარდაჭერის მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის მეთაურის კ. ჩხეიძის პრინციპული და ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებით, სომხურმა მხარემ საწადელის აღსრულება იმ ეტაპზე ვერ შეძლო. აღნიშნული ფაქტიდან 90 წლის შემდეგ სომხეთის ხელისუფლებამ ეს საკითხი ისევ „გააცოცხლა“ და საქართველოს დღევანდელი მმართველი წრეებისგან ოფიციალური დოკუმენტით გაფორმებული თანხმობა მიიღო.**

სომხეთის სახელმწიფოს ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით და სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საზიანოდ, გოდერძის საუღელტეხილო გზის მშენებლობა დღეს დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. მისი დასრულებიდან 10 წლის განმავლობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შიდა ქართლის ოსური სცენარის განმეორებისა და მეზობელი ქვეყნებისგან (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი), საქართველოს ტერიტორიების სხვადასხვა ფორმით მიტაცების დიდი ალბათობა იქმნება. ამ ეტაპზე ისინი მხოლოდ შეფარვითი „მცოცავი მეთოდის“ გამოყენებით იფარგლებიან.

**ფრთხილად ქართველებო!!!..**

ის, რაც აფსუებმა და ტაბარუკად შიდა ქართლში შემოხიზნულმა ოსებმა საქართველოში XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში გაბედეს, ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში ამ მიმართულებით მესამედ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდნენ. ერის არსებობის ხანგრძლიობის შესანარჩუნებლად ერთსაც და მეორესაც, თითოეული გოჯი მიწის მნიშვნელობა და ამ მიწაზე უცხო თესლის აღმოცენების საფრთხე კარგად აქვს გაცნობიერებული. ჩამოთესლებულ უცხო გადამთიელს თავის მამულში არ აპარპაშებს და პირველივე დღიდანვე მისთვის განკუთვნილ პროკრუსტეს სარეცელის მსგავს სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს. სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი ერი ქართველებია, რომელსაც გენეტიკური სიბრიყვე ისტორიულად დაჰყვება. ამ ავადმყოფური სენის შესანიღბად, ტოლერანტობის წამოსასხამშია შეფუთული და ღვთისმშობლის ნაბოძებ მადლიან მიწა– წყალს ხელგაშლით არიგებს. დროულად ვერ აცნობიერებს იმ მოახლოებულ კატასტროფას, რომელიც ტერიტორიების დაკარგვასთან არის დაკავშირებული და ერის ფიზიკური გაქრობის დაჩქარებას იწვევს. ჭკვიანები სხვის მიწებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით იტაცებენ და თავიანთი ერის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ზრუნავენ.

ბოლო საუკუნეებში ქართველ ერზე თავსდატეხილმა უბედურებებმა დაადასტურა, რომ ეგზარქოს პავლეს მიერ ქართველი ერის მიმართ 1886 წელს წარმოთქმული წყევლა დღესაც ძალაშია. გონებადაბინდულებს, შავის და თეთრის ვერგარჩევის სენი შეგვეყარა, ერისა და ქვეყნისადმი სამსახურის აუცილებლობა ღალატისა და ფულის მოხვეჭისკენ სწრაფვამ ჩაანაცვლა.

საქართველოს ყოველი გოჯი მიწა და საზღვარგარეთ გატანილი ერის კულტურული სიმდიდრე უცხოელებზე იყიდება. 10-15 წელიწადში ჩვენს შვილებს წარსულის მემკვიდრეობიდან საამაყო და დასაცავი აღარაფერი ექნება. სერიალებით გამოთაყვანებულები და ეროვნული ცნობიერების მიღმა მდგარნი „ბედნიერი ერის“ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

საქართველოში მიმდინარე ქვეყნის ღალატის მავნე პოლიტიკური კურსის სიღრმისეულად დამკვიდრება იმით არის განპირობებული, რომ **დღემდე გაბედულად არავის უთქვამს– თუ ვინ, ვინ იყო ან დღეს ვინ არის.** არადა, სამშობლოს გადარჩენის, მისი ერთგულების ცნობიერებით თუკი ახალგაზრდობის აღზრდა გვსურს, ქვეყნის ერთგულთა და მოღალატეთა შესახებ იგი სრულ ინფორმაციას უნდა ფლობდეს. საფუძვლიანად იცოდეს შეჭირვების ჟამს, ქართველ ერს ვინ უერთგულა და ვინ უღალატა. მოღალატეთა სახელები თაობებს უნდა გადაეცეს და ერის სირცხვილად ითვლებოდეს. ამის ერთ– ერთ საუკეთესო საშუალებად **სირცხვილის (ანუ მოღალატეთა) პანთეონის შექმნა** გვესახება, სადაც სამშობლოს გამყიდველთა ცხედრები იქნება დაკრძალული. ვისი გადმოსვენებაც შეუძლებელი გახდება, სირცხვილის პანთეონში მათი სიმბოლური საფლავები უნდა გაკეთდეს. ეგებ ამ გზით შევძლოთ ღალატისადმი დაუოკებელი მისწრაფების მოთოკვა. დაე, **მომავალმა თაობებმა წინასწარ იცოდნენ, 30 ვერცხლად გაყიდულ ნებისმიერ პიროვნებას, სამშობლოს ღალატისათვის ადრე თუ გვიან განსასვენებლად სირცხვილის პანთეონს რომ მიუჩენენ.**

**ფრთხილად ქართველებო!!!**

**გიორგი სუფსისკირელი**

2011 წლის თებერვალი.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# socialuri dazRvevis sistema fineTSi



### სოციალური დაზღვევის სივრცე

ფინეთის რესპუბლიკაში სოციალური შემწეობების სისტემა ვრცელდება:

ა) 16 წელზე უფროს ასაკის პირებზე თუ ისინი ქვეყანაში 3 წელი მაინც ლეგალურად ცხოვრობდნენ;

ბ) 19 წელზე უფროსი ასაკის ინვალიდებზე, მათი სამუშაო სტაჟის მიუხედავად;

გ) 16 წლიდან 68 წლის ასაკამდე დასაქმებულებზე;

დ) პირებზე, ვისაც ჰყავს 3 წლამდე ასაკის ბავშვი.

### დაფინანსების წყაროები

ფინეთის რესპუბლიკაში 53 წლის ასაკამდე დაზღვეულ პირს სოციალურ ფონდებში შეაქვს თვიური ბრუტო-შემოსავლის (გადასახადების დაფარვამდე არსებული შემოსავალი) 4,5 პროცენტი, უფროსი ასაკის პირები საპენსიო ასაკის მიღწევამდე კი იხდიან 5,7 პროცენტს. მინიმალური შემოსავალი, რომელიც ანგარიშში მიიღება, შეადგენს 51,57 ევროს. 53 წლამდე ასაკის თვითდასაქმებულები იხდიან დეკლარირებული შემოსავლის 21,2 პროცენტს, ხოლო უფროსი ასაკის თვითდასაქმებულები საპენსიო ასაკამდე იხდიან დეკლარირებული შემოსავლის 22,4 პროცენტს. ორივე ჯგუფზე გათვალისწინებულია 25 პროცენტიანი შეღავათი, მათი მუშაობის პირველი 4 წლის განმავლობაში. ამ კატეგორიის პირთათვის გადასახადით დასაბეგრი წლიური შემოსავლის მინიმუმი 66 775,5 ევროს, ხოლო მაქსიმუმს 153875 ევრო შეადგენს.

დამსაქმებელს სოციალურ ფონდში თავის საშუალო თვიური შემოსავლის 17,1 პროცენტი შეაქვს. ამ შენატანის მინიმუმს 51,57 ევრო შეადგენს, მაქსიმუმი დადგენილი არაა.

### პენსიის დანიშვნის პირობები და მოცულობა

ფინეთის რესპუბლიკაში ასაკის მიხედვით საერთო პენსია თვეში მინიმუმ 584,13 ევროს შეადგენს ალნიშნული პენსიის გაცემა დამოკიდებულია პირის მოქალაქეობრივ სტატუსზე და თუ რა სახის სხვა შემწეობებს იღებს დაზღვეული. პენსია არ გაიცემა პირებზე, ვისი შემწეობები იმავე კრიტერიუმით აღემატება 1207,33 ევროს თვეში. პენსიის მოცულობა დამოკიდებულება პირის მიერ ფინეთის რესპუბლიკაში გაწეულ შრომით სტაჟზე. მამაკაცთა და ქალთათვის საპენსიო ასაკი 65 წელია. ვადამდე პენსიაზე გასვლისას პენსიის მოცულობა მცირდება თითოეულ ნაკლულ თვეზე 0,4 პროცენტით. პენსიონერებზე, ვის კმაყოფაზეც ბავშვები იმყოფებიან, თითოეულ ბავშვზე იღებს დანამატს 20,37 ევროს ყოველთვიურად. პენსიონერს, რომელიც წარმართავს საოჯახო მეურნეობას, ამ მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის, საოჯახო სტატუსისა და კმაყოფაზე მყოფი ბავშვების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტით გადაწყვეტილებით ეძლევა ყოველთვიური დანამატი 3,11 ევროდან 618, 02 ევრომდე მოცულობით. პენსიონერის მოსავლელად, მისდამი გაწეული მომსახურების გათვალისწინებით, გაიცემა შემწეობა 57,32 ევროდან 301, 75 ევრომდე. ემიგრანტი მშრომელებისთვის გათვალისწინებულია სპეციალური პენსია, რომლის მოცულობა ზემოთაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით თვეში 6,21 ევროდან 584, 13 ევრომდე შეიძლება იყოს.

ფინეთის რესპუბლიკაში უმუშევრობის შემწეობა მერყეობს 6,21 ევროდან 584,13 ევრომდე თვეში. მისი მოცულობა დამოკიდებულია დაზღვეულის საოჯახო სტატუსზე და მის მიერ მიღებულ სხვა შემწეობებზე.

ასაკის მიხედვით პენსია დაკავშირებულია საპენსიო ფონდში განხორციელებულ შენატანებთან. დაზღვეულ პირს ყოველწლიურდ საპენსიო ფონდში შეაქვს თავისი წლიური შემოსავლის 1,5 პროცენტი, როდესაც მისი ასაკი 18 წლიდან 52 წლამდეა, 1,9 პროცენტი როდესაც მისი ასაკი 53 წლიდან 62 წლამდეა, 4,5 პროცენტი როდესაც მისი ასაკი 63 წლიდან 68 წლამდეა.

დასაქმებული, რომელიც 63 წლის ასაკის მიღწევამდე გადის ვადამდელ პენსიაში, მისი მოცულობა უმცირდება თითოეულ ნაკლულ თვეზე 0,6 პროცენტით, მაგრამ საერთო ჯამში, არა უმეტეს 7,2 პროცენტისა.

დაზღვეულს 65 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ შეუძლია 68 წლამდე კვლავ გააგრძელოს შრომა, შესაბამისად, 68 წლის მიღწევამდე მისი პენსია ყოველთვიურად იზრდება 0,4 პროცენტით. საინფლაციო ინდექსაციის გარდა, ყველა სახეობის პენსია იზრდება ხელფასის მოცულობის ზრდასთან ერთად.

### ინვალიდთა შემწეობის მოცულობა

ფინეთის რესპუბლიკაში ინვალიდთა სახელმწიფო შემწეობა დაზღვეულის საოჯახო მდგომარეობისა და მიღებული სხვა შემწეობების გათვალისწინებით 6,21 ევროდან 584,13 ევრომდე შეადგენს. ეს შემწეობა საოჯახო სტატუსის გათვალისწინებით, საერთოდ არ გაიცემა თუ დაზღვეულის მიერ მიღებული სხვა შემწეობების საერთო მოცულობა თვეში 1207,33 ევროს აღემატება ან თვეში არა უმეტეს 51,5 ევროს შემოსავლისას გაიცემა შემწეობა 50 პროცენტის მოცულობით, მაგრამ არა უმეტეს ზემოთ აღნიშნული თანხისა. შემწეობის გაცემა წყდება თუ დაზღვეული კვლავ შეუდგა შრომას. განსაკუთრებული პირობების არსებობისას (მცირე, საშუალო და სრული შრომისუნარიანობა) ინვალიდის შემწეობა შეიძლება შეადგენს 199,71 ევროს; 287,26 ევროს და 370, 24 ევროს თვეში. თუ ინვალიდს ჰყავს 16 წლამდე ასაკის ბავშვი, იგი ყოველდღიურად იღებს 20,37 ევროს დანამატის სახით. ინვალიდს, რომელიც წარმართავს საოჯახო მეურნეობას, ამ მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის, საოჯახო სტატუსისა და კმაყოფაზე მყოფი ბავშვების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის დადგენილებით ეძლევა ყოველთვიური დანამატი 3,11 ევროდან 618,02 ევრომდე. სოციალური მუშაკების მომსახურების მოცულობის გათვალისწინებით, ინვალიდის ან პენსიონერის მოვლის შემწეობა შეიძლება შეადგენდეს 57,32 ევროს; 142,7 ევროს და 301,75 ევროს თვეში. რეაბილიტაციის შემწეობა ყველა კატეგორიის ინვალიდისთვის მისი საერთო შემწეობის 10 პროცენტს შეადგენს. ინვალიდი ემიგრანტებისთვის მოქმედებს სპეციალური შემწეობა 6,21 ევროდან 584,13 ევრომდე მოცულობით. ყველა ეს შემწეობა ყოველწლიურ საინფლაციო ინდექსაციას ექვემდებარება.

ინვალიდობის შემწეობა, რომელიც დაკავშირებულია შესაბამის ფონდში შენატანებთან, რომელიც 18 წლიდან 52 წლამდე ასაკის პირისთვის 1,5 პროცენტია, 53 წლიდან 62 წლამდე ასაკის პირისთვის 1,9 პროცენტია, 63 წლიდან 68 წლამდე ასაკის პირისთვის 4,5 პროცენტია მათი ყოველწლიური შემოსავლისა და აღემატება სახელმწიფო შემწეობას. ინვალიდებს უფლება აქვთ მიიღონ ხელფასი ინვალიდობის შემწეობის 40 პროცენტის ფარგლებში, მაგრამ მისი მოცულობა 600 ევროს არ უნდა აღემატებოდეს. შრომის უნარის 40 პროცენტიდან 59 პროცენტამდე დაკარგვისას დაზღვეული იღებს დამატებით შემწეობას ინვალიდობის სრული პენსიის 50 პროცენტის მოცულობით, მასთან ერთად აქტიური პროფესიული რეაბილიტაციის პერიოდში ინვალიდს შეუძლია შემწეობის 33 პროცენტიანი დანამატიც მიიღოს.

### შემწეობის მოცულობა მარჩენალის დაკარგვისას

ფინეთის რესპუბლიკაში მარჩენალის დაკარგვის შემწეობა გაიცემა მარჩენალის გარდაცვალებიდან პირველი 6 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად არაუმეტეს 301,27 ევროს მოცულობით. თუ მარჩენალდაკარგულს ჰყავს ბავშვი, მე-7 თვიდან იგი იღებს შემწეობას არა ნაკლებ თვეში 94,37 ევროს მოცულობით, სხვა შემთხვევაში შემწეობის მოცულობა დგინდება მარჩენალდაკარგულის შემოსავლებიდან.

18 წლამდე (სტუდენტობისას 20 წლამდე) ობლის შემწეობა თვეში 55,43 ევროა, ხოლო ორივე მშობლით ობლის შემწეობა თვეში 110,86 ევროა. ქვრივებზე აღნიშნული შემწეობა არ გაიცემა, თუ მათი შემოსავალი აღემატება 1031 ევროს თვეში, თუმც ითვალისწინება, დარჩა თუ არა ქვრივს გარდაცვლილი მარჩენალისგან საერთო ბავშვი. ობლის შემწეობა არ გაიცემა, თუ პირის სხვა შემოსავლები თვეში 219,16 ევროს აღემატება.

ქვრივს უფლება აქვს მიიღოს გარდაცვლილი მარჩენალის შემოსავლის 50 პროცენტი და მისი ინვალიდობის შემწეობა, მაგრამ თუ მარჩენალთან ბოლო წლების განმავლობაში იგი განქორწინებული იყო, მისი წილი მცირდება. ობოლი იღებს გარდაცვლილი მარჩენალის პენსიისა და შემოსავლების 33 პროცენტს თუ ობლები ოთხნი და მეტნი არიან ისინი იღებენ გარდაცვლილი მარჩენალის პენსიისა და შემოსავლების 83,3 პროცენტს. ეს შემწეობები ყოველწლიურად განიცდიან ინდექსაციას 80 პროცენტით ინფლაციისა და 20 პროცენტით ხელფასის დონის გათვალისწინებით.

**დავით არაბიძე**
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი**

---

rubrika:

## Cven vexmarebiT biZina ivaniSvils!



ბატონო ბიძინა! ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყნის გათავისუფლება გწადიათ და არ გვინდა, ამ დიდი საქმის მხოლოდ უბრალო მონაწილენი ვიყოთ. ამიტომ გთავაზობთ ჩვენს ძალას, შნოს, გამოცდილებასა და დაგროვილ უამრავ მასალას, რომელიც, იმედია, თქვენს ხელში ზემძლავრ იარაღად იქცევა სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ცოტა რამ ჩვენს შესახებ

სუკის (KGB) ჩამოყალიბების პირველივე ოპერაცია ჩვენს ''ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას'' მიეძღვნა, საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა მაშინ ასე ინათლებოდა. მას შემდეგ მთელი ჩვენი სიცოცხლე მიმართული იყო მხოლოდ სამშობლოსაკენ: 1972 წელს გამოვეცით ჟურნალი ''სამება'', რომელიც სსრკ-ს შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, ვავრცელებით პროკლამაციებს, არალეგალურ ლიტერატურას, ვმუშაობდით იატაკქვეშ ...

ბოლო ორი ათწლეული კი, ცხადია, პოლიტიკურ საქმიანობას შევწირეთ. მომზადდა პრივატიზების მასშტაბური პროგრამა, რომელიც ყველასგან მოწონების მიუხედავად ფსევდომემარჯვენეებისა და კიდევ უარესი, ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ბოროტი ძალების მეცადინეობით, ვერ განხორციელდა (1992-1993 წლები), შედეგად რაც მივიღეთ, მკაფიოდ ჩანს.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია 1994 წელს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადავაქციეთ სამოქალაქო მოძრაობად ''სიცოცხლისათვის'' (მთავარი მრჩევლები-აკაკი ბაქრაძე და ჯუმბერ პატიაშვილი). მაშინ ხალხს უკიდურესად სჭირდებოდა ფიზიკური გადარჩენა! 1994 წლის 26-27 ივლისს დავარიგეთ უფასოდ პური(1200 ტონა), რიგდებოდა მაკარონი, სხვა პროდუქტები...

მერე რაა, თუ სახლკარის გაყიდვა გვიწევდა, არც ამაზე დაგვიხევია უკან, ანუ ყველაფერი მხოლოდ ჩვენი, საკუთარი სახსრებით კეთდებოდა.

ვცდილობდით ქვეყანაში პრობლემების მოგვარებას რეფერენდუმების გზით, მაგრამ ყველა ჩვენი ცდა ამაოდ მთავრდებოდა. სამაგიეროდ, ეს გზა იქცა მხილების საშუალებად ჯერ შევარდნაძის და შემდეგ კი მასზე უფრო კბილბასრი სააკაშვილის წინააღმდეგ.

დავაყენეთ საკითხი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების შესახებ, ცესკოსა და შემდეგ უზენაესი სასამართლოში ყოვლად არასერიოზული მოტივებით უარი მივიღეთ. შევარდნაძის დროს კიდევ ცდილობდნენ, რაიმე ტექნიკური მიზეზებით უარის თქმას და ამ სააკაშვილის დროს, საერთოდაც, ცინიზმის ზღვარს გადავიდნენ.

წარმოიდგინეთ ასეთი პასუხი: ''ჩვენ რომ გადავწყვიტოთ რეფერენდუმზე რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, ხომ შეიძლება რუსეთმა უარი გვითხრასო და კანონის დარღვევა გამოგვივაო''. ეს ხომ საოცრების სფეროშია გადავარდნა, უსირცხვილობაში და უნამუსობაში. რუსეთის საელჩოს ვეწვიეთ და მათ გააკეთეს განცხადება საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დიდი სურვილის შესახებ, არც ამან არ გასჭრა.

შემდეგ კიდევ მეტი: 2005 წელს ვითხოვეთ საყოველთაო დასაქმების მიღწევა ხალხის ნების გადაწყვეტილებით და აქ უკვე თვალებსაც აღარ ვუჯერებდით, ეს არ არისო ''განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხიო''.

აქ კი შევჩერდეთ!

ეს პასუხი, ცხადია, გავაპროტესტეთ სასამართლოში და პროცესი მოვიგეთ (თუ როგორ, ეს კიდევ ერთი სასწაულია!), და აქ ატყდა, თუ ატყდა: ვერაფრით ვეღარ მოვიშორეთ მიშიკური ტელევიზიები, იქიდანვე წამოვიდა დამუქრებები მოსამართლისადმი, ეს ერთი შეცდნენ და მსგავსი აღარაფერი მოხდებაო და ...

გვიჩივლეს სააპელაციო სასამართლოში. სამი წელი გვათრიეს იქ და ბოლოს, 2008 წელს, როგორც იქნა, გადაწყვიტეს რომ დასაქმება კვლავაც „არ წარმოადგენს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხს''!!! იგივე დაადასტურეს სააკაშვილის მმართველობის ყველა სხვა რგოლშიც.

აი, სწორედ აქ იხსნება კვანძი: მოსახლეობის ყველა გამოკითხვით (თვით სააკაშვილის გამოკითხვითაც!) ქვეყანაში უპირველესი პრობლემა დასაქმებაა, სააკაშვილი ყველა გამოსვლაში წარმატებით „აგვარებს'' ამ საკითხს და სინამდვილეში კი თურმე დასაქმება მათთვის სერიოზული თემა არ ყოფილა.

დასკვნა: სააკაშვილი ქვეყნისა და ხალხის განადგურებაზე მუშაობს რეალურად, გარეგნულად კი ქვეყნის „მოამაგის'' როლს ირგებს.

აქ არ შეიძლება არ ვთქვათ ვითომ ოპოზიციური ტელევიზიების ხელმძღვანელობის როლის შესახებ. მათ ჟურნალისტებთან უკვე გამზადებული პროგრამები სააკაშვილების ამ ბოროტგანზრახულობების გამოაშკარავების შესახებ სულ ბოლო მომენტებში, ზუსტად ერთნაირ სტილში დაბლოკეს, ასე გასინჯეთ, წარდგენილი დოკუმენტებიც კი გააქრეს (ნეტა ვის მიუტანეს?!)

იმედი გვაქვს, თქვენ ვერ დაგბლოკავენ!!!!

და ბოლოს, კიდევ ერთი პატარა, ერთდღიანი სასამართლოს შესახებ: 2008 წლის

5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმება მოვითხოვეთ და პროცესი უზენაეს სასამართლოში მოვიგეთ კიდეც! აქაც სასწაული: სხდომის ბოლოს „გაარკვიეს'', რომ თურმე ჩვენ სარჩელის „შეტანის'' უფლება აღარ გვქონდა და მათ კი „მიღების''!!! არა და, საქმე ეხებოდა მათივე მიღებული კანონის სასწაულებრივ, ფანტასტიურ დარღვევას: ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა გამოცხადდა არა „არჩევნების'' წინ, არამედ „არჩევნებიდან''საკმაო ხნის შემდეგ (ეს ხომ პროცენტების ნორმაში მოსაყვანად სჭირდებოდათ!)

ეგ არის და ეგ!

აქ სრულიად დოკუმენტურადაა წარმოჩენილი სააკაშვილის ნამდვილი სახე, — რანაირადაა ის „პრეზიდენტი'' და როგორ „ზრუნავს'' ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე!

წარმატებას გისურვებთ!!!

სარეფერენდუმო საინიციატივო ჯგუფის, მოძრაობა „სიცოცხლისათვის'', ჯგუფ „ანტიდოტისა'' და სხვათა და სხვათა სახელით

**გიორგი ყორღანაშვილი.**
24 თებერვალი. 2012 წელი,
თბილისი.
5 55 91 52 74

# `ra iseTi eri Tqven xarT, qarTvelebi~

წინამდებარე წერილის დაწერის სურვილი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც რამდენიმე ხნის წინ „საერთო გაზეთ“-ში (2012, №04) ქალბატონმა ირინე გოგოსაშვილმა თავისი ნააზრევი გამოაქვეყნა, რომლის სათაურია „რა გაა.....ეთ საქმე თქვენი ქართველობით, ბოლო-ბოლო რა ისეთი ერი თქვენ ხართ, პასპორტშიც რომ უნდა გეწეროთ“. ავტორი ბატონ გურამ შარაძესა და ბატონ კობა დავითაშვილს შორის არსებულ პოლემიკას იხსენებს, რაც, ფაქტობრივად, ორი განსხვავებული იდეოლოგიის – ეროვნულისა და კოსმოპოლიტურის დაპირისპირების პრობლემა გახლავთ. ქალბატონი ირინე ისეთი ტკივილნარევი სითბოთი და სევდიანი მონატრებით იხსენებს ბატონ გურამ შარაძეს, რომ ძნელია მისი წერილი თვალზე ცრემლმომდგარმა არ წაიკითხო, თუკი ქართველი ხარ. თუმცა, ამას რომ ვამბობ, ოდენ ჭეშმარიტ ქართველს ვგულისხმობ, თორემ იმნაირ ქართველს, რომლის თაობაზე მუხრან მაჭავარიანი ერთ ლექსში ამბობს – „რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს“-ო, არათუ ცრემლი მოადგება თვალზე, არამედ სიძულვილნარევი ცინიზმით აღივსება და იმ პატრიოტულ სულისკვეთებას, რაც ქალბატონი ირინეს სტრიქონებიდან თუ სტრიქონებსშორისი სივრციდანაც ერთნაირად გამოკრთის, ყავლგასულ ატავიზმად და დასავიწყებელი წარსულის გადმონაშთად აღიქვამს. აი, წარსულის დავიწყება კი იმიტომაც სურთ, რომ არც თავად იციან საქართველოს ისტორია და სხვებსაც, განსაკუთრებით ახალგზარდობას, უნერგავენ წარსულისადმი ირონიულ, აგდებულ დამოკიდებულებას. ცნობილია, რომ ისტორიული მეხსიერებისგან დაცლილი არსება ადვილად გარდაიქმნება უსამშობლო გლახად, ხოლო უსამშობლო გლახების ვერანაირი სიმრავლე ერს ვერ შექმნის. უეროვნებო ხალხის ჯგრო ისევე იოლი სამართავია, როგორც პირუტყვი, რომელსაც ისტორია არ აქვს.

დღეს საზოგადოებრივი ასპარეზი სავსეა ამგვარი უეროვნებო გვამებით, რომლებსაც სახელმწიფო ტელევიზიებშიც ჭარბად უთმობენ საეთერო დროს და, რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს, ისინი ე.წ. ოპოზიციური ტელეეკრანებიდანაც არ ქრებიან. ეს უსამშობლო პოლიტიკოსები პირობითად შეიძლება ორად დავაჯგუფოთ. პირველთ – ტომით ქართველებს, მაგრამ ცნობიერებით გადაგვარებულთ, ესირცხვილებათ მამულიშვილობა, რა არის, ვინმემ ჩამორჩენილობა არ დაგვწამოსო. ხოლო მეორე ჯგუფს ქართულ გვარ-სახელებს ამოფარებული არაქართველები შეადგენენ, რომლებსაც პოლიტიკურ სარბიელზე დამკვიდრების ერთადერთ პირობად ქართველთმოძულეობა მიუჩნევიათ. ყველანი – გენით ქართველნი თუ არაქართველნი – ერთნაირი მონდომებით შესევიან ჩვენ ქვეყანას და დაუნდობლად ებრძვიან ეროვნულ ცნობიერებას. ამ მრევლიდან თავდაპირველად მსურს მათ შესახებ მოგახსენოთ, ვინც ქართულ გენს ფუჭად ატარებს და დაცლილია ყოველგვარი ეროვნულობისგან. ალბათ, არ შევცდები, თუკი მათ თვალსაზრისს ერთი ლიბერალი ქალბატონის, რომლის ვინაობაც ჩემთვის უცნობია, სიტყვებით გამოვხატავ, „მაესტროს“ ეთერში რომ გაჟღერდა და მას მერე ვიდეორგოლში გამუდმებით მეორდება: „ზღაპარი იმის შესახებ, რომ ჩვენნაირი ქვეყანა არ არსებობს, რომ დავივიწყოთ“.(?!) ამ სიტყვების მოსმენისას რატომღაც მუდამ ეს ხალხური ლექსი მაგონდება:

„ზღაპარ-იყო, ზღაპარ-იყო.  
ჭალას ჩიტი ჩამჯდარიყო,  
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,  
პატარაში სულ არ იყო.“

ნეტავ, რომელია ეს ზღაპრული ჩიტი, რომელი „უცხო რამ ფრინველია“?! ქართული ლეგენდა არას გვაუწყებს და უცხოენოვან ზღაპრებში ხომ არ მოვიძიოთ მისი არსებობის კვალი? აგერ, ერთი ანტიკური თქმულების თანახმად, მდ. ფაზისთან ხოხობი ბინადრობდა, რომელსაც უგემრიელესი ხორცი ჰქონია და ევროპაში ამ ფრინველისთვის ფაზანი მდინარის სახელის მიხედვით შეურქმევიათ. იქნებ ქართულ ზღაპარში რიონისპირას მომრავლებული ეს ფრინველი იგულისხმება? ვინ იცის.



ანდა, რომელ ატეხილ ჭალაში ჩამჯდარა ჩვენი ზღაპრული ჩიტი? მდინარის როგორი ნაპირი იყო ის ჭალა, ტყიანი თუ ხეხილიანი? ხეხილნარი რომ ყოფილიყო, იქ, ალბათ, ბალიც გაიხარებდა. იქნებ ასეც იყო და ამიტომაც მოგვითხრობს ლათინთა ერთი ზღაპარი, რომ რომის იმპერიაში ბალი პირველად პონტოდან ჩაუტანია გნეუს პომპეუსს და სწორედ ქართველი ტომებით დასახლებული მიწებიდან გავრცელებულა ევროპაში. შესაძლოა, ეს საარაკო ამბავი ლათინ მეზღაპრეს დაეჯერებოდეს კიდეც.

დიდ ქვაბში არ ეტეოდაო, რომ გვარწმუნებენ, ნეტავ, რომელ „დიდ ქვაბში“ ვერ ჩაატიეს „უცხო რამ ფრინველი“? რისგან იყო იგი დამზადებული? ქართველი მეზღაპრე დუმს, არაფერს გვაუწყებს. თუცა, ძველბერძნულ ზღაპრებში რომ ყვებიან, ხალიბების ტომმა რკინის დამუშავება პირველებმა ისწავლესო, თანაც ბერძნები თავიანთ ენაზე ფოლადს მათი სახელის მიხედვით „ხალიფს“-ს უწოდებენ, აი, სწორედ ამ ლითონისგან ხომ არ იყო ეს ქვაბი გამოჭედილი? ეგებ ასეც არის.

პატარაში სულ არ იყო-ო, რომ გაგვილექსეს ჩვენმა წინაპრებმა, ნეტავ, ის „პატარა ქვაბი“ რისგანღა იყო გაკეთებული? ნუთუ იმ სპილენძ-თითბრისგან, რომლის დამუშავებას „ცრუმეტყველი“ ბერძნები ქართველ ტომ მოსინიკებს მიაწერენ და თითბერს მრავალ ევროპულ ენაზე დღესაც მოსინიკების სახელის მიხედვით „მესსინგ“-ი ჰქვია? ღმერთმა უწყის, იქნებ ასეც იყოს.

კეთილი, ბატონო, დავეთანხმებით ლიბერალ-კოსმოპოლიტებს, რომ ზღაპარი ჩვენი ქვეყნის განუმეორებლობის შესახებ უნდა დავივიწყოთ და საღად ვიაზროვნოთ, მაგრამ რა მოვუხერხოთ ამ უცხოელ „მუცლით მეზღაპრეებს“ და მათი არაჯანსაღი აღქმა როგორ გავუქარწყლოთ დანარჩენ სამყაროს? მათ ხომ ყველას გააცნეს ქართველი ტომები: „დამოუკიდებელი, მეომარი ქალდეველნი“, „უმამაცესი ხალიბები“, „სხვებზე უფრო მებრძოლი იბერები“, „უწესიერესი ტიბარენები“, „მორკინალი კოლხები“, „მეომარი ჰენიოხები“, „უსასტიკესი ახეველნი“, „ყველაზე უფრო მებრძოლი დრილები“ (ჭანები) და ა.შ. მაგრამ ის, რაც ერთმა რომაელმა ბრძანა, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. პლინიუს უფროსი ეგრისის აღწერას ამგვარი სიტყვებით ასრულებს: „ასეთია ქვეყნიერების ეს ერთი ყველაზე დიდებული კუთხეთაგანი“-ო! ახლა როგორ მოვიქცეთ? სად არის ინტელექტუალთა მეტრი ლევან ბერძენიშვილი, რომ დადუმებულა? იგი ხომ კლასიკურ ფილოლოგიასაა ნაზიარევი და პროფესიულად ევალება, ეს ბერძენ-ლათინი მეზღაპრენი ამხილოს? ანტიკური სამყაროდან ამოტყორცნილ მათ შემახილებს რატომ არ უპირისპირებს საკუთარ სარკაზმულ ცინიზმს, რომლითაც ასე უხვად ამკობს ქართველ მოღვაწეებს? ილიას, აკაკის, ვაჟას ნააზრევს რომ გვიწუნებს, თანაც გვმოძღვრავს, პატრიოტიზმი ძველად არ არსებობდა, მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის პირმშოაო... ნუთუ არ იცის, რას უნდა ნიშნავდეს ძველბერძნების ქართველთა დახასიათება? მებრძოლი, მეომარი, მორკინალი, მამაცი, სასტიკი, სამართლიანი – ეს ხომ ის თვისებებია, ადამიანი სამშობლოს დასაცავად რომ ავლენს. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ ქართველ ტომებს იმ უძველეს დროსაც ახასიათებდათ ეთნიურობის განცდა და მამულის სიყვარული. ვერ გეტყვით, საფრანგეთის რევოლუციამ, რომლის დროსაც მილიონზე მეტი ფრანგი გილიოტინასთვის გაწირეს, ასეთი რა პატრიოტიზმი შვა, მაგრამ ელინ-ლათინებს შეუმჩნეველი რომ არ დარჩენიათ ქართველ ტომთა „მიწის ყივილი“, რაც სხვა არაფერია, თუ არა პატრიოტიზმი, ეს ბატონ ბერძენიშვილს კარგად უნდა მოეხსენებოდეს. მაშ, რატომღა თვალთმაქცობს და თავად ცრუმეტყველებს, რომ სიტყვა პატრიოტიზმი ოდენ ასო-ბგერათა ახლად შექმნილი თანწყობაა? ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტს იძულებული ვარ შევახსენო, რომ იმდროინდელ ავტორებს თვით „ველური“ სკვითების პატრიოტიზმის ამბავიც კი ცოდნიათ, რომელთათვის მამულის განცდა მამა-პაპათა საფლავების ხელშეუხებლობით გამოიხატებოდა და მტერს აკვდებოდნენ კიდევაც წინაპართა სამარხების დაცვისას. მაგრამ ლ. ბერძენიშვილის საქმიანობა ხომ ავტორიტეტებთან ბრძოლითაა გამორჩეული, რაც საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსით უნდა იყოს გამოწვეული. თავად განსაჯეთ, ლევან ბერძენიშვილი – ყოფილი მკვლევარი, ლევან ბერძენიშვილი – ურეიტინგო პოლიტიკოსი, ლევან ბერძენიშვილი – თანამდებობადაკრგული პიროვნება – ცდილობს, ქართველ საზოგადოებას ორიენტირი დაუკარგოს. ამიტომაც იწონებს ე.წ. განათლების რეფორმას და იმ პროგრამებს აქებს, რომლებიც ბავშვებს აჩლუნგებენ და რომელთაც ცინიკურად ხან „ილია ჭავჭავაძის“, ხან „ირმის ნახტომის“, ხანაც „იაკობ გოგებაშვილის“ სახელით ნათლავენ. ნუთუ უფალი ბერძენიშვილი ვერ ხვდება, რომ, თუკი საბოლოოდ დამკვიდრდება ეს სასწავლო პროგრამები, რამდენიმე წელიწადში გვეყოლება უცოდინარი, აზროვნებას მოკლებული და, რაც მთავარია, უეროვნებო სულიერი არსებები?!

ახლა „რესპუბლიკური კოლექტივის“ სხვა აქტივისტებიც გავიხსენოთ. ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ რესპუბლიკელთა ნულოვანი (თუ მინუსიანი არა) რეიტინგი, რომელიც მათ აგერ უკვე 30 წელია, ვერა და ვერ გაიუმჯობესეს, არ გახლავთ „მოსახლეობის დაბალი დონის“ შედეგი. პრობლემა სხვაგან ძევს და იგი ქართველი ერისა და რესპუბლიკელთა ურთიერთგამომრიცხავი მსოფლგანცდიდან იღებს სათავეს. ქართველ ერს სურს ხელშეუხებელი ჰქონდეს მამული, ენა, სარწმუნოება, რაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ პრინციპით უნდა განხორციელდეს. რესპუბლიკელები კი პოლიტიკაში ოდენ საკუთარ პერსონებს ჭვრეტენ და დამახინჯებულ ლიბერალურ-კოსმოპოლიტურ იდეებს ხალხს თავს ახვევენ. მათგან, უპირველესად, ქალბატონი ხიდაშელის საქმიანობას გამოვყოფდი, რომელიც, ვგონებ, ერთადერთი წარმომადგენელია პარტიის გენდერული აქტივისა.

ქალბატონი ხიდაშელის პოლიტიკური ცულლუტობანი საჩინოს ხდის მისი, როგორც პოლიტიკოსის, სახეს. დავიწყოთ იმით, რომ იგი, როგორც იურისტი და პოლიტიკოსი, პრინციპული პიროვნება არ გახლავთ. მაგალითისთვის მხოლოდ ორიოდე ფაქტს მოვიხმობ. როდესაც ძალაუფლებას დაუფლებულებმა 2004 წელს დამოუკიდებელი ტელევიზია „იბერია“-ს დახურვა განიზრახეს, საპროტესტო აქციები გაიმართა. მაშინ ხელისუფლებასთან დაახლოებული ხიდაშელი არ აპროტესტებდა ამ ფაქტს, რადგანაც, მისი აზრით, „რუსთავი-2“-ის ხელყოფა, თურმე არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ იგი სხვა ფენომენი იყო და ეკუთვნოდა გამარჯვებულ ხალხს, ტელევიზია „იბერია“ კი სხვა შემთხვევა გახლდათ და ამ ორი მედიასაშუალების



ერთ სიბრტყეზე განხილვა მიზანშეუწონელი იყო (?!) ასე გვასწავლიდა ქალბატონი ხიდაშელი კანონის ანა-ბანას და ეს იყო მისი თვითილუსტრაცია, რადგანაც სინდისიერი იურისტისთვის მიუღებელია კანონთან ამგვარი შეთამაშება. მეორე შემთხვევა ანტისოროსელთა უკანონო დაპატიმრებას ეხება. როდესაც 2006 წელს ერთ-ერთ ტელევიზიაში მყოფ თ. ხიდაშელს შეეკითხნენ უსამართლოდ განსჯილ ანტისოროსელთა თაობაზე, მან შეკითხვას ტყუილი შეაგება, თითქოსდა არ იცნობდა სათანადო მასალას და არ შეეძლო მათი პატიმრობის კანონიერების შესახებ რაიმე ეთქვა. არადა, მთელი მასმედია ამ უკანონოდ დაპატიმრებულთა ამსახველ მასალებს აშუქებდა, თუმცა, ვთქვათ, მაშინ მართლა არ იცნობდა, მას მერე 5 წელი გავიდა და ნუთუ ერთხელაც არ დაინტერესებულა ამ საქმეებით, რომ დღემდე ხმას არ იღებს მათ დასაცავად?! მაგრამ საზოგადოებას მისი პოლიტიკური გაორების თაობაზეც კარგად მოეხსენება. იგი მზადაა ყველას და ყველაფრის ქომაგად მოგვევლინოს, გარდა ქართველი ერის და საქართველოს სახელმწიფოებრივი პრობლემებისა. ადამიანის უფლებები? – კი, ბატონო. ერის უფლებები? – ნურას უკაცრავად. ინტერნაციონალ-კოსმოპოლიტური საკითხები? – რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოს დაცვა? – არავითარ შემთხვევაში. მაგალითი ბევრზე ბევრია. აი, თუნდაც იეღოველთა საქმე, რომელნიც ქვეყანას კალიასავით შესევიან. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე წლის წინ როგორ აფრინა მან უსტარი აშშ-ს დეპარტამენტში, რომლითაც საკუთარ ქვეყანას აბეზღებდა და ანტიდემოკრატიულობას სწამებდა. შედეგმაც არ დააყოვნა და ყარაყორუმიდან, უკაცრავად, ვაშინგტონიდან მაშინდელი პრეზიდენტის მეუღლის ჰილარი კლინტონის მოთხოვნა-წერილი ჩამოვიდა. ქალბატონი მეუღლე დაბეჯითებით გვირჩევდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს თავისივე განაჩენი გაებათილებინა და ხელახლა დაერეგისტრირებინა იეღოველთა სექტა. მართალია, იეღოველებმა „გაიმარჯვეს“ და სექტა დაიკანონეს, მაგრამ ერისთვის უფრო მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა – ჰილარი კლინტონმა თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის, – ჩუღურეთის არსებობაც გაიგო. ხუმრობა ხუმრობად და ბეზღობა მიუღებელი ხელობა უნდა იყოს შინაგანად წესიერი კაცისთვის, მით უმეტეს დედაკაცისთვის. ილია გვასწავლიდა, რომ ბეზღობა არის „საზიზღარი, უსაძაგლესი, ამაზრზენი საქციელი, რომელსაც გულჭუჭყიანი, სულმდაბალი და ზნეობადაცემული ადამიანი სჩადის“. თანაც განსაკუთრებით გამოყოფდა იმ ადამიანთა საქციელს, რომლებიც ქვეყანას და თვისტომთ ყიდდნენ: „ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს“ – ბრძანებდა იგი. თუმცა იმ ლიბერალურ წრეში, რომლის „დოყლაპია ლიბერალი“ მეტრიც ერის მამას არ ცნობს, ამ ჭეშმარიტებას ვის შეაგონებ?! იქ ხომ მხოლოდ „ჭიაღუა ბეზღობისა ჰჭყუმპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს“ (ილია). აქვე გავიხსენოთ ქალბატონი ხიდაშელის გასაოცარი ინერტულობა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. თუკი მან 2003 წელს საკუთარი ხელით შედგენილი საჩივრების საფუძველზე მიაღწია, რომ სასამართლოს მრავალ საარჩევნო უბანში შედეგები გაეუქმებინა, 2008 წელს თითი თითზე არ დაუკარგებია, რათა იურიდიულად გამართული საჩივრებით მიემართა იმავე სასამართლოსთვის. არადა, არჩევნები სწორედ იმ უბნებში გაყალბდა, სადაც ტრადიციულად „ღიად“ ყალბდებოდა ხოლმე. მაშინ ეს ფაქტი საზოგადოებისთვის, ცოტა არ იყოს, აუხსნელი დარჩა. მაგრამ მოგვიანებით ქალბატონმა ხიდაშელმა სიმართლეს თავად მოჰფინა ნათელი. თურმე მან იმიტომ არ იაქტიურა, რომ „გარე ძალები“ ოპოზიციას მაინც არ დაუჭერდნენ

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მხარს. რა გამოდის, საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკოსმა სიმართლისთვის მაშინ უნდა იბრძოლოს, როცა მას გარედან კარნახობენ? რა არის ეს, ქვეყნის სამსახური თუ საკუთარი კარიერისთვის ზრუნვა? მაგრამ ყველაზე ამაზრზენი ის გახლავთ, თუ როგორ ამტყუნებენ ხიდაშელის თანამოაზრენი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რატომ არ აღიარა არჩევნების გაყალბება. კი მაგრამ, ქალბატონ ნინოს, რომელიც იმ ხანად პრეზიდენტობის მოვალეობას ასრულებდა, როგორ უნდა გაეპროტესტებინა არჩევნების შედეგები? იმ საჩივრების საფუძველზე, რომლებიც „ხიდაშელმა და კომპანიამ" სასამართლოში არ წარადგინა?! და ამის შემდგომ ეს ქალბატონი კადნიერდება და ქართველ ხალხს აყვედრის, დილის 8 საათიდან ღამის 2 საათამდე ვმუშაობ „ქართულ ოცნებაში"-ო. ხიდაშელისმაგვარმა პერსონებმა დღე და ღამე რომც გაასწორონ, ქვეყანას ეს სასიკეთოდ არ წაადგება, პირუკუ, სწორედაც ქართული სახელმწიფოს განვითარებისთვის ერთობ შემაფერხებელი იქნება.

ამ საკრებულოს კიდევ ერთი აქტიური სახეა ბატონი პაატა ზაქარეიშვილი. იგი საკუთარ თავს კონფლიქტოლოგს უწოდებს. ბატონ პაატას მიაჩნია, რომ ქართულ-აფსუური დაპირისპირების მოგვარებისთვის აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნად უნდა ვაღიაროთ. კონფლიქტოლოგ-ექსპერტს მსურს შევახსენო, რომ ამგვარი გადაწყვეტილებისთვის უნდა არსებობდეს, სულ ცოტა, ორი წინაპირობა — ისტორიული და პოლიტიკური. იცის კი მან საკუთარი ქვეყნის ისტორია? თუ შეუსწავლია, დღევანდელი აფხაზეთის მიწაზე ვინ იყვნენ ავტოქთონი ტომები? იცნობს თუ არა იგი ამ საკითხის თაობაზე ივ. ჯავახიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილის, მ. ლორთქიფანიძისა და სხვათა აზრებს? იცის თუ არა მან, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში უცხოელები ერთმანეთისგან ასხვავებდნენ „ნამდვილ აფხაზებს" და „ჩრდილოელ აბზოებს", რომელთა შთამომავალნი აწინდელი აფსუები არიან, ინტენსიურად XVII ს.-დან რომ იწყეს აფხაზეთში ჩამოსახლება? მეორეც, რა პოლიტიკური საფუძველი არსებობს აფხაზეთის დამოუკიდებლობისა? აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ხომ უახლესი ისტორიის პირმშოა, რაც თავსმოხვეული იყო ქვეყნისთვის? მაგრამ კონფლიქტოლოგი ზაქარეიშვილი ნებისმიერი დაპირისპირების განმუხტვას ქართველთათვის საზიანო საშუალებებით ცდილობს და ამიტომაც გვმოძღვრავს, რომ ხელი არ უნდა შევუშალოთ აფხაზეთის დამოუკიდებლობას (?!!!) კიდევ ერთი მაგალითი მისი ანტიქართული დამოკიდებულებისა: იგი მომხრეა და საზოგადოებას მოუწოდებს, რომ სომხური მხარის მოთხოვნები ქართული ეკლესიების გადაცემის თაობაზე, დავაკმაყოფილოთ. თურმე, ნუ იტყვით, და მხოლოდ ამ გზით შეიძლება სომხების ინტეგრირება ქართველთა შორის. მის ლოგიკას რომ მივყვეთ, ყველა ეთნოსის ყოველგვარი მოთხოვნა უნდა შევასრულოთ, თავად კი ჩუმის ნატვრით ვინატროთ, როდის მივაღწევთ საკუთარ წიაღში ყველა ეთნოსის ინტეგრირებას. ბატონ კონფლიქტოლოგს მსურს ვკითხო, კონფლიქტის დროს ყოველთვის და მხოლოდ ის მხარეა მართალი, ვინც ქართველი არ არის? ჩემი აზრით, ბატონი ზაქარეიშვილი ასეთი დამოკიდებულებით ოდენ საქართველოს დაშლა-დანაწევრებას უწყობს ხელს.





რესპუბლიკელი-პოლიტიკოსი, ვინც ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის შესახებ საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს, ივლიანე ხაინდრავა გახლავთ. მისი აზრით, საქართველო, როგორც სახელმწიფო, ფედერაციულ მოწყობას უნდა დაეფუძნოს. პოლიტიკოსმა, რომელიც ასეთ თემას წინ წამოწევს, უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ქვეყნის ისტორიული განვითარება და ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლები. მთელ მსოფლიოში ფედერაციულ საწყისებზე რამდენიმე სახელმწიფოა მოწყობილი. ზოგი იმპერიაა, რომელიც ოდესღაც დაპყრობილ ქვეყნებს მოიცავს, ზოგი — ცარიელ მიწაზე მიგრანტების მიერ შექმნილი სახელმწიფოა, ზოგი — ომში დამარცხებული ქვეყნისთვის ხელოვნურად დამკვიდრებული მოდელია, ზოგი — გასულ საუკუნეებში „ნეიტრალური ზონისთვის" შექმნილი კონფედერაციაა სამი სახელმწიფო ენით და ა.შ. რა კავშირი აქვს ყოველივე ამას საქართველოსთან? საქართველოს სახელმწიფო რამდენიმე ათეული საუკუნის წინ ქართველმა ერმა შევქმენით და მას მერე ჩვენი ქვეყანა „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლით" ვითარდებოდა. ეს კი გულისხმობდა სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, რომელიც აგებული იყო ქართული ეკონომიკური წყობის, ეროვნული ეთნო-კულტურის, და საერთო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემის საწყისებზე. ვინც საქართველოს ფედერაციულ ქვეყნად გარდაქმნას გვირჩევს, ის სპობს ამ ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და შლის და აქუცმაცებს ჩვენს მამულს. ახლა მითხარით, რას ემსახურება ამგვარი პოლიტიკოსის საქმიანობა?

ალბათ, რესპუბლიკელთა გუნდი არ გამინაწყენდება, თუკი მათ თავკაცს გამოვყოფ და მის შესახებ მეორე ჯგუფთან ერთად ვისაუბრებ. დავით უსუფაშვილი იმ პოლიტიკოსების რიცხვიდანაა, ვისთვისაც პროქართული პოლიტიკა არ არსებობს. იგი ხან პრორუსულ პოლიტიკას იზიარებდა, როდესაც კომპარტიის რიგებში იყო გაწევრიანებული და ხანაც პროდასავლურ ღირებულებებს ეთაყვანება, როგორც ახლა თავადვე აცხადებს. დღეს ბატონი დავითი აშშ-ს, ნატო-ს, ეუთო-ს, გაერო-ს, უსაიდი-ს და მისთ. აბრევიატურებს ისე მისჩერებია, როგორც მებადური — ზღვას. ოღონდაც მისი ოქროს თევზი ატლანტიკის ოკეანეშია, იქ, საიდანაც მისთვის საამო, მაგრამ ქვეყნისთვის ავისმომასწავებელი ქარი უბერავს.

ბატონი კობა დავითაშვილი „ხალხის" პარტიას ხელმძღვანელობს, ანუ ხალხოსანია. საქართველოში ხალხოსნობა XIX საუკუნეში „ნაროდნიკობის" გავლენით გავრცელდა და ფუჭად ჩაიარა, რადგანაც ქართული სინამდვილიდან არ იყო ამოზრდილი. მაშინდელმა საზოგადოებამ მათ „ტეტიათა მოტრფიალენი" უწოდა. ეს ჩვენი „ტეტიაანთ კობაც" სიტყვით ხალხის ქომაგია, თუმცა მისი საქმიანობა სხვა რამეს მეტყველებს. საზოგადოებას კარგად ახსოვს ბატონ კობას გააფთრებული ბრძოლა პასპორტიდან მამის სახელის და ეროვნების გრაფის ამოღების გამო, რასაც მიაღწია კიდეც. ამისთვის იგი არც ტყუილს უკადრისობდა და არც სხვათა ფიზიკურ შეურაცხყოფას მორიდებია. კობა ბატონი ხალხის გასაბრიყვებლად აცხადებდა, რომ დავით აღმაშენებლის დროს პასპორტი არ არსებობდა და ქართველებს ამით არც არაფერი დაშავებიათო. სამწუხაროდ, მან საქართველოს ისტორია არ იცის და იმიტომ აფრქვევს ასეთ უმეცრებას. იძულებული ვარ შევახსენო, რომ ჩვენში ადამიანს თავისი გვარ-სახელითა და მამის სახელით ყოველთვის მოიხსენიებდნენ და „პასპორტი"-ს მაგივრობას სხვა ჩანაწერები ასრულებდა. აი, თუნდაც ისეთი, ქართლის პიტიახშის ასულის საფლავის ქვაზე რომ იკითხება: „მე ვარ სერაფიტა... ზევახის ასული, მეუღლე ... აგრიფის ძის იოდმანგანისა..." ეს ეპიტაფია შექმნილია II საუკუნეში და როგორც ხედავთ, აქ ორივე პიროვნება, ცოლიცა და ქმარიც საკუთარ მამებთან ერთად არიან მოხსენიებული. ე.ი. საქართველოში მამის სახელის ხსენება მაშინაც დამკვიდრებული წესი ყოფილა. კობა დავითაშვილს რომ საქართველოს ისტორია წაეკითხა, მაშინ ასე როყიოდ არ იტყოდა — „რა ისეთი ერი თქვენა ხართ, ქართველები, რომ პასპორტში უნდა გეწეროთ"-ო. დიახ, ჩვენ ისეთი ერი ვართ, რომ ჩვენ ძირებს უპირველესი ცივილიზაციის შემქმნელი შუმერების, ხათების და ურარტუელებისკენ მივყავართ. „ტეტიაანთ კობას" შეიძლება მიხაკო წერეთლის სახელი არც არაფერს ეუბნება, მაგრამ მაინც შევახსენებ მის სიტყვებს: „ერთია ის რასა, რომელსაც შეუქმნია შექმნისა და წარღვნის თქმულებანი და „ვეფხის ტყაოსანი". ჩვენ ერს დამპყრობლებიც კი უდიდეს პატივს მიაგებდნენ. სულთანი სულეიმან კანუნი ქართველ მეფეებს ასე მიმართავდა: იერუსალიმი თქვენი რწმენის ქალაქია, განდევნეთ იქიდან ურწმუნოები და დაეპატრონეთ, რამეთუ იგი თქვენი სამემკვიდრეოა, ძველად ხომ ვახტანგ გორგასალი ფლობდა მას. მაგრამ ბატონმა დავითაშვილმა არც სომხეთის ისტორია იცის. რომ! იცოდეს, მაშინ ეცოდინებოდა, რომ სომხებს, მას შემდეგ, რაც მათ სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, ქართველი მეფენი განსაკუთრებით მფარველობდნენ. აღმაშენებელმა მათ ცალკე ქალაქი უბოძა, გიორგი VII-მ თემურ-ლენგის თარეშის დროს სომხური სახანოებიდან გამოქცეული სომხობა კავკასიონის მთებში გახიზნა და სიკვდილისგან იხსნა და მისთ. ასე რომ, კობა ბატონო, თუ გსურთ, გაიგოთ, რა ერი ვართ, ჩვენი ქვეყნის ისტორიას და სომხეთის ისტორიასაც უნდა გაეცნოთ. ხანგამოშვებით ევროპელ მოაზროვნეთა ნაღვაწსაც თუ თვალს გადაავლებთ, მაშინ გაიგებთ, რომ ტაციტუსის თქმით, ჯერ კიდევ ძველ რომაელებს ჰქონიათ შენიშნული: «âåðî ëî ì ñòàî æå Àðì ÿí âñåì èçâåñòí î»! რა ვქნათ ახლა, ტაციტუსსაც ქსენოფობია დავწამოთ და მისი ნაწერები კოცონს მივცეთ?! ჩვენ, ქართველები, დიახაც, არ შევეგუებით ეროვნების დაკარგვას და მამულის წართმევას. მით უმეტეს თავს არ დავაჩაგვრინებთ მათ, ვინც ქართულ გვარს ამოფარებულნი, ქართველებს გვებრძვიან.



ერთი სიტყვით, ეს პერსონები პოლიტიკურ სცენაზე პირველი მევიოლინის როლს რომ ირგებენ, არ გამოხატავენ ქართველი ერის გულისწადილს. მათ პროფესიულ საქმიანობაში ვერ მიაღწიეს რაიმე ღირებულს, ხელმოცარულნი დარჩნენ და პოლიტიკაშიც კრახი განიცადეს. ისინი ვერ გასცდნენ კარიერიზმით დასაზღვრულ პარტიულ ჩარჩოებს და საზოგადო მოღვაწეობა ვერ გაითავისეს. ამ ადამიანების ცხოვრებისეული კრედო მათმა მეტრმა ლევან ბერძენიშვილმა რამდენიმე სიტყვით გამოხატა: „ფულის ტომარა და ანაფორა". ქველმოქმედებას და სიკეთეს მათთვის „ფულის ტომრის" ცნება ფარავს, სულიერება და რწმენა კი მათში სარკაზმს იწვევს, რასაც მკრეხელურად „ანაფორა"-თი მოიხსენიებენ. ამიტომაცაა, რომ ქართველი ერი მათ ვერ გაჰყვება და არც გაჰყვება. წერილი კი მსურს უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის სიტყვებით დავასრულო:

„ვერავითარი უცხო ქვეყანა ვერ შეედრება საქართველოს!"

**ნინო ჯაველიძე**

***P.S.*** *წერილს რომ ვასრულებდი, ქალბატონ თ. ხიდაშელის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ვკითხულობთ: „ელიზბარ ჯაველიძე ბედნიერი მაშინ იქნება, როცა თინა ხიდაშელი გაქრება, აღარ იარსებებს და მოკვდება... ნამდვილად ბედნიერი იქნება ნახოს, რომ ცოცხალი აღარ ვარ, მაგრამ ამ კომფორტს არ მივანიჭებ, ბოლო-ბოლო, ასაკითაც ბევრად პატარა ვარ... არ მაინტერესებს ჯაველიძის აზრი, რომელიც დილით იღვიძებს და ღამე იძინებს იმაზე ფიქრით, რა ავნოს ხიდაშელს. ჩემი რჩევაა, ჯანმრთელობისთვის და, საერთოდ, ქვეყნისთვის რამე უფრო უკეთესით დაკავდეს. თორემ მისი მხრიდან, ღვარძლისა და ბოროტების გარდა, სხვა არაფერი მოედინება და ფასი ხომ უნდა ჰქონდეს მის სიტყვებს, არა?!"*

*თუკი ვინმე კარგად იცნობს ელიზბარ ჯაველიძეს, ერთ-ერთი მათგანი, ალბათ, მეც ვარ. ამ ქალბატონს ახლა არ შევეკამათები, რადგანაც ელიზბარ ჯაველიძე არც მისი და არც მისი თანაპარტიელების თუ თანამოაზრეების სახსენებელი არ არის. თუ როგორი მკვლევარია ელიზბარ ჯაველიძე, ამას მისი მეცნიერული ნაშრომები და მრავალი მონოგრაფია ცხადყოფენ, რომლებიც ქართველ და უცხოელ მკვლევართათვის სამაგიდო წიგნებია, თავადვე რომ აღიარებენ. თუ როგორი პუბლიცისტი და პოლემისტია ელიზბარ ჯაველიძე, ამის თაობაზე ის წიგნები და უამრავი სტატია მეტყველებენ, მკითხველის თქმით, ხელიდან ხელში რომ გადადის. თუ როგორი საზოგადო მოღვაწეა იგი, ქალბატონ ხიდაშელს შეუძლია ქართველ ხალხს ჰკითხოს, ოღონდაც პარტიული ნაჭუჭიდან უნდა გამოძვრეს, ერის წიაღში იტრიალოს და დარწმუნდება, რომ ელიზბარ ჯაველიძის თვალსაზრისი თუ აზრები ეროვნული თვითშეგნებისკენ გზამკვლევი და ქართული ცნობიერების წარმმართველია.*

*დაბოლოს, თუ ქალბატონი ხიდაშელი ინებებს და მის მეგობრებსა და მოყვას ადამიანებს, დაეკითხება რასმეს, მაშინ გაიგებს, რომ ელიზბარ ჯაველიძეს, მატლი რაა, მისი სიკვდილიც არასოდეს მოუსურვებია...*

## ბიძინა ივანიშვილი: ყველაზე დიდ გადასახადებს დღეს სახელმწიფო საპროცესო გარიგებების გზით კრეფს

„ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის თქმით, ხელისუფალის, საჯარო მოხელის საქმე საწარმოებისა და სამედიცინო დაწესებულებების გახსნა კი არა, ბიზნესისათვის რეალური გარემოს შექმნა და ქვეყანაში კანონიერების აღდგენაა.

ბიზნესმენი ინტერნეტ გამოცემა **tspress.ge**-სთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ყველაზე ცუდი, რაც ანგრევს და რეალურად, პერსპექტივას უკარგავს ბიზნესს, არის ის, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკი და, მათ შორის, პრეზიდენტი, კერძო ბიზნესში ერევა. ივანიშვილის თქმით, დღეს საქართველოში ბიზნესი მთლიანად მონოპოლიზებულია და მართულია სახელმწიფოს მიერ - იგი საოცარ წნეხს განიცდის.



ბიზნესმენს მაგალითად „ქართუ ბანკის" შემთხვევა მოჰყავს და აცხადებს, რომ ბანკებზე პოლიციური ზედამხედველობის თვალსაზრისით, ისეთი კანონი მიიღეს, რომ ასეთ პირობებში ბანკების არსებობა შეუძლებელია. „მიუხედავად ამისა, როდესაც ჩვენ კომერციული ბანკების ასოციაცია მოვიწვიეთ, წარმოიდგინეთ, რომ შეკრებაზე არც ერთი ბანკის წარმომადგენელი არ მოვიდა. იმდენად დაშანტაჟებული, დაშინებულია და მართულია ბიზნესი, რომ შეკრებაზე მოსვლა ვერც ერთმა კომერციულმა ბანკმა ვერ გაბედა. არადა, ამ კანონით ნებისმიერი ბანკი შეუძლიათ, ხვალ და ზეგ გააკოტრონ. აქ რამდენიმე ადამიანის მიერ იმართება ყველაფერი", — განაცხადა ბიზნესმენმა და დასძინა, რომ გადასახადების დახვეწა და დარეგულირება ყველაზე მარტივი პროცესია. მთავარი ის არის, რომ ბიზნესში ხელისუფლების ჩარევა არ უნდა ხდებოდეს და სამართლიანი კანონები უნდა არსებობდეს. ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ხალხს არა აქვს შემოსავალი და ნებისმიერი, დიდი თუ პატარა გადასახადი, დღეს უკვე პრობლემაა საქართველოს მოსახლეობისთვის. ყველაზე დიდ გადასახადებს დღეს სახელმწიფო საპროცესო გარიგებების გზით კრეფს. სწორედ ამის გამო მოხდა მოსახლეობის მასობრივი გაკოტრება. ბიზნესმენის მტკიცებით, ხელისუფლებამ ანტიმონოპოლიური სამსახური შეგნებულად გააუქმა, რადგან მონოპოლიების შექმნის მცდელობა ჰქონდა და შექმნეს კიდეც. მისივე თქმით, დღევანდელ საკანონმდებლო ბაზაში შესაცვლელი ბევრი არაფერია, მისი შესრულების ნება უნდა არსებობდეს.

„ანტიმონოპოლიური სამსახური რეალურად უნდა მუშაობდეს. კანონი უნდა კანონობდეს. მონოპოლიური ბიზნესის, ასე ვთქვათ, „ჭკუაზე მოყვანა", კონკურენტული გარემოს შექმნას შეუძლია", — აცხადებს ბიზნესმენი.

**„მედიანიუსი"**

# მამა დავითი: Cveni amocanaa adamianebi swor gzaze davayenoT, antiqriste ZaliT aravis arafers akeTebinebs...

*ვესაუბრებით ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, დეკანოზს **მამა დავითს** (ქვლივიძე).*



**— მამაო დავით, ცნება „მეორედ მოსვლა“ სახარებაში და წმინდა წერილშია გაცხადებული და კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დროსა თუ ეპოქაში ელოდა მას. ხან რომელიმე ათასწლეულს უკავშირებდნენ, ხან მსოფლიო ომებს. ამ ბოლო წლებში კი მაიას ტომის კალენდარი და თარიღი 2012 წლის 21 დეკემბერი იქცა სენსაციად. როგორია ქრისტიანული მიდგომა ამ საკითხისადმი და რას ამბობს ეკლესია?**

— სანამ საპასუხო თემაზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნო გიპასუხებდეთ, ერთი რამ. ცოტა ხნის წინ თქვენს გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ არჩილ ღუდუშაურთან, რომელიც საუბრობს ამ 2012 წელზე და თავისებურად წარმოაჩენს მას. ღუდუშაურისნაირი ადამიანები, რომლებიც საუბრობენ სამყაროს აღსასრულზე, კონკრეტულ თარიღებზე, უამრავია და შეიძლება ამაზე ყურადღება არ გაგვემახვილებინა, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ეს პიროვნება შეურაცხყოფს წმინდა წერილს, მოიხსენიებს ძალიან კნინობით ფორმაში წერილს, რომელიც დაწერილია სულიწმინდის მადლით და სადაც წერტილ-მძიმის შეცვლის უფლება არ აქვს არავის.

რაც შეეხება ლეგენდადქცეულ 2012 წელს და წინასწარმეტყველებას სამყაროს აღსასრულის მოახლოების შესახებ: ამაზე საუბრობდნენ და საუბრობენ ახლაც. ამერიკელებმა ფილმიც გადაიღეს „2012“, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, უამრავი ადამიანი დადის შეშინებული, დაზაფრული. ასეთი ცრუწინასწარმეტყველებები უამრავი იყო ეკლესიის ისტორიაში. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში უკვე იყვნენ ადამიანები, რომლებიც მეორედ მოსვლაზე ქადაგებდნენ. იგივე იეღოვას მოწმეები, რომლებიც თავის დროზე ადვენტისტები იყვნენ, არაერთხელ ელოდნენ მეორედ მოსვლას თეთრ ტანსაცმელში ჩაცმულები. ეს ჯერ 1844 წელს იყო. რომ არაფერი მოხდა, თქვეს — უხილავად მოვიდაო. მერე ეს თარიღი 1914 წელს გადაიტანეს, პირველი მსოფლიო ომი დაუდეს საფუძვლად, ამის მერე იყო დასახელებული 2000 წელი და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, უამრავი მაგალითია.



ამ საკითხზე ყველაზე მართებულია ითქვას ისე, როგორც წერია სახარებაში. მაცხოვარი ამბობს: „არავინ იცის, როდის იქნება მეორედ მოსვლა, არც მე, არც ანგელოზებმა, არამედ მხოლოდ მამამ“. სხვა დროს კიდევ რომ შეეკითხებიან: გვითხარი, როდის იქნება მეორედ მოსვლაო, მაცხოვარი მიუგებს:

**„საღამოთი, როცა ცა მოწმენდილია, ვიცით, რომ მეორე დღეს კარგი ამინდი იქნება, როცა კვირტები დაიბერება, ვიცით, რომ გაზაფხული მოვა, როდესაც დედამიწაზე ურჯულოება გამრავლდება, იცოდეთ, რომ მოახლოებულია მეორედ მოსვლა“.**

ანუ სახარებისეული სწავლებით, მეორედ მოსვლის ნიშანი იქნება გარყვნილება, უღმერთოების გამრავლება და დიდი განდგომილება (იპოსტასია) და ეს ყველაფერი იქნება წინაპირობა ანტიქრისტეს მოსვლისა, რომელიც სახარების მიხედვით, ქრისტეს მოსვლამდე 7 წლით ადრე დაიწყებს მეფობას.

**— როგორ მოხდება მისი გამეფება?**

— წმინდა მამები და ეკლესია გვასწავლის, რომ დაიწყება ინსპირირებული ძალით დაწყებული ომი, რომელშიც ჩაითრევენ მთელ მსოფლიოს. დედამიწაზე ჩამოვარდება შიმშილობა, გაწყდება უამრავი ხალხი, დაიწყება უდიდესი კრიზისები, როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური და ამ ყველაფრის ფონზე მოვა ანტიქრისტე, რომელიც ერთის მხრივ, დაალაგებს პროცესს, სამყარო დამშვიდდება. ანტიქრისტე იქნება მსოფლიოს გამაერთიანებელი პოლიტიკური და სულიერი ლიდერი. პირველი სამწელიწადნახევარი მშვიდობიანად იმეფებს. მეორე სამწელიწადნახევარში თავს გამოაცხადებს მესიად, მხსნელად. მოითხოვს ღვთაებრივ თაყვანისცემას, ანუ იმას, რომ მიაგონ ისეთი პატივი, როგორც ღმერთს და ვინც ამას არ გააკეთებს, დევნას დაუწყებენ. ამას გვაფრთხილებს ეკლესია.



ანტიქრისტე ვერ მოვა, თუ ჩვენ მას ნიადაგი არ მოვუმზადეთ. სახარებაში პირდაპირ წერია: ძე განდგომილებისა ვერ მოვა, სანამ თვითონ განდგომილება არ იქნება დედამიწაზეო. ანუ ანტიქრისტესთვის მთავარია დედამიწაზე მყოფი ხალხის გარყვნა, სულიერად და ზნეობრივად დაცემა. დაცემული და დეგრადირებული ხალხი ანტიქრისტეს მიიღებს. ჩვენი ამოცანაა, ადამიანები სწორ გზაზე დავაყენოთ.

**ანტიქრისტე ძალით არავის არაფერს აკეთებინებს, მისი თაყვანისცემა ნებაყოფლობით ხდება.**

**— ისტორიას უამრავი სასტიკი დიქტატორი ახსოვს, რომ აღარაფერი ვთქვათ კომუნისტურ ბელადებზე, ჰიტლერზე... ამათზეც, ანტიქრისტეს წინამორბედნი არიან?**

— ეს იყო გენერალური რეპიციები, ჩატარებული ანტიქრისტეს მოსვლისთვის. მაგალითად, როდესაც ჩინეთში მაო ძე დუნი იყო, მისი სურათი ყველა ოჯახს უნდა ჰქონოდა. ჭამის წინ მაოს სთხოვდნენ პურს, ჭამის შემდეგაც მას უხდიდნენ მადლობას. მეტი გაღმერთება რაღას ჰქვია, მაგრამ ის არ იყო ანტიქრისტე.

**— ასევე ბევრს საუბრობენ და იწერება ტექნიკის არასწორი გამოყენების შესახებ. ანუ არის მართლაც იმისი საშიშროება, რომ ტექნიკური პროგრესი ანტიქრისტეს სამსახურში ჩადგეს?**

— მართლმადიდებლები ყოველთვის ანტიქრისტესა და მეორედ მოსვლის მოლოდინში ვართ. მართლმადიდებლური დიდმარხვის დაწყებამდე აღინიშნება მეორედ მოსვლის დღე, რითაც ეკლესია შეახსენებს მოსახლეობას, რომ იყვნენ ყურადღებით, მარადიულად არ ვიცხოვრებთ დედამიწაზე და იქნება დასასრული, ამიტომ უნდა ვემზადოთ ღვთის წინაშე წარსდგომისთვის. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ანტიქრისტესთვის გზის მოსამზადებლად ტექნიკაც იქნება გამოყენებული. ჯერ გვეუბნებიან, რომ უნდა ვიქონიოთ ელექტრონული ბარათები, რაც შეიცავს ინფორმაციას პიროვნების შესახებ. შემდგომში გამოვა სხვა ბარათები, რომელშიც იქნება ფინანსური მონაცემები, ანუ იქნება აღნიშნული საიდან იღებ ფულს, სად, როგორ ხარჯავ. ანუ უფრო და უფრო მეტ კონტროლზე იქნება ადამიანი აყვანილი. ანტიქრისტეს დროს კი გეტყვიან — ესეც ნივთია, შეიძლება დაკარგოთ, ჩავსვამთ სხეულში (ანუ ხეხლში). თუ ეს არ გააკეთე, ვერ გამოიკვებები და ამას გააკეთებენ მაშინ, როდესაც ანტიქრისტეს თაყვანს სცემ, როგორც ღმერთს.

**— ალბათ დამეთანხმებით, რომ ეკლესიაშიც მრავლადაა პრობლემები და ბევრი მოძღვარი არ დგას თავის დონეზე...**

— ეკლესია ყოველთვის იყო და არის ღვთისმსახურთა საკრებულო და როცა ვსაუბრობთ მასზე, წარმოგვიდგება, რომ ადამიანი უნდა იყოს აბსოლუტურად მოწესრიგებული და ზნეობრიობის ეტალონი, მაგრამ ჩვენ, ყველანი, ადამიანები ვართ. ქრისტეს თორმეტი მოციქული ჰყავდა და ერთ-ერთი, იუდა ისკარიოტელი, მისი გამყიდველი აღმოჩნდა. ანუ უფალმა დაუშვა, რომ თორმეტში ერთი ყოველთვის უღირსი იქნება. წარმოიდგინეთ, რომ ათას ორას მღვდელთმსახურში ასი იქნება იუდა ისკარიოტელი. თორმეტ ათასში კი — ათასი, მაგრამ გარდა იუდასი, უფალს ჰყავდა ბართლომე, ფილიპე, პეტრე, პავლე. თუ ადამიანი ეძებს, ყოველთვის იპოვის მღვდელთმსახურს, ვისგანაც მიიღებს იმას, რასაც ღვთის სიტყვა ეწოდება. ასეთი პრობლემები ყოველთვის გვქონდა და ამიტომ იმართებოდა კრებები, სადაც უღირსი ღვთისმსახურნი ისჯებოდნენ; ამისთვის გამართა აღმაშენებელმა რუის-ურბნისის კრება.

ახლაც უწმინდესი გვეუბნება: მეტად ილოცეთ, გაამკაცრეთ მარხვა. როცა მთელი ერი მარხულობს და ლოცულობს, ეს ღვთისთვის სათნოა და მრავალი შემთხვევაა ბიბლიაში და ეკლესიის ისტორიაში მოხსენებული რომ მარხვითა და ლოცვით ერები შეუწყალებია ღმერთს.

**თამუნა ქადაგიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვარ ლოგინად ჩავარდნილი. მსურს, ანდერძი დავწერო იმის შესახებ, რომ ჩემი ბინა დარჩეს ჩემს მომვლელ ქალს. მე ნოტარიუსთან წასვლა არ შემიძლია. შეიძლება თუ არა, ადვოკატმა განახორციელოს, როგორც ჩემმა წარმომადგენელმა ანდერძის დაწერა და სანოტაროში დამოწმება?**

— არ შეიძლება.

სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის მიხედვით, ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ეს იმპერატიული მოთხოვნაა. შეიძლება თქვენს მიერ შინაურული ანდერძის დაწერაც, ოღონდ კანონით დადგენილი წესით, მოწმეების თანდასწრებით. რა თქმა უნდა, უმჯობესია, სანოტარო დადასტურებით, მომავალში მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად. თუ თქვენ არ შეგიძლიათ სანოტარო ბიუროში მისვლა, შეიძლება თქვენთან მოიყვანონ ნოტარიუსი და თქვენს საცხოვრებელ ბინაში შეადგინოთ ანდერძი.

1346-ე მუხლის მიხედვით, ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. ასე, რომ თქვენ სხვა პირს, თუნდაც ადვოკატს, ვერ დაავალებთ ანდერძის შედგენას (მე არ ვგულისხმობ ანდერძის ფორმალურ გამართულობას).

* * *

**— არის თუ არა დეიდაშვილი კანონით მემკვიდრე?**

— ზოგადად, დეიდაშვილი გახლავთ კანონით მემკვიდრე (მეხუთე რიგის), მაგრამ ის მემკვიდრეობას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს წინა რიგის არც ერთი მემკვიდრე.

* * *

**— არის თუ არა მემკვიდრე განქორწინებული მეუღლე?**

— არა.

სამოქალაქო კოდექსის 1340-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეობისას განქორწინებული მეუღლეები არ შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ერთმანეთის გარდაცვალების შემდეგ. ბუნებრივია, ეს ეხება კანონით მემკვიდრეობას. ანდერძით მემკვიდრეობისას კი მამკვიდრებლის ნება თავისუფალია, მას შეუძლია თავისი სამკვიდრო ანდერძით დაუტოვოს ნებისმიერ პირს, მათ შორის, განქორწნებულ მეუღლესაც.

* * *

**— ჩემმა უშვილო ბიძამ სამ ძმისშვილს ანდერძით დაგვიტოვა თავისი ქონება, წილების განუსაზღვრელად. როგორ გადანაწილდება წილები?**

— სამოქალაქო კოდექსის 1348-ე მუხლის მიხედვით, მოანდერძეს შეუძლია, ანდერძით განსაზღვროს ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეთა წილი სამკვიდროდან, ან მიუთითოს, თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა, თუ ანდერძში ასეთი მითითება არ არის, მაშინ სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის.

* * *

**— რას ნიშნავს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?**

— თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სისხლისსამართლებრივი სასჯელის ერთ-ერთი სახეა.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს, იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ენიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად — ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს, შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

* * *

**— ითვალისწინებს თუ არა სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელის მინიმუმზე ნაკლების დანიშვნას?**

— ითვალისწინებს ერთადერთ შემთხვევაში — თუ მხარეებს შორის (პროკურატურასა და ბრალდებულს შორის) დადებულია საპროცესო შეთანხმება.



* * *

**— საპროცესო შეთანხმების გამო გადავიხადეთ 5.000 ლარი, მაგრამ ჩემს შვილს ძირითადი სასჯელი, თუმცა შეღავათიანად, მაინც გამოუცხადეს. როგორ გავიგოთ ეს?**

— თქვენს შვილს ძირითადი სასჯელის სახით დაუნიშნეს რეალური სასჯელი, როგორც თქვენ ბრძანებთ, შეღავათიანად, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა –5.000 ლარის ოდენობით. ეს პირობები დაფიქსირებულ იქნება საპროცესო შეთანხმების ოქმში, რომელიც შედგა თქვენს შვილსა და პროკურატურას შორის, ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით.

* * *

**— რას ითვალისწინებს სასჯელის სახით ცემა?**

I. მუხლი 125 ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სს კოდექსის 120-ემუხლით გათვალისწინებული შედეგი, — მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა), —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე.

II. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

# facebook

# xalxis azriT

ლარის კურსის თ ა ღ ლ ი თ უ რ ი თამაში, - რომელსაც ძალიან ვიწრო ჯგუფის ინტერესები უდევს საფუძვლად, - და რომელსაც არაფერი აქვს საერთო საბაზრო ეკონომიკასთან, სულ უფრო მიმყარებს მოსაზრებას, რომ ეს უმაქნისი დაწესებულება - საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ეროვნული ბანკის პაროდიაა მხოლოდ, - ლიკვიდირებული იქნას და მის ნაცვლად შეიქმნას ს ა ვ ა ლ უ ტ ო კ ო მ ი ტ ე ტ ი, ხოლო ლ ა რ ი ს კ უ რ ს ი მყარად მ ი ე ბ ა ს დ ო ლ ა რ ს... ეს გარდაუვალი ხდება!.. ის, რაც ახლა ხდება, უკვე შეუნიღბავი ძარცვა და ეკონომიკის დასამარებაა და სხვა არაფერი. :(

მაშინ როცა პატიმრები შიმშილით…სიცივით…უექიმობით…არაადამიანური მოპყრობით-ბუზებივით იხოცებიან… ხათუნა კალმახელიძის ქონებას გასულ წელს ბინა შეემატა.რუსთავის მე–2 საპყრობილეში 35 წლამდე ასაკის პატიმარი, ბათუმელი გოჩა არჩანია გარდაიცვალა. გოჩა არჩანია მცირეწლოვანი შვილების ნახვას ითხოვდა, მაგრამ სიკვდილის წინ შვილებსაც კი არ შეახვედრეს. ის ტუბერკულოზით იყო დაავადებული, მაგრამ მას მკურნალობა არ უტარდებოდა. უფრო მეტიც, არჩანიას ციხის ადმინისტრაცია წამალს არ აწვდიდა. პატიმარი არც სამკურნალო დაწესებულებაში გადაჰყავდათ.

მე მრცხვენია თქვენი, ბატონო პრეზიდენტო !

მე მრცხვენია,რომ თქვენ , ვერ ისწავლეთ სიცილი და შინ თუ გარეთ,ყველგან გიჟივით იცინით (არადა ბავშვობაში მასწავლეს,კულტურულად უნდა გაიცინო,ხმადაბლა,თორემ უზრდელი ეგონები ვინმესო.)

მე მრცხვენია,რომ თქვენ,8 წლის მანძილზე ჯიბეში ცხვირსახოცის ჩადება ვერ ისწავლეთ და მის როლს, კვლავ თქვენი დიადი თითები ასრულებენ !

მე მრცხვენია,რომ მთელმა მსოფლიომ ნახა,თუ როგორ გაიქეცით ომიდან,მაშინ როდესაც თქვენ არავინ გესროდათ - უბრალოდ შეგეშინდათ და გაიქეცით! თქვენ მშიშარა ბრძანდებით,ბატონო პრეზიდენტო!

მე მრცხვენია,რომ მთელმა მსოფლიომ ნახა,თუ როგორ ღეჭდით შიშისგან და ნერვიულობისგან ყლინჯს(ჰალსტუხს) და მეორე დღეს ჩვენ თავდადებისა და გმირობისაკენ მოგვიწოდებდით!

მე მრცხვენია,რომ თქვენ ვერ შეასრულეთ ფაქტიურად ვერცერთი წინასაარჩევნო დაპირება,რომელიც 2007 წელს დადეთ (2003 წლის წინა საიანაუგურაციო პერიოდზე აღარ ვლაპარაკობ!)

მე მრცხვენია,რომ თქვენ , მესამე კლასელი ბავშვისთვისაც კი არ ხართ მისაბაძი ადამიანი !

მე მრცხვენია,რომ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ფეხებზე დაიკიდეთ ხალხი,რომელმაც აგირჩიათ და პრეზიდენტის სკამი ჩაგახუტათ!

მე მრცხვენია,რომ თქვენ ადამიანური ღირსებები არ გაგაჩნიათ !

მე მრცხვენია,რომ თქვენ ჭამის კულტურაც კი არ გაგაჩნიათ !

მე მრცხვენია,რომ თქვენ მთელი საქართველოს დასანახად ილანძღებით,თქვენ ელემენტალური ზრდილობაც არ გაქვთ!

და ყოველივე ამის შემდეგ თქვენ ბედავთ და ედრებით დავით აღმაშენებელს,ადამიანს, რომლითაც ყველა ნორმალური ქართველი ადამიანი ამაყობს,ვინც მის ეპოქას იცნობს !

მე მრცხვენია ბატონო პრეზიდენტო,რომ თქვენ ჩემი ქვეყნის "სარკედ" აღიქმებით ამერიკასა და ევროპაში!

მე მრცხვენია,რომ თქვენ დღემდე განაგრძობთ ხალხის ზომბირებას,"რუსთავი 2 - ისა" და "იმედის" საშუალებით!

მე მრცხვენია ბატონო პრეზიდენტო,რომ თქვენ,კიდევ წელიწადი და რამდენიმე თვე უნდა იყოთ ჩემი პრეზიდენტი!

ამიტომ აქედანვე შემოგითვლით მშვიდობით,ბატონო პრეზიდენტო!

თუ არ მოგვარდა სიების პრობლემა, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესი, თუ არ მოხდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვა და გასაჩივრების პროცედურები არ შეიცვალა, არჩევნებში გამარჯვებაზე ფიქრი სისულელეა.მოგახსენებთ ჩემს აზრს—არსებული საარჩევნო კანონით, კაციტაძის გაკეთებული აღწერით, დაქსაქსული ოპოზიციური სპექტრით, ხელისუფლების ჯიბის ტელევიზიებით შესაძლებლად მიგაჩნიათ ამ რეჟიმის დამარცხება?!



## „საიდუმლო სერობაზე" ბოლო ჟამის წინასწარმეტყველება იპოვეს



იტალიელი მკვლევარი საბრინა სფორცა გალიცია ირწმუნება, რომ ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობაზე" ბოლო ჟამის წინასწარმეტყველება აღმოაჩინა.

საბრინა ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტსა და ვატიკანის არქივებში მუშაობისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლეონარდოს მინიშნებით 4006 წლის 21 მარტს მსოფლიოში დაიწყება არაპროგნოზირებადი მოვლენები, რომელიც იმავე წლის 1 ნოემბერს დამთავრდება. ეს პროცესი იქნება სამყაროს აღსასრულის მსგავსი, კაცობრიობის დაცემის ნიშანი.

იტალიელი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ამოხსნილია მათემატიკურ-ასტროლოგიური შიფრი, რომელიც ლეონარდომ შენიშნა. იმ ნაწილში, სადაც იესო ქრისტე და მოციქულები ზიან, მაგიდაზე ჩანს მსოფლიოს რუკა. ამას გარდა, ლეონარდო დღე-ღამის 24 საათს ლათინური ანბანის 24 ასო-ბგერას მიუსადაგებს. საბრინა გალიცია დასძენს, რომ გამოსახულების ცალკეულ სიმბოლოებში ხშირად მეორდება რიცხვი 8 და თვით ლეონარდოს ავტოგრაფი.

## დინოზავრები კოსმოსიდან მოსულებმა ამოხოცეს?



ჯგუფმა, რომელიც 11 მეცნიერისგან შედგება, ოცწლიანი კვლევის შედეგად გამოიკვლია დინოზავრების გადაშენების ნამდვილი მიზეზი. 65 მლნ. წლის წინათ ვულკანის ამოფრქვევას არ გაუნადგურებია ისინი. მათ ამოხოცვაში მთავარი მოქმედი გმირი კოსმოსიდან მოსული ძალა იყო.

დინოზავრების განადგურების შესახებ აზრთა ერთგვაროვნება მიღწეული არ არის. მიიჩნევა, რომ ისინი ამოხოცა გლობალურმა კოსმოსურმა ცვლილებებმა, რომელიც დედამიწის სეისმურ აქტივობაში გამოიხატა. ევროპის, აშშ-ს, მექსიკის, კანადის და ევროპის მკვლევარების დასკვნებით, რომელიც ჟურნალ „SCIENCE"-ში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ დინოზავრების განადგურების მიზეზი 15 კილომეტრიანი ასტეროიდია, რომელიც იქ დაეცა, სადაც დღეს მექსიკა მდებარეობს. „დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასტეროიდმა გამოიწვია ძლიერი ხანძარი, 10-ბალიანი მიწისძვრა, წარმოიქმნა ცუნამები", — მოგვითხრობს მკვლევარი ჯოან მორგანი ლონდონის იმპერიის კოლეჯიდან. „დინოზავრების საფლავი გლობალური ზამთარი გახდა, მიწა კოსმოსურმა მტვერმა დაფარა. დაიხოცა იმ პერიოდის ბევრი ბიოლოგიური არსება, რადგან შეუძლებელი იყო ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში გადარჩენა", — წერს „როიტერი".

ასტეროიდის დაცემა იმ ბომბის სიმძლავრეს 1 მილიარდჯერ აღემატებოდა, რომლითაც ამერიკელებმა ხიროსიმა დაბომბეს.

მეცნიერი გერეტ კოლინზი მიიჩნევს, რომ ასტეროიდის დაცემა „ჯოჯოხეთის დღეები" იყო ამ გიგანტური არსებებისთვის, რომელთა გადატანა მათ ვერ მოახერხეს.

## 2012 წელს იშვიათი ელემენტების მარაგი დამთავრდება



თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ ნავთობზე. ის დამოკიდებულია ასევე ინერტულ გაზებზე, ლითონებზე, ტიტანზე, ვოლფრამზე და სხვა იშვიათ მეტალებზე, რომლის გარეშე შეუძლებელია მანქანათმშენებლობა. ამ ელემენტების მოპოვება აშშ-სა და ევროპაში ძალიან გართულდა. ამ იშვიათი ლითონების 97%-ის ჩინეთის ტერიტორიაზეა დარჩენილი.

„ინდეფენდენტის" ცნობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გეგმავს 2012 წლამდე შეწყვიტოს ამ ელემენტების მოპოვება თავის ტერიტორიაზე. დღეისათვის მათი მოპოვება წელიწადში 120 000 ტონას შეადგენს, ხოლო ექსპორტი ჩინეთიდან 30 000 ტონაა.

## არამიწიერი ცხოვრების შესახებ ცნობები დამტკიცდა

რა თქმა უნდა, ყველაფრის დარწმუნებით თქმა ძნელია, მაგრამ არსებობს მეცნიერული ფაქტები, რომლებიც არამიწიერი ცხოვრების რეალობას ამტკიცებს.

1976 წელს მარსის ზედაპირზე აღმოაჩინეს სიცოცხლისუნარიანი ცოცხალი ორგანიზმების არსებობის კვალი.

1977 წელს ოჰაიოს უნივერსიტეტში რადიოტელესკოპმა დააფიქსირა გაურკვეველი სიგნალი მშვილდოსანის თანავარსკვლავედიდან. სიგნალი 37 სეკუნდს გაგრძელდა. სიგნალის წყარო 220 მილიონი სინათლის წელიწადის შემდეგ გახდა დედამიწაზე ცნობილი.

1984 წელს ანტარქტიდაზე მეტეორიტი იპოვეს, რომელიც მარსიდან იყო. მეტეორიტზე ნანობაქტერიის კვალი აღმოაჩინეს.



2001 წელს მეცნიერთათვის სავარაუდოდ, ცნობილი გახდა, რომ გალაქტიკაში თითქმის 100-მდე პლანეტაა, სადაც შეიძლება სიცოცხლე არსებობდეს.

2002 წელს რუსი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღმოაჩინეს მიკრობები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიშია. ამ მიკრობების 50 თაობას შეუძლია ნებისმიერი სიტუაციასთან ადაპტირება. დღეს უკვე თამამად კამათობენ იმაზე, რომ მარსზე შეიძლება სიცოცხლე არსებობდეს.

2003 წელს ევროპის თავზე იუპიტერის თანამგზავრზე იპოვეს სიცოცხლისუნარიანი ბაქტერიები, რომლებიც მონათესავენი არიან იმ ცოცხალი უჯრედებისა, ანტარქტიდის ყინულოვან მთებში რომ ბინადრობენ.

იმავე წელს პუერტო-რიკოს ტელესკოპმა ძლიერი სიგნალები დააფიქსირა იმ სფეროდან, რომლებიც თევზისა და ვერძის თანავარსკვლავედებს შორისაა.

მოამზადა **ანა პადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ პერიოდში ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი გართობასა და დასვენებას დაუთმეთ. გელით ბევრი სასიამოვნო ინფორმაცია. ამ პერიოდში დაგეგმილი საქმიანი მივლინება წარმატებას გპირდებათ.

**კურო** — თქვენს ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. გელით პერსპექტიული წინადადებები. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში მცირედი ვნებათაღელვის მიუხედავად, ეს პერიოდი პოზიტიურად ხასიათდება. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ, ნურც წვეულებებზე იტყვით უარს.

**კირჩხიბი** — საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სიფრთხილე გმართებთ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას. ამ პერიოდში დაგეგმილი ხანგრძლივი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**ლომი** — გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა იღბლიანი პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ. დრო გამონახეთ მეგობრებისთვისაც. რთულ სიტუაციაში დახმარებისთვის სწორედ მათ მიმართეთ.

**ქალწული** — თქვენთვის წარმატებული პერიოდი დადგა. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია დაისადგურებს. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებშიც.

**სასწორი** — ადვილად ნურავის ენდობით. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან ურთიერთობისას. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. ამ პერიოდში მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

**მორიელი** — სიფრთხილე გმართებთ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ.

**მშვილდოსანი** — ხელმძღვანელობასთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**თხის რქა** — პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**მერწყული** — ეს პერიოდი პირადი ცხოვრების მოწესრიგებას დაუთმეთ. ერიდეთ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტურ სიტუაციას. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**თევზები** — ეცადეთ, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები დაგეგმოთ, რადგან წარმატებას ადვილად მიაღწევთ. ერიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამ პერიოდში დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.